

ბელა მარბველანი

ავსტრალიისა და ოკეანის

ფიზიკური გეოგრაფია

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

1995

სახელმძღვანელოში გაშუქებულია ავსტრალიისა და ოკეანეთის ბუნების ცალკეული კომპონენტები და ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსები (ბუნებრივი და ანთროპოგენური ლანდშაფტები, ფიზიკურ-გეოგრაფიული რეგიონები). მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბუნებათსარგებლობისა და ეკოლოგიის საკითხებს.

განკუთვნილია გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებისა და მასწავლებელთათვის; იგი გარკვეულ დახმარებას გაუწევს ყველას, ვინც დაინტერესებულია ავსტრალიისა და ოკეანეთის ბუნებითა და ბუნებათსარგებლობის საკითხებით.

რედაქტორი პროფ. დ. უკლება

რეცენზენტები: დოც. მ. ხარატიშვილი

დოც. თ. ფავლენიშვილი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1995

1805040100

მ

608(06)—95

ISBN 5—511—00633—5

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ავსტრალია დასახლებულ კონტინენტებს შორის ყველაზე გვიან იქნა აღმოჩენილი, თუმცა ვარაუდი სამხრეთ ნახევარსფეროში დიდი ხმელეთის არსებობის შესახებ უძველეს დროშივე არსებობდა. ევროპაში პირველი ცნობები (XVI ს.) ახლანდელი ავსტრალიის ხმელეთის არსებობის შესახებ დაკავშირებულია პორტუგალიელ და ესპანელ მეზღვაურებთან, რომლებიც საოკეანო გზებს მიიკვლევდნენ ინდოეთისა და ჩინეთისაკენ. კონტინენტის აღმოჩენის ოფიციალურ თარიღად ითვლება 1606 წელი, როდესაც ჰოლანდიელმა ვ. იანზონმა აღმოაჩინა და აღწერა კეიპ-იორკის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთი ნაწილი, ხოლო ესპანელმა მეზღვაურმა ლ. ტორესმა გაიარა სრუტე (ამჟერად მისი სახელობის), რომელიც ავსტრალიას გამოყოფს ახალი გვინეასაგან. ამით მან დაამტკიცა ამ უკანასკნელის კუნძულოვანი ბუნება და, თანაც ევროპელთაგან ერთ-ერთმა პირველმა, სრუტიდან სამხრეთით შენიშნა ხმელეთი (ე. ი. კონტინენტი).

XVII საუკუნეში (1611-27 წლები) კონტინენტის სანაპიროს მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოაჩინეს და აღწერეს ჰოლანდიელმა მეზღვაურებმა (პ. ბრაუვერი, დ. პარტოგი, ი. კარსტენსი, ვ. კოლსტერტი, ფ. ტეისენი, პ. ნეიტსი) და თავდაპირველად კონტინენტს უწოდეს ახალი ჰოლანდია.

1642-43 წლებში ჰოლანდიის ექსპედიციამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ა. ტასმანი, აღმოაჩინა და რუკაზე დაიტანა ახალი მიწა, რომელსაც კ. იავას გუბერნატორის (რომელმაც გაგზავნა ექსპედიცია) პატივსაცემად დაერქვა ვან-დიმენის მიწა (ახლანდელი კ. ტასმანია), ახალი ზელანდიის სანაპირო, ტონგის და რიგი სხვა კუნძულები ოკეანეთში, ხოლო 1644 წელს ა. ტასმანის მეორე ექსპედიციამ აღწერა კონტინენტის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთი სანაპიროების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ცნობილმა ინგლისელმა მეზღვაურმა ჯ. კუკმა გარსაქვეყნო

მოგზაურობის დროს, 1670 წელს, აღმოაჩინა კონტინენტის აღმოსავლეთი სანაპირო და მარჯნის ზღვიდან ტორესის სრუტის გავლით გავიდა არაფურის ზღვაში.

1789 წელს ინგლისელმა ტოპოგრაფმა ჯ. ბასმა აღმოაჩინა სრუტე (სრუტეს შემდგომ ბასის სახელი დაერქვა), რომელიც კ. ტასმანიას გამოყოფს კონტინენტისაგან. მისმა თანამემამულემ მ. ფლინდერსმა კი 1798-1803 წლებში თითქმის მთლიანად შემოუარა კონტინენტს, გამოიკვლია დიდი ბარიერული რიფი და კარბენტარიის ყურე. მასვე ეკუთვნის მოსაზრება კონტინენტის „ავსტრალიად“ მონათვლის შესახებ.

მე-18 საუკუნის დამლევიდან ინგლისმა დაიწყო ავსტრალიის კოლონიზაცია, რამაც დასაბამი მისცა შიდა რაიონების ინტენსიურ შესწავლას, რაშიც განსაკუთრებით აღსანიშნავია ინგლისელების: ტ. მიტჩელის, ჩ. სტერტის, რ. ბერკის, ლ. უელსის, ჯ. ფორესტის, ჯ. სტიუარტის და სხვ. ღვაწლი.

ავსტრალია სიდიდით კონტინენტებს შორის ყველაზე პატარაა (კუნძულების ჩათვლით, დაახლოებით 7,7 მილიონი კმ²), რისთვისაც კუნძულ-კონტინენტსაც უწოდებენ. დიდ კუნძულებში ჩასათვლელი მხოლოდ ტასმანიაა (დაახლოებით 68 ათასი კმ²). დანარჩენები წვრილი კუნძულებია, რომელთაგან აღსანიშნავია სამხრეთ მხარეზე — კენგურუ, კინგი, ჩრდილოეთ მხარეზე — მეღვილის კუნძულები, აღმოსავლეთით — ფრეიზერი და სხვ. ჩამოთვლილი კუნძულები განლაგებულია კონტინენტურ მეჩჩხეზე. კუნძულების საერთო ფართობითაც (დაახლოებით 73 ათასი კმ²) იგი კონტინენტებს შორის ბოლო ადგილზეა.

ავსტრალიას უკავია განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ლანდშაფტ-შემქმნელი ფაქტორია. იგი დასახლებულ კონტინენტებს შორის ერთადერთია, რომელიც მთლიანად სამხრეთ ნახევარსფეროშია, საიდანაც მიიღო სახელწოდებაც (ავსტრალია ლათინურად ნიშნავს სამხრეთს). სამხრეთი ტროპიკი მას თითქმის შუაზე კვეთს, რის გამოც ძირითადი ნაწილი ტროპიკულ სარტყელშია. კონტინენტის უკიდურესი წერტილებია: ჩრდილოეთით იორკის კონცხი (ს. გ. 10°41'), სამხრეთით — სამხრეთ-აღმოსავლეთის კონცხი (ს. გ. 39°11'), დასავლეთით — სტიმ-პონტის კონცხი (ა. გ. 113°05'), აღმოსავლეთით — ბაირონის კონცხი (ა. გ. 153°34'). აღმოსავლო მხარეზე აკრავს წყნარი ოკეანე (მარჯნისა და ტასმანიის ზღვებით),

დაწარჩენი სამი მხრიდან — ინდოეთის ოკეანე (ჩრდილო მხარეზე ტიმორისა და არაფურის ზღვებით).

ავსტრალიის კონფიგურაცია და მისი ტერიტორიის განფენილობის ხასიათი მკვეთრად განსხვავებულია დანარჩენი კონტინენტებისაგან. იგი თითქმის თანაბრად ვრცელდება გრძედისა და განედის მიხედვით.

მიუხედავად ტერიტორიის სიმცირისა, ავსტრალია კონტინენტებს შორის გამოირჩევა ბუნების ცალკეული ელემენტების და, მთლიანად, ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების განსაკუთრებული თავისებურებით. ავსტრალია, პირველ რიგში, რელიქტები^ა კონტინენტი, რომელიც გამოხატულია როგორც ცოცხალ, ისე არაცოცხალ ბუნებაში. მისი ორგანული სამყარო დასახლებულ კონტინენტებს შორის სახეობრივად ყველაზე ღარიბია, მაგრამ კონტინენტის ხანგრძლივ გეოლოგიურ დროში კუნძულოვანმა განვითარებამ განსაზღვრა მისი ფლორისა და ფაუნის განსაკუთრებით მაღალი ენდემიზმი და გარეულ ცხოველებში მაღალი განვითარების ძუძუმწოვრების (როგორც ჩლიქოსნების, ისე მტაცებლების) ხარვეზი.

ცხელ სარტყელში, მსოფლიო ოკეანის თბილწყლიანი აუზების გარემოცვაში მდებარეობამ იგი გახადა, აფრიკის შემდეგ, ყველაზე ცხელი კონტინენტი. იგი, ამასთან, ყველაზე უწყლოცაა, არიდულ ლანდშაფტების ყველაზე ფართო გავრცელებით.

ბუნებრივი ლანდშაფტების ძლიერ თავისებურებათა ფონზე ავსტრალია მნიშვნელოვან მსგავსებას (განსაკუთრებით ორგანული სამყარო) იჩენს სამხრეთ ნახევარსფეროს კონტინენტებისადმი, რაც შორეულ გეოლოგიურ წარსულში ამ კონტინენტების მჭიდრო კონტაქტში (გონდვანის სუპერ კონტინენტის ფარგლებში) განვითარებაზე მიუთითებს.

ავსტრალია გამოირჩევა ყველაზე მცირე მოსახლეობით (დაახლოებით 14 მილიონი კაცი) და საშუალო სიმჭიდროვის ყველაზე დაბალი მაჩვენებლით. ავსტრალიის და ოკეანეთის მოსახლეობა ორ ნაწილად იყოფა: მოსული და მკვიდრი (აბორიგენი) მოსახლეობა. კონტინენტზე ძირითადი მოსახლეობა ინგლისიდან (53%), ირლანდიიდან (24%) და შოტლანდიიდან (13%) მოსულთა შთამომავლებია, რომლებმაც შექმნეს ანგლო-ავსტრალიური ერი. მკვიდრი მოსახლეობის (ავსტრალიელი და ტასმანიელი აბორიგენების) რაოდენობა

დენობა 40 ათას* არ აღემატება. ოკეანეთის კუნძულებზე მკვიდრი მოსახლეობა (პაპუასები, მელანეზიელები, მიკრონეზიელები, პოლინეზიელები) უმეტესობას შეადგენს. გამონაკლისია ახალი ზელანდია, ჰაეაის კუნძულები და კუნძული ფიჯი.

ადმინისტრაციულად კონტინენტი, კუნძული ტასმანია და რიგი წერილი კუნძულები ქმნიან ავსტრალიის კავშირს. რომელიც განვითარებული კაპიტალისტური ქვეყანაა და შედის ბრიტანეთის თანამეგობრობაში. ოფიციალური ენა ინგლისურია.

* — კოლონიატიის დასაწყისში 300 ათასს აღემატებოდა.

ავსტრალიის ლანდშაფტების დიფერენციაციის ბუნებრივი ფაქტორები

ბუნების ჩამოყალიბების ისტორიის ძირითადი ეტაპები,
ტაქტონიკური აგებულება, სასარგებლო წიაღისეული და
რელიეფი

ავსტრალია კონტინენტებს შორის გამოირჩევა ყველაზე მარტივი გეოტექტონიკური აგებულებით, რამაც თავის მხრივ, განსაზღვრა ყველაზე მარტივი და ერთფეროვანი რელიეფი. იგი შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან, რომლებმაც გაიარეს განვითარება-ჩამოყალიბების განსხვავებული გეოლოგიური ისტორია. კონტინენტის ძირითადი (დასავლეთი და ცენტრალური) ნაწილი უკავია ვრცელ და ძველ (კამბრიულისწინა ასაკის) ბაქანს, ხოლო აღმოსავლეთი პერიფერია — გვიან პროტეროზოური და პალეოზოური ასაკის ნაოჭა-ლოდა სტრუქტურებით აგებულ სარტყელს.

ავსტრალიის ბაქნის განვითარების ცარცულამდელი ისტორია დაკავშირებულია გონდვანის სუპერკონტინენტის განვითარებასთან. შეკვლევების ვარაუდით, როგორც დამოუკიდებელი კონტინენტი, იგი ვითარდება იურული პერიოდის დამლევადან. ბაქნის აღმოსავლეთი პერიფერია დაძირულია დიდი არტეზიული აუზის დანალექ საფარს ქვეშ, ხოლო დანარჩენ სამ მხარეზე იგი გრძელდება შელფის ზონაშიც. ბაქნის განვითარებას დასაბამი მისცა უძველესმა — კარელურმა დანაოჭებამ (აღრე და შუა პროტეროზოური), რომელმაც გეოსინკლინური ღრმულებით დაცალკეეებული მიკროკრატონები* შეაკავშირა ერთ მთლიან მასივად. ბაიკალური ოროგენეზისით დასრულდა ბაქნის ამგებელი სტრუქტურების დანაოჭებით განვითარება. შემდგომში მისი მორფოსტრუქტურა ძირითადად

* — კრატონი უცხო სიტყვაა (ბერძნული) და ნიშნავს სიმაგრეს. გეოლოგიური გაგებით იგი გულისხმობს დედამიწის ქერქის კონსოლიდირებულ (მყარ) უბანს:

იცვლება ლოდა მოძრაობებით, რომლის შედეგადაც ბაქნის ფარგლებში წარმოიქმნა ძველი საძირკვლის აზევებული უბნები — კრისტალური ფარები და მათი გამყოფი, შედარებით ახალგაზრდა (მობილური), ღრმულები. ბაქნის ფარგლებში გამოიყოფა სამი ძირითადი ფარი — დასავლეთ ავსტრალიის (კრისტალიზაციის უძველესი ბირთვებით), ჩრდილო ავსტრალიის და სამხრეთ ავსტრალიის. ბაიკალური ოროგენეზისის შემდგომ ეტაპზე ავსტრალიის ბაქნის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა პროცესებმა, რომლებიც დაკავშირებული იყო წყნარი ოკეანის გეოსინკლინის განვითარებასთან და ინდოეთის ოკეანის აღმოსავლეთი ქვაბულების ჩამოყალიბებასთან. ამან გამოიწვია დასავლეთი კიდის ინტენსიური დაძირვა, ხოლო აღმოსავლეთ მხარის გაფართოება.

პროტეროზოურისა და პალეოზოურის მიჯნაზე ავსტრალიის ძველ ბაქანს აღმოსავლეთიდან შეუკავშირდა შედარებით ახალგაზრდა ხმელეთი, რომელიც აგებულია გვიანპროტეროზოური და პალეოზოური გეოსინკლინური სტრუქტურებით.

ბაქნის აღმოსავლეთი ნაწილი აღმოჩნდა შედარებით მობილური ბუნების, რის გამოც გარემომცველ გეოსინკლინურ ოლქებში მიმდინარე ოროგენეტულმა პროცესებმა მის ფარგლებში გამოიწვია დედამიწის ქერქის რყევითი და რღვევითი მოძრაობა და ვრცელი სინეკლიზის ჩამოყალიბება კარპენტარიისა და დიდი ავსტრალიის ყურეებს შორის. იგი ხანგრძლივ გეოლოგიურ დროში მოიცვა ზღვის ტრანსგრესიამ, რომელიც კონტინენტის დასავლეთ (ბაქნურ) ნაწილს გამოყოფდა აღმოსავლეთი (შედარებით ახალგაზრდა) ნაწილისაგან. ამრიგად, ავსტრალიის ბაქნის ფარგლებში ჩამოყალიბდა ორი ძირითადი ტექტონიკური ელემენტი — დასავლეთ ნაწილში ვრცელი ანტეკლიზა, კრისტალური საძირკვლის ფართო გაშვიშვლებით და აღმოსავლეთ ნაწილში, ვრცელი სინეკლიზა მძლავრი დანალექი საფარით.

კაინოზოურში რელიეფის განვითარება ნათლად ამჟღავნებს მემკვიდრეობითობას კამბრიულის წინანდელი რელიეფისადმი. ანტეკლიზების ფარგლებში გაბატონებულია აზევების ტენდენცია და წარმოიქმნენ დაბალი და საშუალო სიმაღლის კრისტალური მასივები (მაკდონელის, მასგრეივის, კიმბერლის და სხვ.), ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში ქარბობს დაძირვის ტენდენცია და ტექტონიკური ღრმულების განვითარება, რომელთაგან აღსანიშნავია იუკლას.

დრმული (ნალარბორის ვაკე). ნეოტექტონიკურმა ვერტიკალურ-დიფერენციალურმა მოძრაობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თანამედროვე რელიეფის ჩამოყალიბებაში, თუმცა იგი სხვა კონტინენტებისაგან განსხვავებით ავსტრალიაში სუსტად არის გამოხატული. ნეოტექტონიკურმა მოძრაობამ ბაქნის გარე აღმოსავლეთში და სამხრეთ-აღმოსავლეთში გამოიწვია დენუდირებული ბაიკალური, კალედონური და ჰერცინული ნაოჭა სტრუქტურების გაახალგაზრდაება და მთიანი რელიეფის ჩამოყალიბება. წყნაროკეანურ გეოსინკლინში მიმდინარე ოროგენეტულმა პროცესებმა ხანმოკლე დროით სახმელეთო კავშირი დაამყარა ავსტრალიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას (ზონდის კუნძულებს) შორის, რითაც შესაძლებლობა შეიქმნა მცენარეთა მიგრაციისათვის. ამ სახმელეთო ხილით ძველი ადამიანი აზიიდან გადავიდა ავსტრალიაში.

ზედა მესამეული და მეოთხეულის დასაწყისი კლიმატურად ხასიათდებოდა არიდული* და ტენიანი პერიოდების მონაცვლეობით. ავსტრალიის თანამედროვე არიდულ ლანდშაფტებში ნათლად შემოგვრჩა გეოლოგიური წარსულის პლუვიალური ეპოქების კვალი წითელი ფერის ლატერიტული გამოფიტვის ქერქის, მდინარეთა შრობადი კალაპოტების და, მეტწილად, მლაშობებად გადაქცეული ტბიური ქვაბულების სახით.

დედამიწის ქერქის ნეოტექტონიკური მოძრაობის სისუსტეზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ თანამედროვე გეომორფოლოგიური პროცესებიდან გამორიცხულია ვულკანიზმი და მიწისძვრები. ამ მხრივ ავსტრალია ერთადერთი კონტინენტია. იგივე ითქმის თანამედროვე გამყინვარებაზეც, რომლის არარსებობა პავასთან ერთად კავშირშია მთიანი ტერიტორიების ნეოტექტონიკური ვერტიკალური აზეგების მცირე ამპლიტუდასთან.

✓ კონტინენტის გეოლოგიური განვითარების ისტორიასთან და ნეოტექტონიკურ აგებულებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სასარგებლო მინერალური რესურსები, რითაც ავსტრალია მდიდარი და მრავალფეროვანია. პირველ რიგში ეს ეხება მადნეულ წიაღისეულს, რაც გამოწვეულია მაგმური და კრისტალური ქანების ფართო გავრცელებით. მეტამორფული ქანებით აგებული არქეული და ქვედა პროტეროზოური ასაკის საძირკველი შეიცავს ოქროს,

* — ზოგიერთ მკვლევარს ეარაუდით, დასავლეთ ავსტრალიის შიდა რაიონები არიდულობით გამოირჩეოდა მეზოზოურიდან მოყოლებული.

ურანის, მაღალხარისხოვანი რკინის, ბოქსიტების, პოლიმეტალური მადნების და სხვ. დიდ მარაგს. მათი საბადოები განლაგებულია კრისტალური საძირკვლის გაშიშვლების რაიონებში (დასავლეთ ავსტრალიის ფარის ჩრდილო-დასავლეთი, სამხრეთ-დასავლეთი და ჩრდილოეთი პერიფერია). მარგანეცის დიდი მარაგია გამოვლენილი კუნძულ გრუტ-აილენდზე (კარპენტარიის ყურის დასავლეთი ნაწილი). გრანიტულ ინტრუზივებთან დაკავშირებულია ოქროს და იშვიათი ლითონების დიდი საბადოები. ბაქნის ფარგლებში გამოვლენილია პიდროთერმული წარმოშობის სპილენძის დიდი საბადოები. ბაქნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩენილია პოლიმეტალების უდიდესი მარაგი (ბროკენპილის საბადოები). სპილენძ-ნიკელის დიდი საბადოებია დასავლეთ ავსტრალიაში (კამბალდა). ჩრდილოეთ ავსტრალიაში (ჟეიპა, გოვი) გამოვლენილია დანალექი წარმოშობის ბოქსიტების მსოფლიოში უდიდესი საბადოები. ბაქნის დანალექი საფარი შეიცავს არამეტალური წიაღისეულის (ფოსფორიტების, სუფრის მარილის, თაბაშირის და სხვ.) მნიშვნელოვან მარაგს. ბაქნის ფარგლებში გამოვლენილია ნავთობისა და გაზის დიდი აუზები. ნავთობ-გაზის დიდი შემცველობით გამოირჩევა სამხრეთ-აღმოსავლეთი და დასავლეთი ავსტრალიის სანაპირო ღრმულები და შელფური ზონა. გაზშემცველობით მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუზი მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთ შელფურ ზონაში.

მადნეული წიაღისეულის მრავალფეროვნებით და დიდი შემცველობით ხასიათდება პალეოზოური ნაოჭა სტრუქტურები. მთიანი აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი (აგრეთვე კუნძულ ტასმანია) ქმნის კალა-ვოლფრამის, სპილენძის, პოლიმეტალების, ოქროს და სხვა მადნების საბადოთა უწყვეტ სარტყელს. მთისწინა ღრმულები შეიცავენ ქვანახშირის, მურა ნახშირის, ნავთობისა და გაზის მნიშვნელოვან მარაგს. სამხრეთ-დასავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო ზოლის ქვიშები, აგრეთვე ძველი სანაპირო დიუნები წარმოადგენენ ტიტანის ნედლეულის მნიშვნელოვან წყაროს, აგრეთვე შეიცავენ ცირკონს.

ავსტრალია კონტინენტებს შორის გამოირჩევა ყველაზე მარტივი და ერთფეროვანი რელიეფით, რაც გამოწვეულია მისი მარტივი გეოტექტონიკური აგებულებით და კონტინენტის ძირითად ნაწილზე არიდული ჰავის გაბატონებით, თუმცა, რელიეფის ყველა გენეტიკური ტიპია გამოხატული, გარდა თანამედროვე მყინვარუ-

ლის და ვულკანურისა. ტერიტორიის დაახლოებით 95% ვაკეა (დაბლობები და 400—600 მ-მდე სიმაღლის ზეგნები).

ავსტრალიის თანამედროვე რელიეფი ნათლად არეკლავს მის მკიდრო კავშირს ტექტონიკურ აგებულებასთან. რელიეფის ყველაზე მსხვილმასშტაბიანი კონტრასტები შეესატყვისება ყველაზე მსხვილ ტექტონიკურ ელემენტებს. კონტინენტის ძირითადი (ცენტრალური და დასავლეთი) ნაწილი უკავია ძველ ბაქანს, არიდული ჰავით, რამაც განსაზღვრა სუსტად დანაწევრებული ვაკე რელიეფის დომინირება. აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი პერიფერია აგებულია პალეოზოური ნაოქა-ლოდა სტრუქტურებით, რასთანაც დაკავშირებულია მთიანი (თუმცა დაბალი და საშუალო მთიანი) რელიეფი. ამრიგად, ავსტრალიაში ორი ძირითადი გეომორფოლოგიური მხარე გამოიყოფა — ბაქნური ცენტრალური და დასავლეთი ვაკე რელეფით და გეოსინკლინურ-მთიანი აღმოსავლეთი.

ბაქნური ავსტრალიის ფარგლებში ეგზოგენური პროცესებისა და ნეოტექტონიკურ მოძრაობათა გავლენით ჩამოყალიბდა მორფოლოგიური ნიშნებით და ჰიფსომეტრიულად განსხვავებული ვაკეები და შთენილი დაბალმთიანი მასივები. მნიშვნელოვანი რელიეფმემქმნელი ფაქტორია ბაქნის კრისტალური საძირკვლის სიღრმითი მდებარეობა. სივრცობლივი განვითარების მასშტაბით ყველაზე მეტად გამოირჩევა დასავლეთ ავსტრალიის ზეგანი, რომელიც ტექტონიკურად შეესატყვისება დასავლეთ ავსტრალიის ფარს. იგი გამოირჩევა ყველაზე ძველი რელიეფით, რომლის ძირითადი ნიშნები ჩამოყალიბდა ხანგრძლივი და მრავალჯერადი დენუდაციური ციკლების გავლენით. ეს ნიშნებია საფეხურებრივად განლაგებული მოსწორებული ზედაპირები, რომელთა ასაკიც თავსდება პალეოზოურიდან ნეოგენამდე დროის მონაკვეთში. მოსწორებული ზედაპირებიდან ყველაზე ვრცელია დიდი ავსტრალიის პენეპლენი, რომლის სიმაღლაც აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მატულობს 200 მ-დან 500 მ-მდე. ზეგნის ფარგლებში ყველაზე უფრო ტიპურია კრისტალური (ცოკოლიანი) ვაკეები, ძველი გამოფიტვის ქერქით. მასთან შერწყმულია ფარის კიდურა და შიდა ღრმულებში (სინეკლიზებში) ზედა პროტეროზოური და პალეოზოური ასაკის ჰორიზონტალურ ან თითქმის ჰორიზონტალურ დანალექებზე განვითარებული აკუმულაციურ-დენუდაციური (ფილაქნური) ვაკეები, რომელთა სიმაღლე 150-350 მ-ის ფარგლებშია.

მნიშვნელოვანი ფართობი უკავია პლატოებს, რომლებიც აგებულია ზედა პროტეროზოურის პერიოდის პერიოდულად განლაგებული დანალექებით და ნეოტექტონიკური მოძრაობებით აზიდულია 350-600 მ-მდე. დასავლეთ ავსტრალიის ზეგნის ვაკე რელიეფის ერთფეროვნებაში მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა დედამიწის ქერქის უახლესმა ტექტონიკურმა მოძრაობებმა, რასთანაც დაკავშირებულია დაბალი და საშუალო სიმაღლის ბრტყელთხემებიანი ნაკვალოდა მთიანი მასივები ზეგნის პერიფერიაზე — მაკდონელის (1510 მ), მასგრივის (1440 მ), კიმბერლის (937 მ), ჰამერსლის (1230 მ) და სხვ.

ავსტრალიის ბაქნის აღმოსავლეთ ნაწილში, მაქსიმალური დაძირვის პერიდიანულ სარტყელში წარმოიშვა მეორე ძირითადი მორფოსტრუქტურა — ცენტრალური დაბლობი, რომლის რელიეფში დომინირებს ბრტყელი ზედაპირის მქონე აკუმულაციური და აკუმულაციურ-დენუდაციური ვაკე-დაბლობები — ცენტრალური ვაკე (დიდი არტეზიული აუზი), მურეი-დარლინგის და ნალარბორის ვაკე-დაბლობები, კარპენტარიის ყურისპირა ვაკე-დაბლობი. ცენტრალური დაბლობი ეირის ტბის ქვაბულში ოკეანის დონეზე დაბლაა (მინუს 12 მ).

თანამედროვე გეომორფოლოგიური პროცესებიდან ბაქნის ტერიტორიაზე ჰარბობს ფიზიკური გამოფიტვა და ეოლური პროცესები (ძირითადად აკუმულაცია). ეოლური რელიეფი ყველაზე უფრო ტიპურად არის გამოხატული დასავლეთ ავსტრალიის ზედაპირზე ვრცელი ტალღოვანი ქვიშიანი და ქვიანი უდაბნო-ვაკეების (დიდი უდაბნო ვიქტორია და დიდი ქვიშიანი უდაბნო) და სანაპირო დიუნური სერების სახით.

ბაქნური ავსტრალიის თანამედროვე რელიეფის მნიშვნელოვანი ელემენტია პალეო ეროზიული ფორმები, როგორცაა პლეისტოცენის პლუვიალური ჰავის პირობებში წარმოქმნილი შრობადი (პერიოდული) კალაპოტების (კრიკების) ხშირი ქსელი, აგრეთვე ძველი (პლუვიალური ეპოქის) ტბიური ქვაბულები, რომლებიც თანამედროვე არიდულ პირობებში თითქმის მთლიანად მლაშობ ვაკებადაა ქცეული. რელიეფის გენეტიური ფორმებიდან აღსანიშნავია აგრეთვე პალეო ვულკანიზმით წარმოქმნილი პლატოები, რომელთაგან ოროგრაფიულად უანაკუთრებით შესანიშნავია ანტრომის ვულკანური პლატო დასავლეთ ავსტრალიის ზეგნის ჩრდილო-დასავლეთში. ბაქნური ავსტრალიის რელიეფში მონაწილეობს კარ-

სტული ფორმებიც. ამ მხრივ აღსანიშნავია ნალარბორის ვრცელი კარსტული ვაკე, სადაც ჰავის არიდულობის გავლენით დაკარსტვის პროცესები ძლიერ სუსტად მიმდინარეობს.

კონტინენტის ერთ-ერთი ძირითადი და მსხვილი მორფო-სტრუქტურაა აღმოსავლეთ ავსტრალიის მთები, რომელიც ჩამოყალიბდა პალეოზოურ ნაოქა სტრუქტურებზე. მის ოროგრაფიულ ღერძს ქმნის დიდი წყალგამყოფი ქედი, რომელმაც თანამედროვე რელიეფის ძირითადი ნიშნები შეიძინა პენეპლენიზებული პალეოზოური ნაოქა სტრუქტურების გაახალგაზრდავების შედეგად. ნეოტექტონიკურ ეტაპზე; მის მორფოსტრუქტურულ გაგრძელებას წარმოადგენს კუნძულ ტასმანიის მთები. აღმოსავლეთ ავსტრალიის მთიან ოლქში შედის აგრეთვე მურეი-დარლინგის ვაკიდან დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ფლინდერზის და შაუნტ-ლოფტის დაბალი (700-900 მ) ბრტყელთხემებიანი ლოდი მთები, რომლებიც წარმოქმნილია პროტეროზოური სტრუქტურების ნეოტექტონიკური გაახალგაზრდავება-დეფორმაციის შედეგად. იგი დანაწევრებულია გრაბენებით, რომელთაც ოკეანის ფარგლებში აგრძელებენ სპენსერის და სენტ-ვინსტენტის გრაბენული ყუბრეები. დიდი წყალგამყოფი ქედი გაუყვება კონტინენტის მთელ აღმოსავლეთ პერიფერიას და გადაჭიმულია დაახლოებით 4000 კმ-ზე. რელიეფის ხასიათით არსებითად განსხვავებულია მისი ჩრდილოეთი და სამხრეთი ნაწილები. ჩრდილოეთი ნაწილი (დაახლოებით ს. გ. 28° ჩრდილოეთით) გაცილებით უფრო განიერი (მაქსიმალური — 650 კმ-მდე) და დაბალია (800-1600 მ). იგი არ ტოვებს ერთი მთლიანი ქედის შთაბეჭდილებას. შედგება საშუალოდ 1000 მ სიმაღლის ზეგნებისა და მასივებისაგან. სანაპირო კრისტალური პლატოები წყალგამყოფი ქედისაგან გამოყოფილია ფართო გასწვრივი ტექტონიკურ-ეროზიული ხეობა-ქვაბულებით. პლატოების მნიშვნელოვანი ნაწილი ვულკანურია (ბაზალტური). სამხრეთისაკენ დიდი წყალგამყოფი ქედის სიგანე კლებულობს, ხოლო სიმაღლე მატულობს. მაქსიმალურ სიმაღლეს აღწევს ავსტრალიის ალპებში, კერძოდ, კირქვებით აგებულ ცისფერ მთებში, სადაც აღმართულია კონტინენტის უმაღლესი მწვერვალი კოსციუშკო (2230 მ). უკიდურეს სამხრეთში (ვიქტორიის მთები), დიდი წყალგამყოფი ქედის პერიდიანული მიმართულება იცვლება განედური.

ავსტრალიის ალპების თანამედროვე რელიეფში შერწყმულია ძველი ვულკანური და მყინვარული, ეროზიული, ტექტონიკურა.


კარსტული და დენუდაციური ფორმები. ბაზალტური ლავის საფარს ფართო გავრცელება აქვს ლივერპულის და ნიუ-ინგლენდის მთებში. ოკეანის სანაპიროსკენ დაშვებული ლავისაგან წარმოქმნილია ვიქტორიის ვულკანური ვაკეები. დიდი წყალგამყოფი ქედი ასიმეტრიულია. წყნაროკეანისპირა კალთები ციცაბოა, ხოლო ბაქნისაკენ ეშვება დამრეცად და საფეხურებრივად. ფერდობები (განსაკუთრებით აღმოსავლეთ ექსპოზიციის) დანაწევრებულია მდინარეთა. ხშირი ეროზიული და ტექტონიკურ-ეროზიული ხეობებით. დიდი წყალგამყოფი ქედის მნიშვნელოვანი თავისებურებაა მთავარი წყალგამყოფის გადანაცვლება. შედარებით მაღალი აღმოსავლეთი ქედებიდან დასავლეთის დაბალმთიანი მასივებისა და ვულკანურ პლატოებისაკენ. ეს გამოიწვია ძველ წყალგამყოფში ნოტექტონიკური ახვევების პროცესში მდინარეთა ინტეგრაციული ხეობების ჩაჭრამ, რასაც მოჰყვა მდინარეთა სათავეების გადანაცვლება დასავლეთისაკენ. ამასთან იყო დაკავშირებული ინდოეთის ოკეანისა და გაუდინარი აუზების მდინარეთა სათავეების წყნაროკეანის აუზის მდინარეთა მიერ მოტაცების ხშირი შემთხვევა.

ავსტრალიის კონტინენტის ზედაპირი სუსტად არის დანაწევრებული პორიზონტალურ კრილიშიც, რაც მნიშვნელოვანი კლიმატ და, მფლიანობაში, ლანდშაფტშემქმნელი ფაქტორია: სანაპირო ხაზი მეტწილად სწორხაზოვანია, რითაც იგი ჰგავს აფრიკას და სამხრეთ ამერიკას. მნიშვნელოვანი სიდიდის მხოლოდ ორი ყურე (კარპენტარიის და ავსტრალიის დიდი) და ორი ნახევარკუნძული (კეიპ-იორკის და არნემლენდის). მდინარე მურეის შესართავიდან დასავლეთით განვითარებულია მცირე მასშტაბის სპენსერის და სენტ-ვინსენტის გრამბნული ყურეები, რომელთა გამყოფი იორკის ნახევარკუნძული.

ავსტრალიის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპიროს გასწვრივ მარჯნის ზღვაში მარჯნის რიფებისა და მარჯნის კუნძულებისაგან წარმოქმნილია დიდი ბარიერული რიფი, რომელსაც თავისი განვითარების მასშტაბით ანალოგი არ მოეპოვება მთელს პლანეტაზე. იგი გადაჭიმულია ახალი გვინეის სამხრეთ ნაპირებიდან ტროპიკამდე თითქმის 2300 კმ-ზე. მისი სიგანე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მატულობს დაახლოებით 2 კმ-დან 150 კმ-მდე. რიფების უმრავლესობა წყლით არის დაფარული და შიშვლდება მხოლოდ ზღვის უკუქცევის დროს. ზოგან რიფი გარღვეულია (მეტწილად მდინარეთა შესართავეების მოპირდაპირე მხარეს), რომლითაც ხორციელ-

დება სანაოსნო კავშირი სრუტესა და გაშლილ ოკეანეს შორის. კარგად არის შესწავლილი 20 ასეთი გასასვლელი.

რელიეფი ავსტრალიის მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსია, ვინაიდან მისი ხასიათი, მცირე გამონაკლისის გარდა, არსად არ ზღუდავს მიწათსარგებლობის ნებისმიერ ფორმას.



ნახ. 1. ავსტრალიის ძირითადი შორფოსტრუქტურები (დ. გ. ფროლოვას და ტ. გ. რუენსკის მიხედვით).

კლასე- ბი	ტიპები	ტიპთა ჩაგვები	შორფოსტრუქტურათა ტიპები
1	2	3	4
<p>ა.</p> <p>1</p> <p>2</p>	<p>ბაქნური ვაკები</p> <p>ბაქნური მთები</p>	<p>I. ძველბაქნური ვაკეები</p> <p>II. ფარებზე და ეპიპროტეროზოურ სტრუქტურებზე განვითარებული ვაკეები და ზეგნები</p> <p>III. ეპიპალეოზოურ სტრუქტურებზე განვითარებული ვაკეები და ზეგნები</p> <p>IV. ეულკანური პლატოები და ზეგნები</p> <p>V. ბაქნური ფილაქნების მთები</p> <p>VI. ფარებზე და ეპიპროტეროზოურ სტრუქტურებზე განვითარებული მთები და მთიანეთები</p> <p>VII. მთები ეპიპალეოზოური სტრუქტურების ფარგლებში</p>	<p>1. შიდა ღრმულების და კიდურ-რი როფების აკუმულაციური ვაკეები</p> <p>2. პორიზონტალურ და სუსტად დისლოცირებულ ნაფენებზე განვითარებული აკუმულაციური და აკუმულაციურ-დენუდაციური ვაკეები</p> <p>3. მონოკლინურად განლაგებულ ნაფენებზე განვითარებული დენუდაციური ვაკეები და პლატოები</p> <p>4. პორიზონტალურად განლაგებულ ნაფენებზე განვითარებული დენუდაციური პლატოები, მათ შორის მაგიდა მთები</p> <p>5. დენუდაციური ცოკოლიანი ვაკეები, პლატოები და ზეგნები</p> <p>6. დანაკვეთულ საფუძველზე განვითარებული დენუდაციური ვაკეები და ზეგნები</p> <p>7. ტრაპული</p> <p>8. ძველი ფილაქნების მაგიდა მთები</p> <p>9. ლოდა, ნაოკა-ლოდა და გუმბათისებრ-ლოდა მთები უახლეს, მათ შორის რაფტოგენური, აქტივიზაციის ზონებში</p> <p>10. ნაოკა, სტრუქტურულ-დენუდაციური მთიანი (კიუხები)</p> <p>11. ქვედა პალეოზოურ სტრუქტურებზე განვითარებული ლოდა და გუმბათისებრ-ნაოკა-ლოდა მთები</p> <p>12. ზედა პალეოზოურ სტრუქტურებზე განვითარებული ლოდა და გუმბათისებრ-ნაოკა-ლოდა მთები</p> <p>13. ეულკანური მთები, მთიანეთები და პლატოები</p>

1	2	3	4
ბ.	ეპიგენოსი- ნკლინური მთები	VIII. სხვადსხვა ასაკის ნაოქა სტრუქტურებზე განვითარებული უახლესი აქტივიზაციის (ალო- რძინების) მთები და მთიანეთები	14. ლოდა და გუმბათისებრ-ნა- ოქა-ლოდა მთები და მთიანეთები.

§ 3 3 3

ჰავა ავსტრალიის კონტინენტის მთავარი ლანდშაფტშემქმნელი ფაქტორი და განსაკუთრებული მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსია, ვინაიდან რელიეფის პირობები არსად არ ზღუდავს ბუნებრივი კომპლექსის ბიოგენური კომპონენტების და, მასთან, ბიომასის განვითარებას და ბუნებათსარგებლობას. წამყვანი მნიშვნელობის ფაქტორია ტენიანობის მაჩვენებელი, ვინაიდან რელიეფისა და სითბოს ოპტიმალური პირობების რეალიზაცია ბიომასის შექმნისა და ბუნებათსარგებლობის თვალსაზრისით მთლიანად დამოკიდებულია ტენით უზრუნველყოფაზე.

ავსტრალია ყველაზე ცხელი (აფრიკის შემდეგ) და ყველაზე არიდული კონტინენტია, რაც განსაზღვრულია კონტინენტის მთავარი კლიმატშემქმნელი ფაქტორებით, როგორცაა ძირითადად ცხელ სარტყელში და თბილწყლიან ოკეანეთა აუზების გარემოცვაში მდებარეობა, სანაპირო ხაზის სუსტი დანაწევრება, ატმოსფეროს პასატური ცირკულაციისა და ვაკე (განსაკუთრებით ზეგნური) რელიეფის დომინირება.

მზის ჯამური რადიაციის წლიური მაჩვენებელი ტერიტორიულად 586600-754200 ჯოული/სმ² ფარგლებში იცვლება. იგი მინიმალურია (502800 ჯოული/სმ²) კუნძულ ტასმანიაზე, მაგრამ თავისთავად საკმაოდ მაღალი. წლიური რადიაციის ბალანსი 252000-336000 ჯოული/სმ² ფარგლებშია.

საშუალო წლიური ტემპერატურები კონტინენტზე ტერიტორიულად (ძირითადად განედურად) პლუს 13-31° ფარგლებში იცვლება. კონტინენტი გამოირჩევა მზისგან მიღებული სითბოს ძლიერ ნაკადით, რაზედაც ნათლად მეტყველებს აქტიურ-ტემპერატურადაა

წლიური მაჩვენებლები, რომელიც ჩრდილოეთში 10000° აღმატება. თვით ყველაზე მაღალმთიან ზონაშიც (ავსტრალიის ალპები), კონტინენტის სამხრეთ-აღმოსავლეთ პერიფერიაზე, იგი 3000° ნაკლები არაა.

ავსტრალია კონტინენტებს შორის ყველაზე არიდულია. ტერიტორიის მესამედზე მეტზე ნალექების წლიური რაოდენობა 250 მმ-ზე ნაკლებია. ნალექების მაქსიმუმი (4000 მმ-ზე მეტი) აღინიშნება ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე.

ტენის, აგრეთვე მნიშვნელოვანწილად სითბოს განმსაზღვრელი ფაქტორია ატმოსფეროს ცირკულაციის ხასიათი, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ატმოსფეროს მოქმედების ცენტრებზე, რომელთაგან ავსტრალიის ჰავაზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენს ჩრდილო და სამხრეთ ნახევარსფეროს სუბტროპიკული წნევის მაქსიმუმები (ჩრდილო და სამხრეთ წყნაროკეანური ანტიციკლონები და სამხრეთ ინდოეთის ანტიციკლონი), მასთან დაკავშირებული პასატური ცირკულაციით და ეკვატორული ბარიული დეპრესია (ლარტაფი), მასთან დაკავშირებული ეკვატორულ-მუსონური ცირკულაციით. სამხრეთ ავსტრალიის მიმართ მთავარია ციკლონური ხასიათის ზომიერი ჰაერის მასები.


მნიშვნელოვანი კლიმატშემქმნელი ფაქტორია რელიეფის ხასიათი. განსაკუთრებით ნათლად ვლინდება დიდი წყალგამყოფი ქედის (აღმოსავლეთ ავსტრალიის მთები) ბარიერული როლი, რომლის გავლენითაც ყალიბდება ოკეანური და კონტინენტური სექტორები. ჩრდილო და დასავლეთ პერიფერიაზე მთიანი ბარიერების არარსებობა ხელს უწყობს ზღვიური ჰაერის მასების (ჩრდილოეთიდან ეკვატორული მუსონის, ხოლო სამხრეთიდან ზომიერი ჰაერის მასების) შეჭრას კონტინენტის სიღრმეში, რომელიც მიუხედავად ტრანსფორმირებისა, მნიშვნელოვნად არბილებს ჰაერის არიდულობას კონტინენტურ სექტორში.

ვინაიდან ატმოსფეროს მოქმედების ცენტრები სეზონურად განიცდიან გადაადგილებას განედისა და გრძედის მიმართულებით, ამასთან დაკავშირებით ატმოსფეროს ცირკულაციას და, მასთან, ამინდებსა და ჰავას ახასიათებს სეზონური რიტმი.* გამონაკლისია

* — ცხელ სარტყელში სეზონები (განსაკუთრებით ზამთრის და ზაფხულის) უმთავრესად გამოიყოფა ატმოსფეროს ცირკულაციის ხასიათის და მასთან დაკავშირებული ნალექების მოსვლის მიხედვით, ვინაიდან ბიომასის განვითარება სითბოს მხრივ არცერთ სეზონში არ იზღუდება.

ტროპიკული კონტინენტური სექტორი, სადაც მეტეოროლოგიური პროცესების სეზონური რიტმი სუსტადაა გამოხატული.


ზაფხულში (დეკემბერ-აპრილი) ძირითად ნაწილზე ზედაპირის ძლიერი გადახურების (საშუალო ტემპერატურები 28-30°) შედეგად ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ყალიბდება დაბალი ატმოსფერული წნევის ოლქი, რომელიც მეზობელი ოკეანეებიდან იწოვს ჰაერის მასებს. ჩრდილო ნახევარსფეროს პასატი გადაკვეთს ეკვატორულ სარტყელს და ჩრდილო ავსტრალიაში გვევლინება ჩრდილო-დასავლეთი ეკვატორული მუსონის სახით, რომელიც სუბეკვატორულ სარტყელში განსაზღვრავს უხვ ნალექებს (წლიური ჯამის დაახლოებით 80%).



ნახ. 2. პაერის საშუალო ტემპერატურა იანვარში
(ტ. ვ. ვლასოვას მიხედვით).

სამხრეთისაკენ მისი გავლენა თანდათან სუსტდება, მაგრამ სუბტროპიკულ სარტყლამდე და მთელ აღმოსავლეთ პერიფერიაზე ზაფხულის მაქსიმუმი ნალექების სეზონურ განაწილებაში შენარჩუნებულია.

ჩრდილო და სამხრეთ ნახევარსფეროს ჰაერის მასების (მუსონური და პასატური) კონვერგენციის შიდა ტროპიკული ზონიდან სამხრეთით გაბატონებულია სამხრეთ-აღმოსავლეთი პასატი, როგორც მშრალი და ცხელი ჰაერის მასა, რომელიც განსაზღვრავს მშრალ ზაფხულს სამხრეთ ავსტრალიაში. მცირე გამონაკლისი იქმნება მხოლოდ დასავლეთ პერიფერიაზე და მურეი-დარლინგის ვაკეზე. პირველ შემთხვევაში ნალექების მოსვლის სუსტად გამოხატული დადებითი ანომალია შეიძლება გამოიწვიოს პასატურმა ფრონტმა, ხოლო მეორე შემთხვევაში, ზაფხულის წვიმები კონვექციური წარმოშობისაა.




ნახ. 3. ნალექების საშუალოწლიური რაოდენობა მმ-ში
(ტ. ვ. ვლასოვას მიხედვით).

მეტეოროლოგიური პროცესების არსებითად განსხვავებულ სურათი იქმნება დიდი წყალგამყოფი ქედის აღმოსავლეთ კალთებზე და მიმდებარე სანაპირო ვაკეზე. სუბეკვატორული მონაკვეთი მოქცეულია თბილი და ტენიანი მუსონის გავლენის სფეროში, ხოლო უფრო სამხრეთით უხვნალექიანი ზაფხული განსაზღვრულია სამხრეთ-აღმოსავლეთ პასატით.

სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ავსტრალიაში ზაფხულში მშრალი ტროპიკული ჰაერის მასების გავლენით სიმშრალეა.

ზაფხულის ამინდების ნორმალურ მსვლელობას ზოგჯერ მკვეთრად არღვევს დამანგრეველი ძალის მქონე ტროპიკული ციკლონი, რომელიც კონტინენტს დაატყდება ჩრდილო-დასავლეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპიროებიდან. იგი ღრმად იჭრება კონ-



ნახ. 4. ჰაერის საშუალო ტემპერატურა ივლისში (ტ. ე. ვლასოვას მიხედვით).

ტინენტში და წარმოქმნის მძლავრ მტკრის ქარბორბალებს (სმერ-ჩებს), რომელიც ცნობილია ვილი-ვილის სახელწოდებით.

ზამთარში (იენისი-სექტემბერი) მეტეოროლოგიური პროცესები კონტინენტის მეტწილ ტერიტორიაზე მკვეთრად განსხვავებულ ხასიათს ატარებს. ზაფხულთან შედარებით მნიშვნელოვნად გრილა. განსაკუთრებით სამხრეთ ნახევარში, სადაც საშუალო ტემპერატურა პლუს 12-16° ფარგლებშია და წარმოიქმნება შედარებით მაღალი წნევის ოლქი. წაყინვები მოსალოდნელია ტროპიკიდან სამხრეთით ყველგან. ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთის მთებში და ტასმანიის ცენტრალურ ზეგანზე მას რეგულარული ხასიათი აქვს. ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმები კონტინენტურ სექტორში მიწუს 4-6° დაბლა არ ეცემა, ხოლო ავსტრალიის ალპებში აღნიშნულია მინუს 22°.

მაღალი წნევის ოლქის არეალი ემთხვევა სუბტროპიკული წნევის მაქსიმუმს, საიდანაც ეკვატორისაკენ ქრის სამხრეთ-აღმოსავლეთი პასატი, რომელიც ცენტრალურ და ჩრდილოეთ ავსტრალიაში განსაზღვრავს უნალექო ამინდებს.


სუბტროპიკულ სამხრეთში ზამთრის ნალექიანი ამინდების ჩამოყალიბებაში განმსაზღვრელ როლს ასრულებს ციკლონური ხასიათის ზომიერი ჰაერის მასები; თანაც, ციკლონების ნალექწარმოქმნელი გავლენა დიდი ავსტრალიის ყურის წყალობით თითქმის დიდი წყალგამყოფი ქედის მთისწინეთამდე აღწევს. აღმოსავლეთ ოკეანურ სექტორში ზამთარი კონტინენტური მუსონის გავლენით შედარებით მშრალი სეზონია. კუნძულ ტასმანიაზე მთელი წელი გაბატონებულია ზღვიური ზომიერი ჰაერის მასები.

ამრიგად, ნალექების მოსვლის სეზონური რიტმის მიხედვით ავსტრალიაში გამოიყოფა ორი ძირითადი სარტყელი — შუა და ჩრდილო ნაწილში წლიური ნალექების 50-70% მოდის ზაფხულზე (ეკვატორულ მუსონებზე), ხოლო მისგან სამხრეთით მდებარე ტერიტორია შედის ზამთარნალექიან სარტყელში. აღმოსავლეთ ვიწრო ოკეანურ სარტყელში (სექტორში) ნალექები მთელი წელი მოდის, მაგრამ ნათლად არის გამოხატული ნალექების მაქსიმუმი ძირითად ნაწილზე ზაფხულში, ხოლო სუბტროპიკულ მონაკვეთზე — გაზაფხულზე.

ატმოსფერული ნალექების მოსვლის სეზონური რიტმის ფონზე საგრძნობია ნალექების წლიური და თვიური ნორმების გადახრა საშუალო მრავალწლიურიდან. ყველაზე არიდულ კონტინენტურ

სექტორშიც ცალკეულ თვეებში ნალექების რაოდენობამ საშუალოთვიურ ნორმას შეიძლება 10-15-ჯერ გადააჭარბოს. ნალექების რაოდენობის გადახრის მაჩვენებელი საშუალოწლიური ნორმიდან ტერიტორიულად 20-40% ფარგლებში იცვლება. მეურნეობას თითქმის თანაბარ ზიანს აყენებს გვალვები და ხანმოკლე კატასტროფული თავსხმები.

კლიმატური სარტყლები და ოლქები. ვაკე რელიეფის გაბატონებამ და ატმოსფეროს ცირკულაციის ხასიათმა განსაზღვრა ჰავის პირობების ნათლად გამოხატული განედური სარტყლობრივი დიფერენციაცია, ხოლო დიდი წყალგამყოფი ქედის ბარიერულმა ფაქტორმა ხელი შეუწყო ჰავის და, მთლიანად, ლანდშაფტების სექტორულ დიფერენციაციას.



ნახ. 5. კლიმატური სარტყლები და ოლქები.*

* — შედგენილია ბ. პ. ალისოვის რუკის საფუძველზე.

სუბეკვატორული (ეკვატორული მუსონების) კლიმატური სარტყელი ძირითადად მოიცავს ჩრდილოეთ ნახევარკუნძულოვან ნაწილს და მიმდებარე ტერიტორიას ს. გ. 15-20°-მდე. მისთვის დამახასიათებელია მუდმივად მაღალი (25-30°) ტემპერატურები მცირე რყევადობით (საშუალო წლიური ამპლიტუდა 4-6° არ აღემატება), ნალექების მოსვლის მკვეთრად გამოხატული სეზონურობით. ზაფხული წვიმიანია, ზამთარი — მშრალი. ნალექების წლიური რაოდენობა სამხრეთისაკენ კლებულობს 1500-2000 მმ-დან 500 მმ-მდე.

კონტინენტის ძირითადი ნაწილი ტროპიკულ სარტყელშია, სადაც მცირე გამოწვევის გარდა ჰავა ცხელი და მკვეთრად არიდულია. კონტინენტური და დასავლეთოკეანური სექტორის ფარგლებში (დიდი წყალგამყოფი ქედიდან დასავლეთით) გამოიყოფა მშრალი ტროპიკული ჰავის ოლქი, სადაც ნალექების რაოდენობა 250 მმ-მზე ნაკლებია (ტბა ეირის ქვაბულის ტერიტორიაზე 120 მმ-ზე ნაკლები), ტემპერატურების რყევადობა დიდია, განსაკუთრებით დღე-ღამური (40°-მდე და უფრო მეტი). ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა დაბალია (40-60% არასოდეს არ აღემატება, ხოლო მტკრიანი ქარიშხლების დროს იგი ეცემა 10%-მდე).

კლიმატური სარტყლების და ოლქების რუქის ლეგენდა

I. ეკვატორული სარტყელი.

II. სუბეკვატორული (ეკვატორული მუსონების) სარტყელი:

1. ტენიანი, 2. არასაკმაოდ ტენიანი.

III. ტროპიკული სარტყელი:

3. აღმოსავლეთ ოკეანური, მუსონურ-ტროპიკული (მუსონურ-პასატური) ჰავით, 4. დასავლეთ ოკეანური, მშრალი (სანაპირო ნახევარუდაბნოს) ჰავით და 5. კონტინენტური ტროპიკული.

IV. სუბტროპიკული სარტყელი:

6. აღმოსავლეთ ოკეანური, მუსონურ-სუბტროპიკული ჰავით, 7. დასავლეთ ოკეანური, ხმელთაშუა ზღვიური ჰავით და 8. კონტინენტური სუბტროპიკული.

V. ზომიერი სარტყელი ზღვიური ჰავით.

საზღვრები: 1 — სარტყლის, 2 — ოლქის.

ტროპიკულ სარტყელში ნათლად გამოიყოფა აღმოსავლეთ ოკეანური სექტორი, რომელშიც შედის დიდი წყალგამყოფი ქედის აღმოსავლეთი საქარე კალთები და სანაპირო, სადაც მუსონურ-

ტროპიკული (მუსონურ-პასატური) ჰავაა, ნალექების ყველაზე თანაბარი შიდაწლიური განაწილებით კონტინენტზე, მაგრამ ნათლად გამოხატული ზაფხულის მაქსიმუმით. ნალექების წლიური რაოდენობა 1000—1500 მმ ფარგლებშია. დიდი წყალგამყოფი ქედის დასავლეთ კალთებზე და თხემურ ნაწილში ჰავა გარდამავალია მუსონურ-ტროპიკულიდან მშრალ ტროპიკულში. ნალექების წლიური რაოდენობა 500-დან 1000 მმ-მდეა.

კონტინენტის სამხრეთი ნაწილი (დაახლოებით 30°-იანი განედიდან სამხრეთით) შედის სუბტროპიკულ სარტყელში, სადაც პირობები უფრო მსგავსია სუბტროპიკული ჰავის სამი ტიპი (ოლქი): დასავლეთოკეანური (ხმელთაშუაზღვის ტიპის), აღმოსავლეთოკეანური (მუსონური) და მათ შორის კონტინენტური.

სუბტროპიკულ სარტყელს ზამთარში იკავებს პოლარული ფრონტი, რომელზეც ფორმირდება ციკლონური პროცესები. მათ ყველაზე აქტიური ხასიათი აქვთ კონტინენტის სამხრეთ-დასავლეთ პერიფერიაზე, სადაც ყალიბდება ხმელთაშუაზღვის ტიპის ჰავა. თბილი და წვიმიანი ზამთრით და ცხელი და მშრალი ზაფხულით. ზამთრის ნალექები აღმოსავლეთისაკენ თანდათან კლებულობს, მაგრამ დიდი ავსტრალიის ყურის გავლენით მის აღმოსავლეთ სანაპიროზე მაინც შენარჩუნებულია ნალექების შედარებით სუსტად გამოხატული ზამთრის მაქსიმუმი. ამრიგად, სხვა კონტინენტებისაგან განსხვავებით ავსტრალიაში ჩამოყალიბებულია ხმელთაშუაზღვის ტიპის ჰავის ორი წყვეტილი არეალი — ტიპური, სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში და, შედარებით სუსტად გამოხატული, დიდი ავსტრალიის ყურის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე.

სუბტროპიკული სარტყლის აღმოსავლეთ ოკეანურ სექტორში ჩამოყალიბებულია მუსონური ჰავა შედარებით თანაბარი წლიური დატენიანებით, მაგრამ ნალექების ნათლად გამოხატული მაქსიმუმით ჩრდილოეთ ნაწილში ზაფხულში, სამხრეთში — გაზაფხულზე. ავსტრალიის ალპებში გამოხატულია ჰავის სიმალღებრივი სარტყლურობა.

სუბტროპიკული სარტყლის კონტინენტური ხეკტორი მოიცავს დიდი ავსტრალიის ყურის ჩრდილოეთიდან მიმდებარე ტერიტორიას (ნალარბორის ვაკე), რომელიც ხასიათდება ცხელი ზაფხულით და შედარებით ცივი (უფრო სწორად გრილი) ზამთრით. ნალექების წლიური რაოდენობა 250 მმ-ზე ნაკლებია.

კუნძული ტასმანია ხვდება ზომიერ სარტყელში, სადაც მთელი წლის განმავლობაში გაბატონებულია ზღვიური ზომიერი ჰაერის მასები, რასთანაც დაკავშირებულია რბილი ზამთარი ციკლონური ამინდებით (მას კვეთს ივლისის პლუს 8°-იანი იზოთერმი და შედარებით გრილი ზაფხული (თითქმის შუაზე კვეთს იანვრის 15°-იანი იზოთერმი). ნალექების წლიური რაოდენობა 600-1000 მმ ფარგლებშია და სეზონურად საკმაოდ თანაბრადაა განაწილებული.

ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების შიდაწლიური რიტმი და გეოგრაფია ნათლად ჩანს ქვემოთ მოყვანილ კლიმატურ ცხრილში (№ 1).

შავა, განსაკუთრებით კი მისი თერმული შემადგენელი, აესტრალიის ყველაზე მნიშვნელოვანი აგროკლიმატური რესურსია, რომელიც, მცირე გამონაკლისის გარდა, არსად არ ზღუდავს სითბოს-მოყვარული კულტურების მოყვანას, მაგრამ მისი რეალიზება ტენით ბუნებრივ პირობებში უზრუნველყოფილია მხოლოდ შედარებით მცირე ტერიტორიაზე, კერძოდ, ჩრდილო, აღმოსავლეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ, სამხრეთ-დასავლეთ პერიფერიაზე და ტასმანიაში. ტროპიკული სარტყლის ძირითად ნაწილზე ნალექების მოსვლის მკვეთრად გამოხატული არარეგულარობა ძლიერ ხელისშემშლელია მიწათსარგებლობისათვის.

კონტინენტის სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ პერიფერიაზე საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის განვითარებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია.

შიდა წყლები

ავსტრალია ყველაზე უწყლო კონტინენტია, ვინაიდან ზედაპირული ჩამონადენის ჩამოყალიბებისათვის კლიმატური პირობები უკიდურესად არახელსაყრელია. ტერიტორიის ძირითად ნაწილზე წლიური აორთქლებადობა ბევრად აღემატება წლიურ ნალექებს. ამის შედეგად იქმნება უაღრესად არახელსაყრელი წყლის ბალანსი, რომელიც ასე გამოიყურება (ლ. ფროლოვას მიხედვით):

ატმოსფერული ნალექების საერთო მოცულობა	— 3470 კმ ³
„—————“ ფენის სისქე	— 456 მმ:
მდინარეთა ჩამონადენის საერთო მოცულობა	— 440 კმ ³
„—————“ ფენის სისქე	— 57,0 მმ.
აორთქლების საერთო მოცულობა	— 2990 კმ ³
„—————“ ფენის სისქე	— 393 მმ.

ძირითადი ჰეტეროიდოფორი ელემენტების შიდაწლიური და სარტყლობრივ-სექტორული მსულულობა
(ბ. პ. ალისოვის მიხედვით)

სარტყლო*	ოლქი	3	ჰერის ს.შ. ტემპერატურა		ჰერის ფარ-ლობითი ტენი-ანობა %-ში		წალექების რაოდენობა მმ-ში		
			უბ. თვის	უბ. თვის	უბ. თვის	უბ. თვის	საპნაპტ სპინდელი	საპნაპტ სპინდელი	საპნაპტ სპინდელი
1	2	3	4	5	6	7	8	9	
სუბტროპიკული	დასავლეთ ოკეანური აღმოსავლეთ ოკეანური	სადგური, იმის გეოგრაფიული განელი, გრძელი და სიმაღლე (H) ზღვის დონიდან	XI 29 XII 31 XII 29 XII 28 I 28	VII 24 VII 22 VII 21 VIII 25 VII 22	1177—VII 50 1165—IX 50 — 1185—IX 80 —	1580 700 890 2080 1750	I 400 I 200 I 280 I 580 II 370	VII 0 IX 0 VIII 0 IX 0 IX 10	
ტროპიკული	დასავლეთ ოკეანური	გემსლან პული, ს. გ. 26° 24'. ა. გ. 114° 12', პეი ხილი, ს. გ. 25° 36'. ა. გ. 118° 48'. 600 მ.	I 29 I 30 I 30	VII 15 VII 12 VII 11	— — VI 60-X 130	190 230 270	VI 50 — I 50	X 0 — VII 10	
	კონტინენტური	ალის-სარანჯი, ს. გ. 23° 40', ა. გ. 133° 46': 600 მ.							

*—ბ. პ. ალისოვი მას ზონასთან აივებებს.

1	2	3	4	5	6	7	8	9
სუბტროპიკული	აღმოსავლეთ ოკეანე	გაი, ს. გ. 21° 9'. ა. გ. 149° 14'	XII 28	VII 16	V 90-XI 70	191C	III 390	VIII 20
		ბრისპენი, ს. გ. 27° 27', ა. გ. 153° 02'	XII 25	VII 14	III 80-XII 70	1370	II 740	IX 60
		პეტრო, ს. გ. 31° 57', ა. გ. 115° 52'	II 24	VII 13	VII 75-XII 60	850	VIII 70	I 10
		ბანგერი, ს. გ. 33° 17' ა. გ. 115° 38'	II 21	VII 12	—	850	VII 16	II 10
		ეოლა, ს. გ. 31° 42'. ა. გ. 128° 54'	II 21	VII 12	—	260	VI 30	XII 10
		ადელაიდა, ს. გ. 34° 55', ა. გ. 138° 36'	I 23	VII 11	VII 75-1 45	520	VI 80	II 20
		მელბურნი, ს. გ. 37° 47'. ა. გ. 144° 58'	I 20	VII 9	VII 80-165	650	X 65	II 50
		სიდნეი, ს. გ. 33° 52'. ა. გ. 151° 10'	I 22	VII 11	V 80-XII 70	1230	IV 140	IX 70
		გოულბურნი, ს. გ. 34° 46'. ა. გ. 149° 42'. 650 მ.	I 21	VII 6	—	660	I 70	VII 40

მიწისქვეშა ჩამონადენი — 26,4 მმ (5,8% ნალექებიდან),
ჩამონადენის კოეფიციენტი — 0,09.

წყლის ბალანსის შემადგენელი ელემენტებიდან ჩანს, რომ კონტინენტზე წლიურად მოსული ნალექების ისედაც მცირე მოცულობიდან ზედაპირული ჩამონადენის ჩამოყალიბებაზე იხარჯება მხოლოდ 10-13%, 86%-ზე მეტი იყარება აორთქლებაზე. უმნიშვნელო ნაწილი ხმარდება მიწისქვეშა ჩამონადენს. კონტინენტის წლიური ჩამონადენის მთლიანი მოცულობა შეადგენს 440 კმ³, რაც დაახლოებით 15-ჯერ ნაკლებია მდ. ამაზონის და 1,5-ჯერ მდ. ენისის ჩამონადენზე.

ზედაპირული ჩამონადენი განაწილებულია ორ ოკეანურ და გაუდინარ აუზებს შორის. ტერიტორიის 60% განეკუთვნება შიდა ჩამონადენის (გაუდინარ) აუზს, 30% — ინდოეთის ოკეანის აუზს, დაახლოებით 10% — წყნარი ოკეანის აუზს. კონტინენტის მთავარ წყალგამყოფს წარმოადგენს დიდი წყალგამყოფი ქედი, საიდანაც ჩამოედინებიან ყველაზე დიდი და წყალუბვი მდინარეები. მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს მთავარი წყალგამყოფის გადანაცვლება აღმოსავლეთის შედარებით მაღალი ქედებიდან დასავლეთისაკენ, სადაც იგი გაუყვება დაბალ მოსწორებულ მთებს და ვულკანურ პლატოებს. ეს გამოიწვია კონტინენტის აღმოსავლეთი კიდის ნეოტექტონიკურ აზეებასთან დაკავშირებულმა მდინარეთა ქსელის გარდაქმნამ. აზეების პარალელურად მდინარეებმა ჩაჭრეს პირველადი წყალგამყოფი ქედი, გამოიმუშავეს ანტეცედენტური ხეობები. ამის შედეგად წყნარი ოკეანის აუზის მდინარეებმა მოიტაცეს რიგ მდინარეთა სათავეები, რომლებიც მიედინებოდნენ დასავლეთის მიმართულებით.

ზედაპირული ჩამონადენის ფენის სისქე საშუალოდ მხოლოდ 57 მმ, რითაც ბევრად ჩამორჩება ნებისმიერ კონტინენტს. ტერიტორიულად ფენის სისქე ძლიერ ცვალებადია. მისი მაქსიმალური სიღიღეები (1000-1500 მმ, ზოგან მეტიც) აღინიშნება ყველაზე რეგულარული ნალექების სარტყელში — დიდი წყალგამყოფი ქედის აღმოსავლეთ საქარე კალთებზე, მაშინ, როცა დასავლეთ ქარზურგა კალთებზე იგი 50 მმ არ აღემატება, ხოლო მურეი-დარლინგის მდინარეთა აუზებში 10-12 მმ ფარგლებშია. ტერიტორიის ძირითად ნაწილზე (კონტინენტურ სექტორში) ჩამონადენი 5-10 მმ არ აღემატება, ხოლო საკმაოდ დიდი ტერიტორიები (კირქვიანი ნალარბორის ვაკე და ქვიშიანი უდაბნოები) ჩამონადენს სრულებით მოკლებულია.

ავსტრალიის მდინარეები თითქმის მთლიანად წვიმის წყლით საზრდოობენ და ახასიათებთ ჩამონადენის ნათლად გამოხატული სეზონურობა, მეტნაკლები სიმკვეთრით სხვადასხვა აუზების მიხედვით.

ყველაზე ხშირი და უხვწყლიანი მდინარეთა ქსელით გამოირჩევა წყნაროკეანური აუზი (მასზე მოდის მთლიანი ჩამონადენის დაახლოებით 37%), ჩამონადენის ყველაზე მეტი სითანაბრით სეზონების მიხედვით, მაგრამ ნათლად გამოხატული ზაფხულის მაქსიმუმით, რომელიც დაკავშირებულია მუსონურ წვიმებთან. აღმოსავლეთ სანაპიროს სამხრეთში ჩამონადენის მაქსიმუმი ზაფხულიდან და შემოდგომიდან გადაინაცვლებს ზამთარში, ხოლო ავსტრალიის ალპების მდინარეებზე ნაღობი წყლის გავლენით, გაზაფხულში. წყალგამყოფის სანაპიროსთან სიახლოვის გამო (აღმოსავლეთი კალთა ციცაბოა) მდინარეები მოკლე და მთის ტიპისაა. ყველაზე დიდი მდინარეების (ფიცროი, ბერდეკინი, ჰანტერი, კლარენსი და სხვ.) სიგრძე რამოდენიმე ასეული კილომეტრით შემოიფარგლება. ზოგი მათგანი ქვემო დინებაზე 100-მდე კილომეტრზე სანაოსნოა.

მდინარეთა ქსელის სიხშირით და შედარებით რეგულარული ჩამონადენით მეორე ადგილზეა ჩრდილოეთი (ნახევარკუნძულოვანი) ავსტრალია, რომელიც განეკუთვნება ინდოეთის ოკეანის აუზს. მკვეთრად გამოხატული სეზონურობით. წლიური ჩამონადენის 80% მოდის ზაფხულზე, როცა გაბატონებულია ეკვატორული მუსონი. ზამთარში და გაზაფხულზე მდინარეები წყალმარჩხდება და ზემო დინებაზე ბევრი მათგანის კალაპოტი შრება. ყველაზე დიდი მდინარეები (ფლინდერზი, ვიქტორია, ორდი, როპერი, მიტჩელი და სხვ.) ქვემო დინებაზე გამოიყენებიან სანაოსნოდ. ინდოეთის ოკეანის და მთლიანად კონტინენტის უდიდესი მდინარის სისტემაა მურეი დარლინგი. ორივე დიდი წყალგამყოფი ქედიდან გამოედინება. თუმცა დარლინგი უფრო გრძელია (2740 კმ), ვიდრე მურეი (2570 კმ), მთავარ მდინარედ მაინც ეს უქანასკნელი ითვლება, იგი კონტინენტის ყველაზე წყალუხვი მდინარეა, თუმცა მისი საშუალო წლიური ჩამონადენი 15 კმ³ არ აღემატება (მდ. რიონზე ოდნავ მეტი). მთლიანი აუზის ფართობი შეადგენს 1057 ათას კმ². ახასიათებთ დონეების ძლიერ რყევადობა. ზაფხულის წყალდიდობა ხშირად კატასტროფული ხასიათისაა და იწვევს ვრცელი ტერიტორიების დატბორვას. ზამთრის მშრალ სეზონში დონე მდინარეებზე

ძლიერ კლებულობს. დარლინგის კალაპოტი ზემო დინებაზე შრება, ხოლო მურეი, რომელიც გამოედინება ავსტრალიის ალპებიდან, დამატებით იკვებება ნაღობი წყლით, რის გამოც მუდმივ ჩამონადენს ინარჩუნებს ყველა მონაკვეთზე, თუმცა ქვემო დინებაზე აორთქლებაზე, ფილტრაციაზე და სამეურნეო საჭიროებაზე წყლის დიდი დანაკარგების შედეგად მისი დონე ძლიერ იკლებს. მურეის საშუალო ხარჯი დარლინგის შესართავის ქვემოთ შეადგენს 330 მ³/წმ. დონეების ძლიერი რყევადობა ხელს უშლის მდინარეთა სამეურნეო გამოყენებას, განსაკუთრებით ნაოსნობას. განსაკუთრებით დიდია მათი გამოყენება ნაყოფიერი და გვალვიანი მიწების მოსარწყავად. ამჟამად მდინარის ჩამონადენი დარეგულირებულია, მასზე შექმნილია დიდი წყალსაცავები. მურეის დიდი შენაკადებიდან აღსანიშნავია აგრეთვე მარამბიჯი და გოულბერნი, რომლებიც მთელი წელი ინარჩუნებენ ჩამონადენს.

სამხრეთ-დასავლეთ პერიფერიაზე (ინდოეთის ოკეანის აუზი) მდინარეები ხასიათდებიან ხმელთაშუაზღვიური რეჟიმით. მთლიანად ინდოეთის ოკეანეზე მოდის კონტინენტის ჩამონადენის დაახლოებით 60%.

ავსტრალიის ტერიტორიის 60% უკავია შიდა ჩამონადენის (გაუდინარ) აუზს. ამ მხრივ მას ვერც ერთი კონტინენტი ვერ შეედრება. მის ფარგლებშია ტბა ეირის ვრცელი აუზი და კიდევ უფრო ვრცელი დასავლეთ ავსტრალიის ზეგანი. ეს უკანასკნელი ჩამონადენს პრაქტიკულად მოკლებულია. ცენტრალური ვაკე-დაბლობისათვის (ტბა ეირის აუზი) დამახასიათებელია მშრალი კალაპოტების ხშირი ქსელი, რომელიც წარმოადგენს მეოთხეულის პლუვიალური ეპოქის კარგად განვითარებული ჰიდროგრაფიული ქსელის რელიქტს. მშრალი კალაპოტები წყლით ივსება ხანმოკლე დროით ეპიზოდური წვიმებისას და ატარებს კრიკების სახელს. ისინი უერთდებიან გაუდინარ შრობად ეირის ტბას, თუმცა ტბამდე აღწევენ მხოლოდ ძლიერი წყალდიდობისას. სიდიდით გამოირჩევა კუპერზ-კრიკი, რომელიც სათავეს იღებს კვინსლენდის მთებიდან და ზემო დინებაზე იერთებს მთელ რიგ შენაკადებს (ელისი, ტომსონი და სხვ.). დასავლეთ ავსტრალიის ზეგანზე კრიკების ქსელი შეუდარებლად უფრო მეჩხერია. სრულებით მოკლებულია ზედაპირულ ჩამონადენს ნალარბორის კარსტული ვაკე, რომელიც ხასიათდება მიწისქვეშა კარსტული ჰიდროგრაფიული ქსელით, საიდანაც ჩამონადენი მიემართება დიდი ავსტრალიის ყურისაკენ.

ტბები ავსტრალიის შიდა წყლების და მთლიანად ლანდშაფტის თავისებური ელემენტია, რომელთა ხასიათი ნათლად ასახავს ჰაერის ექსტრაარიდულობას კონტინენტის ძირითად ნაწილზე. ტბები ჩაოდენობრივად ბევრია, მაგრამ თითქმის ყველა გაუდინარი, მლაშე და წყალმარჩხია, რომელთა უმეტესობა წლის მეტ დროს მშრალია. ტბიური ქვაბულების სიხშირით გამოირჩევა დასავლეთ ავსტრალიის ზეგანი (განსაკუთრებით მისი სამხრეთი ნაწილი) წყალგაუმტარი გრუნტით. ესენი ნარჩენი ტბებია და მიგვანიშნებენ ახლო გეოლოგიური წარსულის პლუვიალურ პირობებზე. თანამედროვე ეპოქაში მათ ქვაბულებში წყალი ჩნდება მხოლოდ ხანმოკლე ეპიზოდური თავსხმა წვიმებისას. მეტწილ დროს მათი კალაპოტის ზედაპირი დაფარულია მარილისა და თაბაშირის ქერქით. მათგან სიდიდით გამოირჩევა: მაკაი, ამადეუსი, კარნეგი, კერი, ოსტინი, მონჯერი, მური, ბარლი, კაუენი და სხვ. ყველაზე დიდი ტბიური ქვაბულები განვითარებულია ცენტრალურ დაბლობზე. მათ შორის უდიდესია ტბა ეირი, რომელიც წარმოადგენს ვრცელი (მკვლევრების ვარაუდით 100 ათას კმ²-ზე მეტი ფართობის და 50 მ სიღრმის) პლეისტოცენური წყალსატევის ნარჩენს. მდებარეობს დეპარტამენტში, რომელიც ოკეანის დონიდან 12 მ-ით დაბლაა. წარმოადგენს ვრცელი გაუდინარი ტერიტორიის ცენტრს, რომელშიც ჩაედინება მრავალრიცხოვანი პერიოდული ნაკადები (კრიკები). ტბა ძლიერ მლაშე და წყალმარჩხია. ტბის ფართობი და სანაპირო ხაზის კონფიგურაცია, ნალექების მოსვლის შესაბამისად, ძლიერ ცვალებადია. წვიმიან პერიოდში ტბის წყლის სარკის ფართობი მკვეთრად მატულობს და, ზოგჯერ, აღწევს 15 ათას კმ², ხოლო მშრალ სეზონში, რომელიც წლის მეტ დროს მოიცავს, მისი მასაზრდობელი კრიკები შრებიან და თითქმის მთლიანად შრება ტბაც. მისგან რჩება ცალკეული წყალმარჩხი მცირე ფართობის მქონე წყალსატევები. კალაპოტის ძირითად ნაწილს კი გადაეკვრება მაჩილის სქელი ქერქი. ტბა ეირი მდებარეობს ყველაზე არიდულ და უნაყოფო უდაბნოს ცენტრში. ტბა ეირიდან სამხრეთით მნიშვნელოვანი სიდიდის რამოდენიმე გაუდინარი და მლაშე ტბაა ანალოგიური ჰიდროლოგიური რეჟიმით. მათგან აღსანიშნავია: ტორენზი, გერდნერი, ფრომი და სხვ.

ავსტრალიაში ზედაპირული წყლების (განსაკუთრებით მტკნარი) ძლიერი დეფიციტის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიწისქვეშა წყლის რესურსებს, რითაც კონტინენტა

ქალიან მდიდარია. მიწისქვეშა წყლები კონცენტრირებულია არტეზიულ აუზებში, რომელთა ჯამური ფართობი სამ მილიონ კმ² აღემატება, რაც კონტინენტის ფართობის თითქმის ნახევარია. მისი ნახევარზე მეტი უკავია დიდ არტეზიულ აუზს, რომელიც მსოფლიოში უდიდესია.

არტეზიული აუზები განლაგებულია ბაქნის საძირკვლის სინეკლიზებში. არტეზიული წყლების შემცველი პორიზონტების განლაგების სიღრმე პერიფერიებიდან ცენტრისაკენ მატულობს რამოდენიმე ათეული მეტრიდან 2000 მეტრამდე. წყალი მეტწილად აუზებში თბილი და მლაშეა. წყლის სიმლაშე ხელს უშლის მის გამოყენებას სასმელად და სახნავი მიწების სარწყავად. მეტწილად გამოიყენება მრეწველობაში და საძოვრების მოსარწყავად. სულ ავსტრალიაში 6500-მდე არტეზიულ ჭას ითვლიან.

ავსტრალია ერთადერთი კონტინენტია, რომლისთვისაც თანამედროვე გამყინვარება არაა დამახასიათებელი.

ბუნებრივი რესურსებიდან ავსტრალიისათვის ყველაზე უფრო მწვავე პრობლემას წარმოადგენს წყლის რესურსების (განსაკუთრებით მტკნარი) დეფიციტი. მას განსაკუთრებით განიცდის სუბტროპიკული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, სადაც თავმოყრილია ქვეყნის სარწყავი მიწების 90%-მდე და, ამასთან დაკავშირებით, ძლიერ არის დაბინძურებული წყლები პესტიციდებით და მინერალური (მეტწილად აზოტოვანი) სასუქებით. წყლის რესურსებს დიდ ზიანს აყენებს სამრეწველო ჩამონადენი, განსაკუთრებით აღმოსავლეთ პერიფერიაზე. ავსტრალიის წყლის რესურსების პრობლემის გადაჭრის ეროვნულ პროგრამაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩამონადენის ტერიტორიული განაწილების ღონისძიებებს და წყლის მრავალჭერად გამოყენებას. დასავლეთ ავსტრალიაში მუშაობს ზღვის წყლის გამამტკნარებელი დანადგარი.

ნიადაგ-მცენარეული საფარი და ცხოველთა სავსარო

ავსტრალიის ბუნებრივი ლანდშაფტის თავისებურება ყველაზე ნათლად გამოჩნატულია მისი ორგანული სამყაროს ხასიათში, რომელიც მკაფიოდ ასახავს ბუნების გეოლოგიური განვითარების ისტორიას (მნიშვნელოვანია მისი კავშირი სამხრეთ ნახევარსფეროს

კონტინენტებთან გონდვანის სუპერკონტინენტის ჩარჩოებში, ხოლო მისი დაშლის შემდეგ ხანგრძლივ დროში კუნძულოვანი განვითარება), წარსულის და თანამედროვე კლიმატურ პირობებს, რელიეფის ხასიათს და ადამიანის სამეურნეო საქმიანობის გავლენას.

მცენარეულობა და ნიადაგები. ფლორისტულად ავსტრალია იმდენად გამოირჩევა სხვა ქვეყნის ნაწილებისაგან, რომ იგი ტასმანიასთან ერთად ქმნის დამოუკიდებელ და განსაკუთრებულ ფლორისტულ სამეფოს (ოლქს). იგი მცენარეთა სახეობებით ღარიბია, მაგრამ გამოირჩევა მალალი ენდემიზმით. 1200 სახეობიდან 70% მეტი ენდემურია. მცენარეულობა და, საერთოდ, ორგანული სამყარო, გამოირჩევა სიძველითაც. ინდივიდუალობასთან ერთად ავსტრალიის ფლორა ნათლად ასახავს მის ჩამოყალიბებას ძველ ფლორისტულ ცენტრებთან (კაპის, სამხრეთ ამერიკის, სამხრეთ აფრიკის და ანტარქტიკული) კავშირში, რამაც გასტანა მეზოზოურის დამლევამდე. ხოლო მის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე კუნძულები სანმელეთო ხიდს ქმნიდნენ აზიასთან, რომელიც არსებობდა ნეოგენამდე. შუა კაინოზოურიდან ავსტრალიის ბუნება ვითარდებოდა სხვა კონტინენტებისაგან იზოლირებულად, რამაც განსაზღვრა მალალი ენდემიზმი. ნიშანდობლივია, რომ ავსტრალიის ფლორაში არ არის წარმოდგენილი სხვა კონტინენტებზე ფართოდ გავრცელებული მთელი რიგი ოჯახები. —

მკვლევრები ავსტრალიაში გამოყოფენ ფლორის ჩამოყალიბების ორ ძირითად ცენტრს სამხრეთ-დასავლეთში და სამხრეთ-აღმოსავლეთში, რომელთაც მეოთხეულამდე ყოფდა ზღვიური აუზი, ხოლო შემდგომ მათ შორის ეკოლოგიურ ბარიერს ქმნიდა ვრცელი შიდაკონტინენტური უდაბნოები. ამასთან დაკავშირებით კონტინენტის აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილები ფლორისტულად მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მათ შორის საერთოა მცენარეთა არაუმეტეს 10 სახეობისა.

მცენარეთა (ასევე ნიადაგების) ძირითადი ტიპები, ანალოგიურად ნალექების შიდატერიტორიული განაწილებისა, იცვლებიან კონცენტრულად განლაგებულ სარტყლების (არეალების) სახით. პერიფერიებიდან (განსაკუთრებით ჩრდილო-აღმოსავლეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი) ცენტრისაკენ არიდულობის ზრდის შესატყვისად მცენარეთა ქსერომორფულობა თანდათან ძლიერდება: პიდროფილურ და მეზოფილურ ტროპიკულ და სუბტროპიკულ ტყეებს თანდათან ცელის მარადმწვანე მეჩხერა

ნათელი ტყეები ფოთოლცვენების მონაწილეობით, სავანები და ნათელი ტყეები, ხოლო კონტინენტის ძირითად ნაწილზე (კონტინენტური სექტორი, სამხრეთი და დასავლეთი პერიფერია) გაბატონებულია ქსეროფიტული (უდაბნოს და ნახევარუდაბნოს) მცენარეულობა. ქვიშიან უდაბნოებში მნიშვნელოვანი ფართობი უკავია ნიადაგ-მცენარეულ საფარს მოკლებულ ტერიტორიებს. ავსტრალიაში ბუნების ფართო არიდინაცია მოჰყვება მეოთხეულში (პოლოცენში) ქსეროთერმული ჰავის ჩამოყალიბებას. წინამორბედ გეოლოგიურ დროში მეზოფილურ ტყეებს, რომელთა ფართობი თანამედროვე პირობებში ძლიერ შეზღუდულია (ტყიანობით მას კონტინენტებს შორის ბოლო ადგილი უკავია), ეკავა კონტინენტის უმეტესი ნაწილი.

ავსტრალიის ტყეშემქმნელი ჯიშებიდან მთავარია: ევკალიპტები, აკაციები, პალმები, კაზუარინები და სხვ. ევკალიპტი ავსტრალიის ტყეების და მთლიანად ლანდშაფტის განსაკუთრებით დამახასიათებელი ელემენტია. კონტინენტზე მის 350-მდე (ზოგი მკვლევრის მიხედვით 500-მდე) ენდემური სახეობაა. ავსტრალიას ევკალიპტების კონტინენტს უწოდებენ და ითვლება მისი ფლორის ჩამოყალიბების ცენტრად. მას ახასიათებს ეკოლოგიური პირობების, მასთან, სასიცოცხლო ფორმების ფართო სპექტრი. იგი ავსტრალიის ყველა ტიპის ლანდშაფტის შემადგენელი ელემენტია, დაწყებული უდაბნოების ქსეროფიტული დაბალტანიანი ბუჩქნარი ევკალიპტით და დამთავრებული ტენიანი სუბტროპიკების გიგანტური ევკალიპტებით (ნუშის ევკალიპტი სიმაღლით 150 მ აღწევს; ხოლო დიამეტრი 10 მ აღემატება). ავსტრალია ასევე ითვლება აკაციების კონტინენტად. მისი 500-ზე მეტი სახეობაა, რაც მსოფლიო ფლორის აკაციათა სახეობების 60%-ზე მეტია. მისი გავრცელების არეალი კიდევ უფრო ფართო ეკოლოგიური სპექტრით გამოირჩევა.

კონტინენტის ჩრდილო პერიფერიაზე, განსაკუთრებით კი კენი-იორკის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ პერიფერიაზე, საშუალოდ ს. გ. 20° ჩრდილოეთით, განვითარებულია ნოტიო ტროპიკული ტყეები ხშირი ლიანებით და ეპიფიტებით წითელმიწა-ყვითელმიწა ფერალიტურ ნიადაგებზე. ტყეშემქმნელი ჯიშებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: პალმები, ფიკუსები, ხედაფნა, ხეგვიმრები და სხვ. ტენიანი (მუსონურ-პასატური) ტყეების გავრცელების არეალი წყნაროკეანურ სექტორში გრძელდება უკიდურეს სამ-

ზრეთამდე ძირითადად იმ განსხვავებით, რომ სახეობრივი შემადგენლობა უფრო და უფრო მარტივდება და, თანაც, ტყეშემქმნელი ჯიშებიდან თანდათანობით გაბატონებული ხდება ევკალიპტი.

სანაპირო ზოლში ზღვის წყლით დამლაშებულ ნიადაგებზე დამახასიათებელია პანდანუსები, ზოგან (არნემლენდის ნახევარკუნძული და კვინსლენდის სანაპიროები) ბამბუკის რაყები. აღმოსავლეთ სანაპიროზე და მთებში გავრცელებულია წიწვოვანი არაუკარია. ტროპიკული სარტყლის დაბლობ სანაპირო ზოლში (განსაკუთრებით კარპენტარიის ყურის სანაპიროზე) განვითარებულია მანგროს ტყეები.*

სამხრეთ-აღმოსავლეთ პერიფერიაზე და განსაკუთრებით ტასმანიაზე, აღინიშნება ანტარქტიკული სახეობები, რომელთაგან აღსანიშნავია მარადმწვანე წიფელი. მარადმწვანე სუბტროპიკული ტენიანი ტყეების ქვეშ განვითარებულია წითელმიწა-ყვითელმიწა ნიადაგები. ხეები შემოსილია ეპიფიტებით. მთებში, განსაკუთრებით საქარე კალთებზე, ნიადაგ-მცენარეული საფარი იცვლება სიმაღლის მიხედვით, რომელიც ყველაზე ნათლად და შედარებით მრავალფეროვანი სპექტრით არის გამოხატული დიდი წყალგამყოფი ქედის სუბტროპიკულ მონაკვეთზე (განსაკუთრებით ავსტრალიის ალპებში) და ტასმანიის მთებში. ევკალიპტისა და ხევიმირისაგან შექმნილი ხშირი ტყე ყვითელმიწა-წითელმიწა ნიადაგებით საქარე მთების კალთებზე ვრცელდება 1200 მ-მდე. უფრო მაღლა განვითარებულია მთის პილვა (შედარებით დაბალტანიანი და მეჩხერი ევკალიპტის და წიფლის ტყეები, მთის ყვითელმიწა-წითელმიწა და ტყის ყომრალი ნიადაგებით). მას სიმაღლით ცვლის ჯერ ბუჩქნარების, ხოლო მაღალმთიან ზონაში სუბალპური და ალპური ბუჩქნარებისა და მდელოს მცენარეულობა, მთა-მდელოს ნიადაგებზე. ტასმანიაზე, ზღვიური სუბტროპიკული და ზომიერი ჰავის პირობებში, განვითარებულია ხშირი შერეული და ფართოფოთლოვანი ტყეები მარადმწვანე და ფოთოლცვენია ხეებით წითელმიწა და ტყის ყომრალ ნიადაგებზე. ტყეშემქმნელი ჯიშებიდან მთავარია მარადმწვანე წიფელი.

დიდი წყალგამყოფი ქედის დასავლეთ კალთებზე სუბტროპიკული განედებიდან ჩრდილოეთით და სუბეკვატორული სარტყლის

* — მანგროს ტყეები — მარადმწვანე დაბალტანიანი (10 მ-მდე) ტყეები და ბუჩქნარები ტროპიკულ სანაპიროებზე, რომელიც დატულია ზვირთცემისაგან, მაგრამ იტბორება მოქცევის დროს. სახეობებით არაა მდიდარი.

ძირითად ნაწილზე განვითარებულია მარადმწვანე (ალაგ-ალაგ ნახევრადფოთოლცვენია) ნათელი ტყეები და მალალტანიანი მარცვლოვანი სავანები წითელმიწა ფერალიტურ და წითელ-მურა ნიადაგებზე.

კონტინენტის სამხრეთ-დასავლეთ პერიფერიაზე, აგრეთვე დიდი ავსტრალიის ყურის აღმოსავლეთ სანაპიროს მიმდებარე ტერიტორიაზე (დასავლეთი ვიქტორია) განვითარებულია ხმელთაშუაზღვის ტიპის მცენარეულობის ანალოგიური მარადმწვანე ხეშეშფოთლიანი (ქსეროფიტული) ტყეები და ბუჩქნარები ყავისფერ ნიადაგებზე.

სამხრეთ-დასავლეთი გამოირჩევა განსაკუთრებით მალალი (80%-ზე მეტი) ენდემიზმით და ძირითადად წარმოდგენილია ნათელი ევკალიპტის ტყეებით. ევკალიპტის ზოგი სახეობის („წითელი ხე“ და სხვა) სიმაღლე 80—100 მ აღწევს, ტყეებში ბევრია ძვირფასმერქნიანები. სანაპიროდან დაშორებით ქსეროფიტულობა მატულობს და აღნიშნულ ტყეებს ცვლის მაქვისის ტიპის ბუჩქნარები ავსტრალიური სახეობებით, გამოტუტულ ყავისფერ ნიადაგებზე.

დიდი წყალგამყოფი ქედის დასავლეთ მთისპირეთში, დასავლეთ ავსტრალიის ზეგნის დასავლეთ ნაწილში და კრისტალურ მასივებზე განვითარებულია ქსეროფიტული ბუჩქნარი სავანა ნახევარუდაბნოს და უდაბნოს ელემენტებით, წითელ-მურა ნიადაგებზე, რკინიანი რელიქტური (მეოთხეულის პლუვიალური ეპოქიდან) ქერქით.

ქსერომორფულობით გამოირჩევა კონტინენტური სექტორი ტროპიკულ და სუბტროპიკულ სარტყლებში. სამხრეთით იგი ვრცელდება დიდი ავსტრალიის ყურის სანაპირომდე. დასავლეთ ავსტრალიის ზეგნის ძირითადი ნაწილი უკავია ვრცელ ქვიშიან უდაბნოებს (დიდი ქვიშიანი, გიბსონის, დიდი ვიქტორიის), რომელთა ბუნება განსაკუთრებით უსიცოცხლოდ გამოიყურება. მის ფარგლებში გაბატონებულია ე. წ. სპინიფექსის უდაბნო, რომელსაც ქმნის მკვეთრად ქსეროფიტული ხეშეში ეკლიანი მარცვლოვნები და ნახევრად ბუჩქნარი მცენარეულობა. სპინიფექსი ფიქს იკიდებს ქვიშებზე და ამაგრებს მოძრავ დიუნებს. ხემცუნარებიდან უდაბნოში გვხვდება კაზუარინები, დიდი ფართობები უკავია ნიადაგ-მცენარეულ საფარს მოკლებულ კარკალებს და მოძრავ ქვიშიან დიუნებს. ქვიანი უდაბნოებისათვის დამახასიათებელია საკმაოდ

მძლავრი რკინიანი ქერქი, სრომლის წარმოქმნა თანამედროვე კლი-
მატურ პირობებში გამოირიცხებოდა. სამხრეთით უდაბნოთა უკიდუ-
განო მერიდიანული სარტყელი ბოლოვდება პრაქტიკულად უსი-
ცოცხლო ნალარბორის* უდაბნოში. ზედაპირულ ჩამონადენს მოკ-
ლებულ კარსტულ ვაკეზე შევხვდებით მხოლოდ მეჩხერ, დაბალ-
ტანიან ეკლიან ბუჩქებს, რომელთა შორის არის ქონდარა ევკალიპ-
ტებიც. კონტინენტის დასავლეთ პერიფერიაზე და წყალგამყოფე-
ბის ვრცელი ტერიტორიებისათვის, სადაც ტენი შედარებით მეტია,
დამახასიათებელია გაუდაბნოებული სავანის მცენარეულობა, რო-
მელიც შექმნილია სკრების** სხვადასხვა ტიპის ფორმაციებით. იგი
თავისი ხასიათით გარდამავალია ევკალიპტიანი სავანიდან უდაბნო-
ებისაკენ. სკრების შემქმნელი ელემენტებიდან მთავარია ევკალიპ-
ტი და აკაცია. მათთან შერეულია აგრეთვე კაზუარინები და ბოთლა
ხეები. არჩევენ ევკალიპტთან ანუ „მალი სკრებს“, რომელიც მეტ-
წილად გავრცელებულია სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ავსტრა-
ლიაში. მის ფარგლებში ბალახსაფარს ქმნის მეჩხერი ქსეროფი-
ტული მარცვლოვნები. გაუვალ ბარდებს ქმნის ე. წ. „მელგა
სკრები“, რომელიც ეკლიანი აკაციებით არის შექმნილი და თითქ-
მის მთლიანად მოკლებულია ბალახსაფარს. იგი გავრცელებულია
„მალი სკრების“ არეალიდან ჩრდილოეთით და დასავლეთ ავსტრა-
ლიიდან ცენტრალურ დაბლობამდე.

ნიდაგ-მცენარეული საფარის მიმოხილვიდან ნათლად ჩანს
მათი ძირითადი ტიპების (ზონების) კონცენტრული განლაგება, რაც
დაკავშირებულია დატენიანების კოეფიციენტის შიდატერიტორიუ-
ლი დიფერენციაციის ანალოგიურ ხასიათთან.

ნიშანდობლივია, რომ ავსტრალიის ველურ ფლორას სამიწათ-
მოქმედო კულტურისათვის არ მიუცია არცერთი მნიშვნელოვანი
მცენარე. მიუხედავად ამისა, კონტინენტის მცენარეულ საფარში
ბევრი სახეობაა, რომელთაც ადამიანი ძველთაგანვე იყენებდა სხვა-
დასხვა დანიშნულებით (სასურსათო, ტექნიკური, სამშენებლო,
სამკურნალო და სხვ.).

მცენარეულობა ქვეყნის მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსია.
მის ტყეებში ბევრია სასარგებლო სახეობები, რომლებიც იძლევი-

* — ნალარბორი ნიშნავს უხემცენაროს.

** — სკრები — დაბალტანიანი, ხეშეში, ეკლიანი, გვალვის ამტანი მარად-
მწვანე ბუჩქების თანასაზოგადოება, სუსტად განვითარებული ბალახსაფარით.

ან: ძვირფას მერქანს, ეთერის ზეთს, სათრიმლავ ნივთიერებას. ზოგ მათგანს აქვს კვებითი და სამკურნალო ღირებულება და სხვ. ავსტრალიის ბუნებრივი მცენარეულობა ძლიერ სახეშეცვლილია ტყეების გაჩენვის, ხშირი ხანძრების, ძოვების და კონტინენტის გარე რეგიონებიდან მცენარეთა ინტროდუქციის გზით.

ცხოველთა სამყარო. ავსტრალიის ბუნებრივი ლანდშაფტის ინდივიდუალობას და ორიგინალობას ყველაზე მეტად ავლენს მისი ცხოველთა სამყარო. იგი სახეობებით შედარებით ღარიბია, მაგრამ გამოირჩევა მაღალი ენდემიზმით, სიძველით და რელიქტურობით, რაც საფუძველს იძლევა მის (კუნძულ ტასმანიასთან ერთად) დამოუკიდებელ ზოოგეოგრაფიულ ოლქად გამოყოფისათვის. ცხოველების დაახლოებით 90% ენდემურია. ამავე დროს გვხვდება სამხრეთ ამერიკის, სამხრეთ აზიის და ანტარქტიკის ფაუნის მონათესავე ბინადრები. ავსტრალიას „ცოცხალი ნამარხების“ კონტინენტს უწოდებენ, ვინაიდან მან შემოინახა მეზოზოურის რელიქტები, რომლებიც სხვა კონტინენტებზე ჯერ კიდევ მესამეულ დროში გაწყდნენ. კონტინენტის ფაუნიდან თითქმის მთლიანად გამორიცხულია უმაღლესი ძუძუმწოვრები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ მღრღნელებს და ღამურებს. გამონაკლისია გარეული ძაღლი დინგო, რომელიც მკვლევრების აზრით, კონტინენტზე გამოჩნდა დაახლოებით 12000 წლის წინათ (პირველ ბინადარ ადამიანთან ერთად), როგორც შინაური ცხოველი და შემდგომში გაველურდა. მაღალი ენდემიზმი და მაღალი განვითარების ძუძუმწოვართა ხარვეზი ანალოგიურად მცენარეულობისა, განსაზღვრულია კონტინენტის ხანგრძლივი კუნძულოვანი განვითარებით. ავსტრალიის ფაუნის ყველაზე გამორჩეული ნიშანია ყველაზე დაბალი განვითარების ძუძუმწოვრების ფართო გავრცელება. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთგასავლიანები და ჩანთოსნები, რომლებიც წარმოადგენენ მეზოზოურის რელიქტებს. ავსტრალია ამ უსუსური ცხოველების „თავშესაფარი“ აღმოჩნდა ტროპიკული ჰავის და იმის წყალობით, რომ აქაურ ცხოველთა სამყაროში მტაცებლები არ „ირიცხებოდნენ“. სახეობრივი ნაირგვარობით გამოირჩევა ჩანთოსნები, რომელთა ჩამოყალიბების ცენტრადაც ითვლება ავსტრალია. განსაკუთრებით გამოირჩევა კენგურუს ოჯახი ბევრი სახეობით, დაწყებული გიგანტური კენგურუთი, რომლის სიმაღლე 1,5-2 მ აღწევს და დამთავრებული პაწაწინა სახეობით, რომელიც სიდიდით კურდღელზე ნაკლებია. კენგურუ მეტწილად

სავანების ბინადარია, ტყეებში გავრცელებულია მეხეური კენ-გურუ.

მხოლოდ ავსტრალიაში და ტასმანიაზე ბინადრობენ ყველაზე დაბალი განვითარების ძუძუმწოვრები, როგორცაა ერთგასავლიანი კვერცხისმდებელი ძუძუმწოვრები: იხენისკარტა და იქედნე. იხენისკარტა მეტწილად ბინადრობს აღმოსავლეთ ავსტრალიაში და ტასმანიაზე წყალსატევების სანაპიროებზე, ხოლო იქედნეს გავრცელების არეალი თითქმის მთელ კონტინენტს მოიცავს. ტასმანიაზე ბინადრობს ერთადერთი მტაცებელი ჩანთოსანი — ჩანთოსანი ეშმაკი, რომელიც „წითელ წიგნშია“ შესული. რაც შეეხება ყველაზე დიდ ჩანთოსან მტაცებელს ტასმანიიდან (მგელი), დღეისათვის იგი მთლიანად გადაშენებულია. ჩანთოსნებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ვომბატი, ჩანთოსანი დათვი კოალა, რომელიც ხეებზე ბინადრობს და ზარმაცას სახელითაც არის ცნობილი, ბევრი სახეობაა მღრღნელების.

ძალიან მდიდარია ფრინველთა ფაუნა, რომლის მეფედ ითვლება ავსტრალიური სირაქლემა ეშუ. ენდემურია კუდქნარა, თუთიყუშების ბევრი სახეობა, სამოთხის ფრინველი (მეტწილად აღმოსავლეთ ავსტრალიის ტყეებში). სამხრეთ-დასავლეთის წყალსატევებში შავი გედის მრავალრიცხოვანი გუნდებია. დამახასიათებელი ფრინველია აგრეთვე ნაგვის ქათამი. წყალსატევებში ბინადრობენ ავსტრალიური ნიანგი და კუ.

წვიმიანი ტყეებისათვის დამახასიათებელია ფეხსახსრიანების მდიდარი ფაუნა — ენდემური კიანჭველები, პეპლები, ხოქოები, ჩრდილოეთში — წვიმის კიები, რომელთა სიგრძე რამოდენიმე მეტრს აღწევს. წყალსატევებში ადგილობრივ მცურავ ფრინველებს შორის გვხვდება მოზამთრეები ციმბირიდან. მდინარეებში ბინადრობს თევზების ბევრი სახეობა, რომელთა შორის განსაკუთრებით საინტერესოა ორმაგად მსუნთქავი თევზი, რომელიც შეუცვლელად შემორჩა ტრიასული დროიდან. კონტინენტზე მრავლადაა ქვეწარმავლები და მწერები. ბევრია შხამიანი გველები, მწერებიდან სოფლის მეურნეობას დიდ ზიანს აყენებს კალია. ადამიანისათვის ძლიერ მავნეა მორიელი, მალარიის კოლო, შხამიანი ობობა, შხამიანი ბუზი, მოსკიტი და სხვ.

ცხოველთა ბინადრობის არსებითად განსხვავებული ეკოლოგიური არეალები, მისთვის დამახასიათებელი ცხოველებით, ჩამო-


ყალიბდა ძირითადი ბუნებრივი ზონების მიხედვით, როგორცაა ტყეები, სავანები, უდაბნოები და ნახევარუდაბნოები.

ავსტრალიის გეოგრაფიული ლანდშაფტის მნიშვნელოვანი ელემენტი გახდა კოლონიზაციის პერიოდში ევროპელების მიერ შეყვანილი და ინტროდუცირებული შინაური ცხოველები, აგრეთვე ბოცვერი, მელა, ფრინველის ბევრი სახეობა. უჩვეულოდ მომრავლებული ბოცვერი დიდ ზიანს აყენებს სოფლის მეურნეობას ავსტრალიის ბუნებრივ ბინადრებს ნამდვილ რისხვად მოეწინააღმდეგა დინგო. მომრავლებულ მელიას, აგრეთვე ბოცვერს, შეეწირა ფრინველთა ბევრი სახეობა.

გეოგრაფიული სარტყლები და გუნებრივი ზონები

ვაკე რელიეფის დომინირებისა და სანაპირო ხაზის სუსტი დანაწევრების წყალობით ავსტრალიაში ნათლად არის გამოხატული ბუნებრივი ლანდშაფტების განედურ-ზონალური დიფერენციაცია, რომელიც ტროპიკულ და სუბტროპიკულ სარტყლებში, ანალოგიურად სამხრეთ აფრიკის და სამხრეთ ამერიკისა, გართულებულია ბუნებრივი ზონების სექტორული ნაირგვარობით. დიდი წყალგამყოფი ქედის ბარიერული ფაქტორის გავლენით განსაკუთრებით ნათლად არის გამოკვეთილი აღმოსავლეთ ოკეანური სექტორი. კონტინენტის ტერიტორია უთანაბროდ არის განაწილებული სამ გეოგრაფიულ სარტყელს შორის — სუბეკვატორულ, ტროპიკულ და სუბტროპიკულ; მხოლოდ კუნძული ტასმანიაა ზომიერ სარტყელში. მზისგან მიღებული სითბოთი მაღალუზრუნველყოფის პირობებში ბუნებრივი კომპლექსების (ზონების) შიდასარტყლობრივ დიფერენციაციაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ატმოსფერული ნალექების რაოდენობა, რომელიც კონტინენტის ძირითად ნაწილზე ტერიტორიულად და სეზონურად ძალიან უთანაბროდაა განაწილებული და ხასიათდება არარეგულარობით. საშუალოწლიური ნორმებიდან მნიშვნელოვანი გადახრით. ნალექების წლიური რაოდენობა კონტინენტური სექტორის ცენტრიდან (დიდი ვიქტორიის უდაბნო და ტბა ეირის ქვაბული) პერიფერობისაკენ ყველა მიმართულებით თანდათან მატულობს, რაც განსაზღვრავს ზონების განლაგების მნიშვნელოვან თავისებურებას — კონცენტრულობას. ბუნებრივი ზონების ყველაზე მრავალფეროვანი სპექტრია ჩამოყალიბებული ჩრდილო და აღმოსავლეთი მიმართულებით (უდაბნოები

და ნახევარუდაბნოები, ყველა ტიპის სავანები, ცვალებადტენიანი სუბეკვატორული და ტროპიკული ტყეები და მარადმწვანე ნოტიო სუბეკვატორული ტყეები). დასავლეთი და სამხრეთი მიმართულებით ზონების სპექტრი შეუდარებლად უფრო მარტივია (უდაბნოები და ნახევარუდაბნოები).



ნახ. 6. გეოგრაფიული სარტყლების და ბუნებრივი ზონების რუკა.*

* — შედგენილია ა. შ. რიბაჩიკოვის, ე. ნ. ლუკაშოვას და ტ. ი. ისაჩენკოს რუკების საფუძველზე.

გეოგრაფიული სარტყლების და ბუნებრივი ზონების რუკის დეტალი

ზონა 1	ქვეზონა 2	სიმაღლებრივი სარტყლებისა და ტიპები 3
1. ტყეები	ზომიერი სარტყელი 1 ¹ ტენიანი შერეული (სუბანტარქტიული ჰემიპილა)	ა ტყე-მდელოს
2. ტყისტიპები	2 ¹ ფართოფოთლოვანი ტყიანი	
3. ტყეები	სუბტროპიკული სარტყელი 3 ¹ ხმელთაშუაზღვიური ტიპის მარადმწვანე ქაეროფიტილი 3 ² ტენიანი მარადმწვანე-ფოთლოვანი ფოთლოვანი 3 ³ ტენიანი ნახევრად მარადმწვანე შერეული	ბ ტყე-მდელოს გ ტყე-სტიპური
4. ტყისტიპები		
5. სტიპები		
6. ნახევარუდაბნოები და უდაბნოები	ტროპიკული სარტყელი	
7. ტყეები	7 ¹ სეზონურად ტენიანი მარადმწვანე და ფოთლოვანი მუსონურ-ტროპიკული 7 ² ტენიანი მარადმწვანე (ტროპიკული პილა)	დ ტყე-მდელოს
8. საიანები და ნათელი ტყე-ბუჩქნარი	8 ¹ ტიპური საიანა და ნათელი ტყე-ბუჩქნარი 8 ² მშრალი (გაუდაბნოებული) საიანა და ნათელი ტყე-ბუჩქნარი	
9. ნახევარუდაბნოები და უდაბნოები	9 ¹ შიდა კონტინენტური უდაბნოები 9 ² დასაყლეთ ოკეანისპირა ნახევარუდაბნოები	ე უდაბნო-სტიპური
10. ტყეები	სუბეკვატორული სარტყელი 10 ¹ ტენიანი მარადმწვანე (პილა) 10 ² ცვალებადტენიანი მარადმწვანე-ფოთლოვანი	ვ ტყე-მდელოს

1	2	3
11. საეანები და ნათელი ტყეები	11 ¹ ტენიანი 11 ² ტიპური 11 ³ მშრალი (გაუდაბნოებელი) ეკვატორული სარტყელი	
12. ტყეები	12 ¹ ტენიანი ეკვატორული (ეკვატორული ქილია)	ზ ქილია-მდელოს

სუბეკვატორული გეოგრაფიული სარტყელი. მას უკავია კონტინენტის ჩრდილო (ძირითადად ნახევარკუნძულოვანი) ნაწილი, საშუალოდ ს. გ. 20°-მდე. მისი ლანდშაფტის ძირითადი ნიშნებიდან აღსანიშნავია ვაკე-რელიეფი, მუდმივად მაღალი და საკმაოდ თანაბარი ტემპერატურები, ატმოსფერული ნალექების მოსვლის მკვეთრად გამოხატული სეზონურობა და საეანური ლანდშაფტის დომინირება.

სუბეკვატორული სარტყლის ფარგლებში ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ წვიმიანი პერიოდის თანდათანობით დამოკლება და წლიური ნალექების შემცირება განსაზღვრავს ნაირგვარი ბუნებრივი კომპლექსების — ბუნებრივი ზონების და ქვეზონების ჩამოყალიბებას. გამოიყოფა ორი ძირითადი ზონა: 1. მარადმწვანე ტენიანი და ცვალებადტენიანი ტყეების ზონა და 2. სავანებისა და ნათელი ტყეების ზონა.

მარადმწვანე ტენიანი და ცვალებადტენიანი ტყეების ზონა. გავრცელებულია კონტინენტის ჩრდილოეთ პერიფერიაზე (ნახევარკუნძულ არნემლენდის ჩრდილო პერიფერია, ნახევარკუნძულ კეიპ-იორკის ჩრდილოეთი ნაწილი და კიმბერლის მასივის ჩრდილო საქარე კალთები). მცირე გამოწკნისის გარდა, ტერიტორია წარმოადგენს ბრტყელი ზედაპირის მქონე (მცირედ ბორცვიან) სანაპირო დაბლობს, რომლის ძირითად ნაწილზე ჰავა ცხელი (24-31°) და ცვალებადტენიანია, ხანგრძლივი (8-10 თვე) წვიმიანი პერიოდით. წლიური ნალექები 1500 მმ აღემატება. კეიპ-იორკის ჩრდილო ნაწილში და სარტყლის აღმოსავლეთ ოკეანურ სარტყელში ჰავა ტენიანია, მშრალი სეზონი არაა გამოხატული. ზონის ტერიტორია-

ზე დომინირებულია წითელმიწა-ყვითელმიწა ფერალიტური ნიადაგები.

ატმოსფერული ნალექების რაოდენობისა და მისი მოსვლის სეზონური რიტმის მიხედვით აღნიშნული ზონის ფარგლებში შეიძლება გამოიყოს ორი ქვეზონა — ტენიანი მარადმწვანე სუბეკვატორული ტყეები (ტროპიკული ჰილეა) და ცვალებადტენიანი მარადმწვანე და ფოთოლცვენია სუბეკვატორული ტყეები.

მარადმწვანე ტენიან სუბეკვატორულ ტყეებს უკავია კერპიორკის ნახევარკუნძულის ჩრდილო ნაწილი და სუბეკვატორული ხარტყლის წყნაროკეანური სექტორი, სადაც მთელი წელი მაღალი და თანაბარი ტემპერატურებია (საშუალო წლიური ამპლიტუდი 8° არ აღემატება), ნალექების წლიური რაოდენობა 1500 მმ აღემატება და აღმოსავლეთ საქარე კალთებზე ზოგან აღწევს 4000 მმ-მდე. აღნიშნული ქვეზონა კონტინენტზე გამოირჩევა ყველაზე მდიდარი ფლორით, რომელიც მსგავსებას იჩენს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის (მაღაის) ფლორისადმი. ტყეშემქმნელი ჯიშებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: პალმები, ფიკუსები, ეკალიპტოზი, სანაპიროზე — პანდანუსები ხშირი ლიანებით და ეპიფიტებით. ქვედა იარუსში ბამბუკებისა და ხეგვიმრების სიხშირე ტყეს ქმნის თითქმის გაუვალს. ბრტყელ სანაპირო ზოლში დამახასიათებელია მანგროს მცენარეულობა. მდინარეთა ხეობების გაყოლებით ტენიანი ტროპიკული ტყეების ლანდშაფტი საკმაოდ ღრმად იჭრება სავანებისა და ნათელი ტყეების ზონაში.

ცვალებადტენიან მარადმწვანე-ფოთოლცვენია სუბეკვატორულ ტყეებს უკავია არნემლენდის ნახევარკუნძულის ჩრდილო პერიფერია და კიმბერლის პლატოს ჩრდილო საქარე კალთები. წყნაროკეანური სექტორის ტენიანი მარადმწვანე ტყეების ლანდშაფტისაგან განსხვავებით, დამახასიათებელია ნალექების მოსვლის მკვეთრად გამოხატული სეზონურობა, რომელიც, თავის მხრივ, აირეკლება ორგანული სამყაროს, განსაკუთრებით კი მცენარეული საფარის ხასიათში. ქვეზონის ტერიტორიაზე ნალექების წლიური რაოდენობა 1500 მმ აღემატება, მაგრამ მისი დაახლოებით 80% ზაფხულის თვეებზე მოდის. ამ მხრივ ტიპურია საპორტო ქალაქ დარვინის მონაცემები. ყველაზე უხვნალექიან იანვარში მოდის თითქმის 400 მმ, ხოლო იელისში და აგვისტოში იგი 20 მმ არ აღემატება. ხანმოკლე მშრალი სეზონის გავლენით მარადმწვანე ხებუჩქნართან ერთად გვხვდება ფოთოლცვენიები. ტყეშემქმნელი

ჯიშებიდან დამახასიათებელია პანდანუსები, ევკალიპტები, „ჩაის ხე“, ბამბუკები და სხვ. უშუალოდ სანაპირო ზოლში (განსაკუთრებით კარპენტარიის ყურის) განვითარებულია მანგროს მცენარეულობის ხშირი საფარი. მისი დამახასიათებელი ელემენტია პალმა-ქვეზონის ტერიტორია მეჩხრადაა დასახლებული (ძირითადად ავსტრალიელი აბორიგენებია) და, ძირითადად, გამოყენებულია საძოვრებად და სამათამაძნო მრეწველობაში.

სუბეკვატორული გეოგრაფიული სარტყლის ძირითადი ნაწილი უკავია სავანებისა და ნათელი ტყეების ზონას. მისი ბუნების ძირითადი ნიშნები კლიმატოგენურია. ეს არის მკვეთრად გამოხატული ტენიანი და მშრალი სეზონების მონაცვლეობა მაღალი საშუალო ტემპერატურების (16-30°) ფონზე, რასთანაც დაკავშირებულია ფიზიკურ-გეოგრაფიული პროცესების და ბუნებრივი კომპლექსების მდგომარეობათა ნათლად გამოხატული სეზონურობა; ცხადია, იგი, ამასთან ერთად, დიდ გავლენას ახდენს ბუნებათსარგებლობის ხასიათზე. ზონისთვის დამახასიათებელი საერთო ნიშნებიდან აღსანიშნავია ცხელი და ცვალებადტენიანი ჰავა და მასთან დაკავშირებული ზომიერად ქსეროფიტული მცენარეულობა (სავანები და მარადმწვანე ნათელი ტყე-ბუჩქნარი) და ამ გარემოს შეგუებული ცხოველთა სამყარო.

საერთო ნიშნების ფონზე სავანებისა და ნათელი ტყეების ზონა ხასიათდება ეკოლოგიური პირობების და მასთან ბუნებრივი კომპლექსების მნიშვნელოვანი ნაირგვარობით, რასაც ძირითადად განსაზღვრავს წვიმიანი სეზონის ხანგრძლიობა და ნალექების წლიური რაოდენობა. ამის საფუძველზე ზონის ფარგლებში შეიძლება გამოიყოს სავანური ლანდშაფტის რამოდენიმე ტიპი (ქვეზონა): 1. ტენიანი სავანები და ნათელი ტყეები, 2. ტიპური სავანა (ზომიერად მშრალი) და 3. გაუდაბნოებული (მშრალი) სავანა. აღნიშნული ქვეზონები იცვლებიან ეკვატორიდან დაშორების შესატყვისად.

ტენიან სავანებსა და ნათელ ტყეებს უკავია ზონის ჩრდილოეთი პერიფერია (ნახევარკუნძულებზე და კიბბერლის ზეგანზე). ცვალებადტენიან სუბეკვატორულ ტყეებში გარდამავალი ზოლი. მის ტერიტორიაზე წვიმიანი სეზონი ხანგრძლივია (9—10 თვე) და წლიური ნალექები 1000 მმ აღემატება. ლანდშაფტის ფონის შემქმნელია მაღალტანიანი (3-5 მ) მარცვლოვანი ბალახების „ზღვა“, რომლის ერთფეროვნებაში მნიშვნელოვანი კორექტივები შეაქვს მარადმწვანე და ფოთოლცენია ნათელ ტყეებს და ბუჩქნარებს.

ტენიან სავანას მკვლევრების ნაწილი მიიჩნევს მეორად (ანთროპო-გენული სახეშეცვლის) მოვლენად. მისთვის დამახასიათებელია წითელმიწა-ფერალიტური ნიადაგები. ნათელი ტყეების დამახასიათებელი ელემენტებია: ევკალიპტები, აკაციები, კაშუარინები, ბოთლა ხეები. სავანების ბინადრებიდან ფართო არეალი გააჩნიათ კენგურუს, სირაქლემა ემუს. დამახასიათებელია აგრეთვე ჩანთოსან მღრღნელები და მწერიკაშიები — ვომბატი, ვირთაგვა, თხუნელა, ჰიანჰველაჰამია, აგრეთვე იქედნე. მდიდარია წყალსატევების ფრინველთა ფაუნა. მათი ნაწილი გადასაზამთრებლად მოფრინავს ჩრდილო ნახევარსფეროდან. სოფლის მეურნეობას, კერძოდ ნათესებს, დიდ ზიანს აყენებს ბალახის თუთიყუში და მწერები, განსაკუთრებით კალია. მწერებიდან განსაკუთრებით ბევრია თერმიტები. ადამიანს დიდ ზიანს აყენებს მოსკიტი, კოლო და შხამიანი ბუზი. ბევრია ქვეწარმავალი.

სამხრეთისაკენ ნალექების რაოდენობა კლებულობს და ტენიანი სავანა თანდათან იქნის ტიპური სავანის იერს. მას სუბეკვატორული სარტყლის ბუნებრივ კომპლექსებს შორის ყველაზე ვრცელი არეალი გააჩნია, რომლის ფარგლებშიც წლიური ნალექები 1000 მმ ნაკლებია და წვიმიანი სეზონის ხანგრძლიობა 6-7 თვეა. არიდულობის მატების პარალელურად ნალექების მოსვლა უფრო და უფრო არარეგულარულ ხასიათს ღებულობს, სუბეკვატორული სარტყლისათვის დამახასიათებელი სეზონურობა (ნალექების მოსვლის და მთლიანად ფიზიკურ-გეოგრაფიული პროცესების) კიდევ უფრო მკვეთრად არის გამოხატული. ტიპური სავანის პირობებში მარცვლოვანი ბალახების როლი ლანდშაფტის ფონის შექმნაში კიდევ უფრო ნათელია, მხოლოდ მისი სიმალღე ერთ მეტრს არ აღემატება. ნათელი ტყეების მთავარი ელემენტია ევკალიპტი (როგორც მარადმწვანე, ისე ფოთოლცვენია სახეობები), აგრეთვე აკაციები, კაშუარინები, ბოთლა ხე, წითელ-ყავისფერ და წითელ-მურა ნიადაგებზე.

ბინადარი ცხოველებიდან აქაც დამახასიათებელია ჩანთოსნები (განსაკუთრებით კენგურუ), კვერცხისმდებელი ძუძუმწოვრები და კიდევ უფრო მეტი რაოდენობით ქვეწარმავლები, მწერები და მღრღნელები, ფრინველებიდან — სირაქლემა ემუს.

მშრალ სეზონში ბალახსაფარი გადაიხრუკება და სავანური ლანდშაფტი იქნის უსიცოცხლო იერს. წვიმიანი სეზონის დადგო-

შიდან ხანმოკლე დროში არეზონანსი იმოსება მწვანით, „ილივიტებს“ საეანა.

ტიპური საეანის ბუნებრივ ლანდშაფტს თანდათან ავიწროებს სამიწათმოქმედო მიწათსარგებლობა. განსაკუთრებით ნადგურდება (მეტწილად ხელოვნური გადაწვით) ევკალიპტის ნათელი ტყეები, ვინაიდან ეს ხე ძლიერი ტრანსპირაციის შედეგად კიდეც უფრო ზრდის ნიადაგის ტენის დეფიციტს.

სამხრეთით და ცენტრისაკენ არიდულობა მატულობს და ტიპურ საეანას თანდათანობით ცვლის მშრალი ანუ გაუდაბნოებული საეანა, სადაც წლიური ნალექები 400 მმ არ აღემატება და მშრალი სეზონის ხანგრძლიობა 9-10 თვეს აღწევს. ნალექების მოსვლის აზარტული კიდეც უფრო მკვეთრად არის გამოხატული. წლიური ნორმიდან გადახრა 30-40% შეადგენს. იგი ბუნებრივი ლანდშაფტის ნიშნებით უდაბნოებისაკენ გარდამავალია და მისი მკენარეულობა გამოირჩევა ძლიერი ქსერომორფულობით. დამახასიათებელია კორდის შემქმნელი მარცვლოვანი ბალახები და დაბალტანიანი, ფოთოლს მოკლებული ხეშეში და ეკლიანი ხეები და ბუჩქები (ძირითადად ევკალიპტისა და აკაციისაგან) წითელ-მურა ნიადაგებზე. ეს არის ე. წ. „სკრების“ ტიპის ლანდშაფტი, რომელიც მომატებული არიდულობით გრძელდება ტროპიკულ ნახევარუდაბნოებისა და უდაბნოებში. გაუდაბნოებული საეანის ტერიტორია ძირითადად გამოყენებულია საძოვრებად.

ტროპიკული გეოგრაფიული სარტყელი. მას უკავია ყველაზე ვრცელი და მასიური, კონტინენტური სექტორის ძირითადი ნაწილი, რის გამოც დომინირებულია ტროპიკული არიდული ლანდშაფტი (მცირე გამოწვევის გარდა). ეს არის ვრცელ ტროპიკულ უდაბნოთა სარტყელი, თუმცა ჩრდილო აფრიკისაგან განსხვავებით ნათლად არის გამოხატული ბუნებრივი ლანდშაფტების (ზონების) სექტორული დირეფენციაცია. განსაკუთრებით მკვეთრად გამოიყოფა აღმოსავლეთ ოკეანური და კონტინენტური სექტორები, რაც ძირითადად განსაზღვრულია დიდი წყალგამყოფი ქედის ბარიერული ფაქტორის გავლენით. დასავლეთ ოკეანური სექტორი სუსტადაა გამოხატული, მაგრამ სხვა კონტინენტებისაგან განსხვავებით ტროპიკული უდაბნოს ლანდშაფტები ოკეანის სანაპირომდე არ ვრცელდება.

ამრიგად, ტროპიკული სარტყლის ფარგლებში ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების ცვლა ყველაზე უფრო თვალში საც-

შია სექტორების მიხედვით და იგი ასეთ სურათს იძლევა: მარად-მწვანე და ფოთოლცვენია მუსონურ-ტროპიკული (მუსონურ-პასატური) ტყეები, ტროპიკული სავანები და ნათელი ტყეები, ნახევარ-უდაბნოები, უდაბნოები.

მარადმწვანე და ფოთოლცვენია მუსონურ-ტროპიკული (მუსონურ-პასატური) ტყეების ქვეზონას უკავია დიდი წყალგამყოფი ქედის აღმოსავლეთი ფერდობები და გორაკ-ბორცვიანი სანაპირო ვაკე-დაბლობი, სადაც წლიური ნალექები 1000 მმ (ზოგან 1500 მმ) აღემატება, გვალვიანი სეზონი არაა გამოხატული, თუმცა მაქსიმუმში ზაფხულშია. სუბეკვატორული სარტყლის ნოტიო მარადმწვანე ტყეებისაგან განსხვავებით, იგი სახეობრივად უფრო ლარიბია. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიური ელემენტები (პალმები, ფიკუსები და სხვ.) თითქმის არ გვხვდება და გაბატონებული ხდება ევკალიპტები, რომლებიც აღწევენ უზარმაზარ სიმაღლეს. ლიანებისა და ეპიფიტების სიხშირით იგი გავს ტიპურ მარადმწვანე ნოტიო ტროპიკულ ტყეებს, ყვითელმიწა-წითელმიწა ფერალიტური ნიადაგებით. ცხოველთა სამყარო მუსონურ-ტროპიკულ ტყეებში უმთავრესად წარმოდგენილია მეხეური ბინადრებით, როგორცაა ჩანთოსანა დათვი, ანუ კოლა, რომელსაც მცირედ მოძრავი ბუნების გამო ჩანთოსან ზარმაცასაც უწოდებენ, მეხეური კენგურუ და სხვ. საკმაოდ მდიდარია ფრინველთა მოსახლეობა (კუდქნარა, ნამდვილი კაზუარი, სამოთხის ფრინველი, თუთიყუშების სხვადასხვა სახეობა, თაფლიწოვიასებრნი, ნაგვის ქათამი და სხვ.). წყალსატევებში ბინადრობენ ავსტრალიური ნიანგი და კუ. დამახასიათებელია აგრეთვე მეხეური ბაყაყი. სახეობრივად მდიდარია ფეხსახსრიანები (ენდემური ჭიანჭველები, პეპლები, ხოჭოები და სხვ.). დამახასიათებელია გიგანტური (რამოდენიმე მეტრის სიგრძის) წვიმის ჭიბი. მდინარეები მდიდარია თევზით, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ორმაგადმსუქნა თევზი რქაკბილა, რომელიც ქვედა მეზოზოურის რელიქტია.

დიდი წყალგამყოფი ქედის ტროპიკულ მონაკვეთზე რელიეფი საშუალო და დაბალმთიანია, რომლის სიმაღლე მთის ტყეების სპექტრსაც ვერ ავსებს, რის გამოც სიმაღლითი ზონების სტრუქტურა მარტივია — მარადმწვანე და ფოთოლცვენია მუსონურ-ტროპიკული ტყეების ზონას საშუალოდ 1000 მ-დან ცვლის მთის შერეული ტყეები; მასში წიწვიანებიდან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია არაუკარიას.

აღმიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად მთის ტყეების გავრცელების ზედა საზღვარი დაწეულია და 1600-1900 მ-დან განვითარებულია მეორადი სუბალპური ტანბრეცილა ტყეები (მისი მნიშვნელოვანი ელემენტებია: მანანა, ქონდარა, წიფელი და სხვ.) და ბუჩქნარები მარცვლოვან მდელოთა უბნებით.

ტროპიკული ტყეების ლანდშაფტი ძლიერ სახეშეცვლილია სამრეწველო ჭრის, ამოძიკვის (სახნავი მიწების გასაფართოებლად) და ხანძრების შედეგად.

დიდი წყალგამყოფი ქედის დასავლეთ ქარზურგა კალთებზე ნალექები გაცილებით ნაკლები (არაუმეტეს 1000 მმ) მოდის და მუსონურ-ტროპიკულ ტყეებს ცვლის ნათელი ტყეები, რომელიც ძირითადად შექმნილია ევკალიპტის რამოდენიმე სახეობით და გარდამავალია ტიპურ სავანურ ლანდშაფტში. ნალექები ტროპიკული სარტყლის ნათელ ტყეებში ძირითადად ზაფხულის თვეებში მოდის, ზამთარი გვაღვიანია. ევკალიპტის ნათელი ტყეები კონტინენტის ყველა გეოგრაფიული სარტყლის დამახასიათებელი ლანდშაფტია, რომლის არეალი წარმოქმნის განიერ ნახევარ წრეს, რაც ღია დასავლეთ სანაპიროსაკენ და გაწყვეტილია სამხრეთ პერიფერიაზე. ცალკეულ მონაკვეთებზე აღნიშნული ტყეები ვრცელდება წყნარი ოკეანის სანაპირომდე. ნათელ ტყეში ხეები დგანან 20-30 მ დაშორებით. ევკალიპტი თავისი ხშირი ფესვთა სისტემით მთლიანად იწოვს და აორთქლებს ნიადაგის ტენს, რის გამოც მის სიახლოვეს ხარობს მხოლოდ მარცვლოვანი ბალახები. ევკალიპტის ფოთლები ისეა მზის მიმართ განლაგებული, რომ თითქმის არავითარ ჩრდილს არ იძლევა, რაც ხელსაყრელია უხვი ბალახმცენარეულობის განვითარებისათვის. ნათელი ტყეების ტერიტორია განიცდის ინტენსიურ სამეურნეო ზემოქმედებას, ტყეები იჩეხება სამრეწველო და ნიშნულებით და იძიკვება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გასაფართოებლად, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ცხოველთა სამყაროს გაღარიბება.

ნათელი ტყეების ლანდშაფტი დასავლეთით თანდათანობით გადადის ტროპიკულ სავანებსა და ნათელ ტყეებში, რომელსაც უკავია დიდი წყალგამყოფი ქედის დასავლეთი მთისპირეთი და შიშღებარე ტერიტორია. ანალოგიურად ნათელი ტყეებისა, მისი გავრცელების არეალი ქმნის ნახევარწრიულ ზოლს, რომელიც ღია დასავლეთი და სამხრეთი სანაპიროებისაკენ. იგი არსებითი ცვლილების გარეშე აგრძელებს სუბეკვატორული სარტყლის სავანებსა

ხათელ ტყეებს. არაშკაფიოდ გაშობატულ გენმა სხვაეზებელ ნიშნებს (ჰაერის ტემპერატურის შედარებით დაბალი საშუალო მაჩვენებლები და შედარებით მეტი კონტინენტურობა) განსაზღვრავს გეოგრაფიული განედის ფაქტორი. ამის გარდა, ტროპიკულ სავანებში დამუშავებულ მიწებს გაცილებით მეტი ფართობი უკავია და, შესაბამისად, ბუნებრივი ლანდშაფტებიც უფრო ძლიერ არის სახე-მეცვლილი.

ტროპიკული სარტყლის ძირითადი ნაწილი უკავია ტროპიკულ უდაბნოთა ზონას, რომელსაც ყველა მხარეზე აკრავს ნახევარუდაბნოთა ლანდშაფტი (ზონა).* ეს არის კონტინენტური სექტორის ყველაზე ექსტრაარიდული ბუნების მქონე ტერიტორია, რომელიც ლანდშაფტის საერთო მონოტონურობის ფონზე ავლენს მნიშვნელოვან შიდატერიტორიულ კონტრასტებს. მისი ნაირგვარობა განსაზღვრულია ადგილობრივი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების (ზედაპირის დანაწევრების ხასიათი, აშგები ქანები და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ნიადაგის სინოტივი და სხვ.) ცვალებადობით, რომელიც, თავის მხრივ, განაპირობებს ლანდშაფტის ინდიკატორული ნიშნის მატარებელი კომპონენტის — მცენარეულობის სხვადასხვა ტიპების ჩამოყალიბებას და მიწათსარგებლობის ხასიათს.

ტროპიკულ უდაბნოებს უკავია დასავლეთ ავსტრალიის ზიგნის და ცენტრალური დაბლობის ძირითადი ნაწილი. განსაკუთრებით ფართო გავრცელება აქვს ქვიშიან (ე. წ. სპინიფიქსიან) უდაბნოებს სუსტად განვითარებული პერიოდული მდინარეთა ქსელით. იგი გამოირჩევა ყველაზე მეტი არიდულობით, რომლის ფარგლებში დიდი ფართობები მცენარეულობას სრულებით მოკლებულია და უკავია მოძრავ ქვიშებს და კარკალებს. ქვიშების მძლავრ შრეში გროვდება მიწისქვეშა წყლების მნიშვნელოვანი მარაგი, რაც შესაძლებელს ხდის განვითარდეს ქსეროფიტული ბალახები ღრმა ფესვთა სისტემით. მეჩხერი კრიკების კალაპოტების გასწვრივ უდაბნოს ლანდშაფტს სასიცოცხლო ელფერს ანიჭებს ქსეროფიტული ხე-ბუჩქნარი მცენარეულობა. სპინიფიქსიანი უდაბნოს ლანდშაფტის ფონის შემქმნელია ხეშეში მარცვლოვანები, რომლებიც იზრდებიან მოძრავ ქვიშებზე და ქვიან გრუნტზე. ქვიშიან უდაბ-

* — ჩრდილოეთის მხრიდან გაუდაბნოებული სავანა.

ნობეში თანამედროვე გეომორფოლოგიური პროცესებიდან განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი აქვს ეოლურ პროცესებს.

ქვიშიან უდაბნოებში მიწათსარგებლობის მთავარი სახეა საძოვრული მეცხვარეობა.

პლატოებსა და ზეგნებზე ფართო გავრცელება აქვს ქვიან უდაბნოებს, რომლის ბუნება ნახევარუდაბნოსაყენ გარდამავალია და ქვიშიან უდაბნოებთან შედარებით უფრო ნაკლებ მონოტონურია. პრიმიტიულ ნიადაგებზე განვითარებულია ქსეროფიტული ეკლიანი, მეტწილად მარადმწვანე ბუჩქნარი და ნახევრად ბუჩქები, რომელიც სკრების სახელწოდებითაა ცნობილი. მისი მთავარი შემქმნელია ევკალიპტი და აკაცია. არჩევენ სკრების რამოდენიმე ტიპს — მელგა-სკრები, რომელშიც გაბატონებულია ბუჩქისებრა ევკალიპტები და ქსეროფიტული მარცვლოვანები, რის გამოც ევკალიპტიან სკრებსაც უწოდებენ. ეკლიანი ბუჩქები და ნახევარბუჩქები ქვიან თითქმის გაუვალ ბარდებს. კიდევ უფრო გაუვალ და მოგზაურთათვის სახიფათოცაა მელგა-სკრები და ბრიგელოუ-სკრები, რომელშიც შეკრულ საფარს ქმნის 4 მ-მდე სიმაღლის უდაბნოს ეკლიანი აკაცია. იგი ბალახსაფარს თითქმის მთლიანად მოკლებულია. იშვიათად გვხვდება კორდოვანი მარცვლოვანები, ჩარანი, მლაშობურები, ზოგიერთი სუკულენტი. უდაბნოს ამ ტიპს ვრცელი ტერიტორია უკავია ტროპიკულ სარტყელში ქვიშიანი უდაბნოების ირგვლივ. ქვიან უდაბნოებში ინტენსიურად მიმდინარეობს დედაქანების ფიზიკური გამოფიტვა და პერიოდული ნაკადების ეროზია.

დასავლეთ ავსტრალიის ზეგნის ქვიანი უდაბნოებისათვის დამახასიათებელია მძლავრი რკინიანი გამოფიტვის ქერქის მქონე უბნები, რომელიც წარმოადგენს მეოთხეულის პლუვიალური ეპოქის რელიქტს.

ცენტრალური დაბლობის ფარგლებში ფართო გავრცელება აქვს თიხიან და თიხიან-მლაშობიან ბალოფიტურ უდაბნოებს.

ტროპიკულ უდაბნოთა ლანდშაფტის მონოტონურობაში არსებითი კორექტივები არც მის ფარგლებში (ზეგანზე) მდებარე მთიან მასივებს არ შეაქვს. მხოლოდ მაკდონელის და მასგრევის საშუალო სიმაღლის მთებში მკრთალად ურის გამოხატული განსხვავებულობა ორ სიმაღლით ზონას შორის — კალთებზე განვითარებულია უდაბნოს ლანდშაფტი, ხოლო თხემურ ნაწილში — მარცვლოვან-ბუჩქნარი ნახევარუდაბნო წითელ-მურა ნიადაგებზე.

ქვიან უდაბნოთა ზონა მეტწილად გამოყენებულია საძოვრად დამუშავებული მიწების ცალკეული კერებით.

ტროპიკულ უდაბნოთა ზონას ყველა მხრიდან გარს აკრავს ნახევარუდაბნოთა ლანდშაფტი — დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან ტროპიკული, სამხრეთიდან სუბტროპიკული და ჩრდილოეთიდან — გაუდაბნოებული საფანა.

ლანდშაფტის ცვლა უდაბნოებიდან ნახევარუდაბნოებისაკენ სუსტად არის გამოხატული. უმნიშვნელო ცვლილება გამოწვეულია სექტორისა და განედის ფაქტორით, აგრეთვე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადგილობრივი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები. ტროპიკული ნახევარუდაბნოები მეტწილად გავრცელებულია კრისტალურ ვაკეებსა და პლატოებზე, სადაც ნალექები შედარებით მეტა (250-300 მმ-მდე) მოდის და გამოფიტვის რკინიან ქერქზე განვითარებულია მარცვლოვან-ბუჩქნარო ნახევარუდაბნოები, სკრების ტიპის (ძირითადად აკაციისა და ევკალიპტისაგან) ქსეროფიტული ბუჩქნარებისაგან. ცხოველთა ბინადრების მხრივ უდაბნოებსა და ნახევარუდაბნოებს შორის განსხვავება თითქმის არაა.

მიწათსარგებლობა ძირითადად შემოიღარგლება საძოვრული მეცხოველეობით. დამუშავებულ მიწებს უდაბნოებთან შედარებით მეტი ფართობი უკავია.

ავსტრალიის სამხრეთი (დაახლოებით ს. გ. 30°-დან სამხრეთით) საკმაოდ ვრცელი ტერიტორია შედის სუბტროპიკულ გეოგრაფიულ სარტყელში, რომელიც საერთო არიდულობის ფონზე ხასიათდება ლანდშაფტის მნიშვნელოვანი ნაირგვარობით, განსაკუთრებით სექტორული დიფერენციაციის თვალსაზრისით. მის ფარგლებში ნათლად არის გამოხატული აღმოსავლეთ და დასავლეთ ოკეანური სექტორები და მათ შორის კონტინენტური სექტორი. ამ უკანასკნელის განვითარების დიდი მასშტაბით და მისი 'შემქმნელი' ლანდშაფტების ნაირგვარობით იგი აშკარად გამოირჩევა სამხრეთ ნახევარსფეროს სხვა კონტინენტებისაგან.

ბუნებრივი ლანდშაფტების სექტორულ დიფერენციაცია-სტრუქტურაში მნიშვნელოვანი კორექტივები შეაქვს რელიეფის ფაქტორს, აგრეთვე დიდი ავსტრალიის ყურის გავლენას. სუბტროპიკული სარტყლის დასავლეთ ოკეანური სექტორის ლანდშაფტის ფონის შემქმნელია ხმელთაშუა ზღვის ტიპის მარადმწვანე ქსეროფიტული ტყეები და ბუჩქნარები; იგი განვითარებულია კონტინენტის

სამხრეთ-დასავლეთ პერიფერიაზე* და სპენსერის ყურის მიმდებარე ტერიტორიაზე. ხმელთაშუაზღვის ტიპის ლანდშაფტი სამხრეთ-დასავლეთ ავსტრალიაში სხვა კონტინენტებისაგან განსხვავებით გამოირჩევა დიდი თავისებურებით, რაც უმთავრესად განსაზღვრა მისი ბუნების პალეოგეოგრაფიული განვითარების პირობებმა. მისი ფლორა ხასიათდება სიძველით და დაკავებული არეალისათვის უჩვეულოდ მაღალი ენდემიზმით. იგი ავსტრალიის ენდემური ფლორის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი კერაა. სახეობათა 80 პროცენტზე მეტი ენდემურია დომინირებულია ბუჩქნარი ევკალიპტები („მელგა-სკრები“) ყავისფერ ნიადაგებზე. კონტინენტის სიღრმისაკენ მცენარეულობის და მთლიანად ლანდშაფტის ქსერომორფულობა უფრო და უფრო მატულობს და ხმელთაშუაზღვის ტიპის ლანდშაფტს ცვლის სუბტროპიკული სტეპები, ნახევარუდაბნოები და უდაბნოები. მნიშვნელოვანი ტერიტორიული ხარვეზის შემდეგ მარადმწვანე ხეშეფოთლიანი ნათელი ტყეებისა და ბუჩქნარების ბუნებრივი კომპლექსი განვითარებულია სპენსერის ყურის მიმდებარე ტერიტორიაზე, რაც გამოწვეულია დიდი ავსტრალიის ყურის გავლენით. კონტინენტის სამხრეთ-დასავლეთ კიდეზე ფონის შემქმნელი ხმელთაშუაზღვის ტიპის ლანდშაფტის არეალში მნიშვნელოვანი კორექტივი შეაქვს რელიეფის ფაქტორით განსაზღვრულ ნალექების მომატებას. მერიდიანული მიმართულების დარღინგის დაბალი მთების საქარე კალთებზე ნალექების რაოდენობა 1500 მმ-მდე აღწევს და ტყის ყომრალ და გაეწრებულ ტყის წითელმურა ნიადაგებზე განვითარებულია მარადმწვანე ფოთლოვანი ტყეები, რომლის მთავარი შემქმნელია სხვადასხვა სახეობის მაღალტანიანი ევკალიპტები, ძლიერ სახეშეცვლილი.

ანალოგიურად ტროპიკულისა, სუბტროპიკულ სარტყელშიც ყველაზე ფართოდ გავრცელებულია სტეპის, ნახევარუდაბნოს და უდაბნოს ლანდშაფტები, რომელთაც უკავია დიდი ავსტრალიის ყურის ჩრდილოეთიდან მიმდებარე ვრცელი ტერიტორია. მისი ლანდშაფტი არსებითი ცვლილების გარეშე აგრძელებს ტროპიკულ უდაბნოებს და ნახევარუდაბნოებს. უდაბნოებში, რომელიც უშუალოდ დიდი ავსტრალიის ყურის სანაპირომდე არ ვრცელდება, დომინირებულია მეჩხერი აკაციის ბუჩქები და ნახევარბუჩქები („მელგა-სკრები“) წითელ-მურა და რუნ-ყავისფერ ნიადაგებზე, ხოლო

* — გამონაკლისია დარღინგის მთების საქარე კალთები.

სტეპებში და ნახევარუდაბნოებში, რომელსაც უკავია ყურის საკმაოდ ფართო სანაპირო ზოლი, გაბატონებულია ბუჩქნარი ეკალიპტი („მალი სკრები“). არიდული ჰავის პირობებში ოკეანიდან მოტანილი მარილები განსაზღვრავენ ნიადაგების ძლიერ დამლაშებას. საერთო არიდულობის ფონზე ლანდშაფტის ნაირგვარობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადგილობრივი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები. ამის ნათელი მაგალითია ნალარბორის კირქვიანი ვაკე, სადაც ბუნების არიდულობა განსაკუთრებით მკვეთრად არის გამოხატული. უდაბნოებში მნიშვნელოვანი ფართობი უკავია უსიცოცხლო იერის მატარებელ მწვანე სამოსელს მოკლებულ მარილის ქერქიან ტერიტორიებს.

ლანდშაფტურად ნათლად არის გამოკვეთილი აღმოსავლეთ ოკეანური სექტორი, სადაც მუსონურ-სუბტროპიკული ჰავის პირობებში განვითარებულია ტენიანი შერეული და ფართოფოთლოვანი ტყეები გაწვრებულ ყვითელმიწა და წითელმიწა ნიადაგებზე აღმოსავლეთ აზიის ტიპური მუსონური ლანდშაფტისაგან განსხვავებით აქ ზამთარი უფრო თბილია და ატმოსფერული ნალექები სეზონურად შედარებით თანაბრად არის განაწილებული, მაქსიმუმში თბილ პერიოდზე მოდის. სამხრეთისაკენ მაქსიმუმში თანდათან შემოდგომისკენ, ხოლო უკიდურეს სამხრეთში ზამთრისკენ გადაინაცვლებს. სამხრეთ-აღმოსავლეთი ავსტრალია ენდემური ფლორის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ცენტრია, მაგრამ სამხრეთ-დასავლეთი ავსტრალიისაგან განსხვავებით ენდემიზმის მაჩვენებელი ნაკლებია, ვინაიდან მისი ფლორა შეივსო აზიური (მალაიზიის) და ანტარქტიკული ფლორის ელემენტებით. მარადმწვანე ტყის მთავარი ელემენტი აქაც ეკალიპტია, რომლის ცალკეული ეგზემპლარების (სამეფო და ნუშის ეკალიპტის) სიმაღლე 150 მ, ხოლო ღეროს დიამეტრი 10 მ აღწევს. ტყეშემქმნელი ჯიშებიდან აღსანიშნავია აგრეთვე პალმა მალაიზიური ფლორიდან (იგი სუბტროპიკული სარტყლიდან ჩრდილოეთით გაცილებით მეტ ადგილს იკავებს), ანტარქტიკული მარადმწვანე წიფელი, აგრეთვე წითელი კედარი, ყვითელი ხე, ვარდის ხე, არაუკარაა და სხვ. ტყეში მკვეთრად არის გამოხატული ორი იარუსი. ზედა იარუსს ქმნას ეკალიპტები, ხოლო ქვედა იარუსი მეტწილად ხემაგვარი გვიმრებისაგან იქმნება, რომელთა სიმაღლე 12-15 მ აღწევს. ხშირი ლიანები და ეპიფიტები ტყეს ტროპიკულ იერს აძლევს.

სუბტროპიკულ სარტყელში ხვდება ავსტრალიის დიდი წყალ-

გამყოფი ქედის ყველაზე მაღალმთიანი მონაკვეთი — ავსტრალიის ალპებში, სადაც კონტინენტის ფარგლებში ყველაზე ნათლად არის გამოხატული ბუნებრივი კომპლექსების (ლანდშაფტების) სიმალბრივი ზონალურობა. 1200 მეტრიდან ევკალიპტის ტყე ხდება დაბალტანიანი. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია წიფელს. 1600-1900 მეტრიდან ტყეებს ცვლის სუბალპური ტანბრეცილა ტყე-ბუჩქნარი, რომელსაც მაღალმთიან მწვერვალებზე მოსდევს ალპურ მდელოთა ზონა.

დიდი წყალგამყოფი ქედის დასავლეთი მთისწინეთი ხასიათდება კონტინენტური სექტორის სემიარიდული ლანდშაფტებიდან (ნახევარუდაბნოები, სტეპები, მარადმწვანე ხეშეშვოთლიანი ტყე-ბუჩქნარი) აღმოსავლეთ ოკეანური სექტორის ტენიანი შერეული და ფართოფოთლოვანი ტყეებისაკენ გარდამავალი ბუნებით. ზაფხულში მის ფარგლებში იგრძნობა წყნაროკეანური მუსონის გავლენა. სამხრეთი ნაწილი ზამთარში განიცდის ციკლონური ხასიათის ზომიერი ჰაერის მასების გავლენას. ნალექების წლიური რაოდენობა ვაკეზე 500-700, ხოლო მთების კალთებზე (დაუნასკის ზონა) 1000 მმ აღწევს. მის ფარგლებში განვითარებულია სუბტროპიკული ნათელი ტყეები და ბუჩქნარები ყავისფერი ნიადაგებით (სუბტროპიკული სავანა), რომელსაც ჩრდილოეთით ბუნების ნიშნების არსებითი გარდატეხის გარეშე აგრძელებს ტროპიკული სავანები და ნათელი ტყეები.

სუბტროპიკული სარტყლის ფარგლებში ბუნებრივი ლანდშაფტი ყველაზე ძლიერ არის სახეშეცვლილი ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა სარტყლის აღმოსავლეთი ნაწილი (სამხრეთ-აღმოსავლეთი ავსტრალია), რომელიც ყველაზე მჭიდროდ არის დასახლებული და ათვისებული და წარმოადგენს ქვეყნის მთავარ სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო რეგიონს. ბუნებრივი ლანდშაფტი თითქმის არსად არ შემორჩა დასავლეთ სექტორშიც (სამხრეთ-დასავლეთი ავსტრალია). ბუნებრივი კომპლექსების ანთროპოგენიზაცია შედარებით სუსტია კონტინენტური სექტორის ურწყავ მიწებზე; თუმცა ძოვების და ხანძრების გავლენით ისიც მნიშვნელოვნად დეგრადირებულია.

ანალოგიურად აფრიკისა, ავსტრალია მაღალი განედების მიმართულებით სუბტროპიკულ სარტყელს არ სცილდება. ზომიერ სარტყელში ამ ქვეყნიდან ხვდება მხოლოდ კუნძულ ტასმანიის შუა

და სამხრეთი ნაწილი, სადაც მთელი წელი ზომიერი ჰაერის მასე-
ბია გაბატონებული. ლანდშაფტების სივრცობრივ დიფერენციაცია-
ში მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება ექსპოზიცია. დასავლეთ
საქარე კალთებზე ოკეანური ჰაერის პირობებში განვითარებულია
ტენიანი შერეული ტყეები (სუბანტარქტიკული ჰემიპილდე) გაეწ-
რებულ წითელ-მურა და ყვითელმიწა ნიადაგებზე. ტყეშემქმნელი
ჩიშებიდან მთავარია ევკალიპტი და მარადმწვანე სამხრეთული წი-
ფელი. დამახასიათებელია აგრეთვე სამხრეთ-ამერიკული წიწვიანე-
ბი. აღმოსავლეთ ექსპოზიციის კალთებზე და შიდა პლატოებზე, სა-
დაც ნალექები გაცილებით ნაკლები მოდის, განვითარებულია ევკა-
ლიპტის ნათელი ტყეები და ქსეროფიტული ბუჩქნარები შავმიწი-
სებრ ნიადაგებზე.

ტასმანიის მთიანი რელიეფის პირობებში ნათლად არის გამო-
ხატული (განსაკუთრებით საქარე კალთებზე) ლანდშაფტის სიმაღ-
ლებრივი ზონალურობა. მთის ტყის ზონას საშუალოდ 1000 მეტ-
რიდან ცვლის ბუჩქნარები, რომელსაც ყველაზე მაღალ პლატოებზე
ენაცვლება სუბალპური მდელოების ზონა სფაგნუსიანი ჰაობების
უბნებით.

აღმოსავლეთი და ჩრდილო ტასმანია გაცილებით უფრო მკი-
დროდაა დასახლებული და ათვისებული, რის გამოც ლანდშაფ-
ტის ბუნებრივი სახე მნიშვნელოვნად სახეშეცვლილია.

**ბუნების შემავალ ალამიანის სამაურაო სამაინაოთ,
მიწათსარგებლოების ძირითადი ფორმაი და თანამელოკი
ლანდშაფტები**

ბუნებრივი სახე ავსტრალიის ლანდშაფტებს თითქმის არსად
არ შემორჩა. სახეშეცვლის ხარისხი დამოკიდებულია მიწათსარგებ-
ლობის ხასიათზე, რასაც მეტწილად განსაზღვრავს ტენიანობის
მაჩვენებელი, ვინაიდან სითბოს რაოდენობა და რელიეფის ხასია-
თი მიწათსარგებლობას, კერძოდ კი სოფლის მეურნეობის დარგე-
ბის განვითარებას თითქმის არსად არ ზღუდავს. კონტინენტის და-
ახლოებით ნახევარი უკავია არიდულ ლანდშაფტებს (უდაბნოებს,
ნახევარუდაბნოებს, მშრალ სტეპებს და გაუდაბნოებულ სავანებს),
რომელთა მიწები გამოუყენებელი ან მცირედ გამოყენებულია სა-
ძოვრებად სარწყავი მიწათმოქმედების ცალკეული კერებით. აღ-
ნიშნული ლანდშაფტების ბუნებრივი სახე შედარებით სუსტად
არის შეცვლილი.

მიწის რესურსების გამოყენება კონტინენტებისა და
ქვეყნის ნაწილების მიხედვით %-ში
(ა. შ. რიაზჩიკოვის მიხედვით)

კონტინენტები და ქვეყნის ნაწილები	საქალაქო და სამრეწველო დანიშნულების მიწები, გზე- ბი	სამიწათმოქ- მელო სავარ- გულების ფარ- თობი სისოფ- ლო დასახე- ლების და ფერმების ჩათვლით	მდელო -საძოვ- რები	ტყეები, ნარგავების ნათელით	სუსტიდ გამო- ყენებული და გამოუყენებ- ლი მიწები და წყალსა- ცაეები
ევროპა	6	32	11	26	25
აზია	3	21	14	21	41
აფრიკა	1,5	11	22,5	26	39
ჩრდილო და ცენტ- რალური ამერიკა	5	12	12	33	38
სამხრეთი ამერიკა	2	8	13	47	30
ავსტრალია და ოკეანეთი	1,5	8	40,5	8	45
ანტარქტიდა	0	0	0	0	100
მსოფლიო მთლიანად	3	13	15	26	43

ავსტრალიაში ბუნებრივი პირობები ყველაზე უფრო ხელსაყ-
რელია საძოვრული მეცხოველეობის განვითარებისათვის, ვინაიდან
თანამედროვე ლანდშაფტებიდან ფონის შემქმნელია საძოვრული
ლანდშაფტები (ტერიტორიის დაახლოებით 50%, მსოფლიო
მაჩვენებელი დაახლოებით 19%). საძოვრებად ფართოდ არის
გამოყენებული სავანები, ყველა სარტყლის ნათელი ტყეები,
სტეპები და ნახევარუდაბნოები, აგრეთვე ტენიანი ტყეებიც.
მიწათსარგებლობის ხასიათის მიხედვით საძოვრული ლანდშაფ-
ტის სტრუქტურა საკმაოდ რთულია: საძოვრული ლანდშაფტი,
მეტ-ნაკლები დომინირებით, მეტი წილი აგროლანდშაფტების შე-
მადგენელი ნაწილია. დამუშავებული მიწების ხვედრითი წილით
მიწის საერთო ფონდში (4% ნაკლები) და თავისთავად ფართო-
ბით, სამხრეთ ამერიკასთან ერთად, ბოლო ადგილზეა (მსოფლიო
მაჩვენებელი 11% აღემატება). ბუნებრივი ლანდშაფტი ყველაზე
ძლიერ არის სახეშეცვლილი სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-
დასავლეთ ავსტრალიაში, რომლებიც ყველაზე მჭიდროდ დასახ-
ლებული და ყველაზე ინტენსიურად ათვისებული რეგიონებია.

სამხრეთ-აღმოსავლეთი ავსტრალია ქვეყნის მთავარი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო რეგიონია. თანამედროვე ლანდშაფტებიდან აქ აღსანიშნავია: სვანების და ნათელი ტყეების, ხეშეშფოთლიანი მარადმწვანე ტყეებისა და ბუჩქების, სტეპების, ნახევარუდაბნობების და ტენიანი სუბტროპიკული ტყეების ბუნებრივი ზონები მარცვლელ მემინდვრეობით, მებაღეობა-მევენახეობით (სახორცე-სამატყლე მეცხოველეობასთან ერთად), სახორცე-სარძევე მიმართულების ინტენსიურ სამოვრული მეცხოველეობით, სამოვრული სამატყლე მეცხვარეობით და სხვ. თანამედროვე ლანდშაფტები ანალოგიური ხასიათისაა სამხრეთ-დასავლეთ ავსტრალიაში, რომელიც დასახლება-ათვისების ინტენსივობით მეორე ადგილზეა სამხრეთ-აღმოსავლეთი ავსტრალიის (ახალი სამხრეთი უელსის და ვიქტორიის შტატები) შემდეგ. სუბეკვატორული და ტროპიკული სარტყლების წყნაროკეანურ სექტორში ტენიანი მარადმწვანე ტყეების ლანდშაფტი ძლიერ სახეშეცვლილია და ამჟამად ფონის შემქმნელია სამოვრული ლანდშაფტი, ტექნიკური კულტურების (შაქრის ლერწამი, ბამბა, ბანანი, ანანასი და სხვ.) მეურნეობით.

კუნძულ ტასმანიაზე ბუნებრივი ლანდშაფტების ანთროპოგენული სახეშეცვლის თვალსაზრისით მკვეთრად განსხვავებულია მისი აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილები.

აღმოსავლეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი ტასმანია გაცილებით უფრო მჭიდროდ არის დასახლებული და ათვისებული და ნათელი ტყეების ზონა მიწათსარგებლობის თვალსაზრისით ხასიათდება მრავალკულტურურობით — მარცვლელის მეურნეობასთან შერწყმულია მებაღეობა, მებოსტნეობა და მეცხოველეობა (მეტწილად — სამოვრული). გაცილებით უფრო სუსტად არის ათვისებული და სახეშეცვლილი დასავლეთი, განსაკუთრებით კი — სამხრეთ-დასავლეთი ტასმანია ტენიანი შერეული ტყეებით (სუბანტარქტიკული ჰემიჰილია), სადაც ბუნებათსარგებლობაში მაპროფილებელია სატყეო მეურნეობა და სამთომომპოვებითი (ფერადი ლითონების) მრეწველობა.

ავსტრალიის ბუნების ანთროპოგენული ხელყოფის მთავარი საგანია ტყეები. ტყიანობის მაჩვენებლით (ტერიტორიის 7% ნაკლები) იგი ოთხჯერ და უფრო მეტად ჩამორჩება საშუალო მსოფლიო მაჩვენებელს (დაახლოებით 30%), ხოლო სამხრეთი ამერიკა შს აღემატება 7-ჯერ და უფრო მეტად ტყეებს რისხვად მოველინა ევროპული კოლონიზაცია, რომლის დასაბამიდან დაახლოებით სა-

უკუნოვან პერიოდში განადგურდა (გაჩეხვით, ხანძრით, შემორგოლით) კონტინენტის ტყეების დაახლოებით მესამედი. ტყეებს და, მასთან, მთლიანად ტყის ეკოსისტემას გაცილებით მეტ ზიანს აყენებს ხანძრები, ვიდრე სამრეწველო ქრა. საშუალოწლიურად კონტინენტზე ხანძრისაგან ტყეების ფართობი მცირდება ერთი, ხოლო ცალკეულ წლებში — ხუთი პროცენტით. ხანძრის წარმოსაქმნელად ხელსაყრელია ქვეყნის ძირითად ნაწილზე მშრალი და ცხელი ჰავა და ტყეშემქმნელ ჯიშებში ეკვლიპტის დომინირება, რომლის შერქანი და ფოთლებიც ხასიათდებიან ზეთის მნიშვნელოვანი შემცველობით. სამრეწველო დანიშნულების გარდა ადამიანი ტყეებს ანადგურებს საძოვრების და სამიწათმოქმედო სავარგულების გასაფართოებლად და ნიადაგში ტენის შესანარჩუნებლად. ამ მიზნით ყველაზე უფრო მეტად ნადგურდება ევკალიპტის ტყეები ქვეყნის ეკოლოგიურ პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მწვანე სამოსელის ხელოვნურ აღდგენას, რომლის აუცილებლობა ნაკარანხევი როგორც გარემოს დაცვის, ისე მრეწველობის ინტერესებით. ხელოვნურ ტყე-ნარგავებში მთავარი ადგილი უკავია ევროპიდან და ამერიკიდან შემოტანილ წიწვიანებს (ფიჭვი, არაუკარია და სხვ.). ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ევკალიპტის პლანტაციების შექმნას საძოვრული ლანდშაფტის ფარგლებში, რაც ხელს შეუწყობს მთლიანად ევკალიპტის ტყის ბუნებრივი ეკოსისტემის აღდგენას. ავსტრალიის თანამედროვე ტყეების 20%-ზე მეტი ხელოვნური ნარგავებია, უმთავრესად ფიჭვნარი. ტყეების ხელაღებით გაჩანაგებამ გამოიწვია ზემოცნარეთა ბევრი ძვირფასი სახეობის გაქრობა. გადაშენდა ფრინველთა მრავალი სახეობა.

ავსტრალიის უნიკალური ბუნების, განსაკუთრებით მისი ორგანული სამყაროს შენარჩუნების ინტერესებმა წარმოშვა დაცული ტერიტორიების (ეროვნული პარკების, ნაკრძალების, რეზერვატების და სხვ. სახით) შექმნა. ავსტრალიის კავშირის ტერიტორიაზე 1000-ზე მეტი დაცული ტერიტორიაა, რომელთა უმეტესობა ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ავსტრალიის ტყიან ეკოსისტემებს მოიცავს.


ბოლო პერიოდში დაცული ტერიტორიები იქმნება საძოვრების არეალში, არიდული ბუნებრივი ლანდშაფტების შენარჩუნება-აღდგენის მიზნით. კონტინენტის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპირო-

ზე შექმნილია მსოფლიოში იშვიათი წყალქვეშა პარკები, სადაც დატულია მარჯნული წარმოშობის წყალქვეშა ლანდშაფტი.

მთიანი ავსტრალიის ბუნებაზე საზიანოდ მოქმედებს ტურისტთა ნაკადების სიმჭიდროვე. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი წყალგამყოფი ქედის სუბტროპიკული მონაკვეთი (ავსტრალიის ალპები და ცისფერი მთები).

ავსტრალიის ბუნებრივი ლანდშაფტის ყველაზე ორიგინალური და უნიკალური ელემენტია მისი ორგანული სამყარო, რომელიც ბუნებრივი სახის დეგრადაციაში მნიშვნელოვანი წილი აქვს კონტინენტსგარე რეგიონებიდან ინტროდუცირებულ მისთვის უცხო ცხოველებსა და მცენარეებს.

ადამიანის მიწათსარგებლობის სახეებიდან ბუნებაზე ზემოქმედების მასშტაბის თვალსაზრისით პირველ ადგილზე გამოდის საძოვრული მეცხოველეობა.



ნახ. 7. მიწის რესურსების გამოყენების ძირითადი ტერიტორიული ფორმები (ე. ვ. მილანოვას და ა. მ. რიაბჩიკოვის მიხედვით)

პირობითი აღნიშვნები:

- 1 — სარწყავი მიწათმოქმედება
- 2 — მინდვრები და საძოვრები
- 3 — საძოვრები
- 4 — საექსპლოატაციო ტყეები
- 5 — გამოუყენებელი მიწები.


ავსტრალიის ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონება და რეგიონული მიმოხილვა

ყველაზე მსხვილმასშტაბიანი რეგიონული კონტრასტები კონტინენტის ბუნებრივ და, მის საფუძველზე, თანამედროვე ლანდშაფტების ხასიათში შეინიშნება ყველაზე მსხვილი და ძირითად მორფოსტრუქტურების მიხედვით, როგორცაა ტერიტორიის სიდიდით ძლიერ უთანაბრო ბაქნური ცენტრალური და დასავლეთი ავსტრალია და გეოსინკლინურ ნაოქა-მთიანი აღმოსავლეთი ავსტრალია. ამ ყველაზე მაღალი რანგის (ქვეკონტინენტის თუ მხარის) ფიზიკურ-გეოგრაფიული რეგიონების გამოყოფის მთავარ ფაქტორად გვევლინება ტერიტორიის გეოლოგიური განვითარების ისტორია და მასთან დაკავშირებული გეოტექტონიკური აგებულება, რამაც განსაზღვრა კონტინენტის ძირითად ნაწილზე (ცენტრალურ და დასავლეთ) ვრცელი ბაქნური ვაკეების განვითარება, ხოლო აღმოსავლეთ მერიდიანულ ზოლში ლოდა-ნაოქა გეოსინკლინურ სტრუქტურებზე — დაბალი და საშუალომთიანი ლანდშაფტების ჩამოყალიბება.

ბუნების კამბრიულის შემდგომი პალეოგეოგრაფიული განვითარების პროცესების შედეგად, რომელშიც მთავარი იყო ბაქნის საძირკვლის ვერტიკალურ-დიფერენციალური მოძრაობა, მის ფარგლებში წარმოიქმნა ორი ძირითადი ტექტონიკური ელემენტი — დასავლეთ ნაწილში კრისტალური ფარი, რომელიც ერთი მთლიანი არაა და დანაწევრებულია ცალკეული ღრმულებით და აღმოსავლეთ ნაწილში (ცენტრალურ ავსტრალიაში) — მერიდიანული მიმართულების ვრცელი სინეკლიზა. მათ საფუძველზე ჩამოყალიბდა ორი მსხვილი მორფოსტრუქტურა — დასავლეთ ავსტრალიის ზეგანი და ცენტრალური ავსტრალიის დაბლობი.

ამრიგად, დარაიონების პირველ საფეხურზე კონტინენტზე შეიძლება გამოიყოს სამი მსხვილი, ფიზიკურ-გეოგრაფიული ქვეყნის რანგის რეგიონი: დასავლეთ ავსტრალიის ზეგანი, ცენტრალური დაბლობი და მთიანი აღმოსავლეთი (დიდი წყალგამყოფი ქედი).

რეგიონული ბუნებრივი კომპლექსების გამოყოფის მომდევნო (უფრო დაბალ) საფეხურებზე ლანდშაფტების სივრცობრივი დიფერენციაციის ფაქტორებში გარდამავალი უპირატესობით (ვაკე და მთიანი რელიეფის შესატყვისად) შეზავებულია განედურ-ზონალური (მეტწილად მზისგან მიღებული სითბოს განაწილება) და აზონალური ფაქტორები. ამ უკანასკნელში ვგულისხმობთ რელიეფის (განსაკუთრებით ფერდობთა ექსპოზიციის) ფაქტორს, ზედაპირის ამგები ქანების ლითოლოგიას და ლანდშაფტის სექტორულ დიფერენციაციასაც. აღნიშნულ ფაქტორთა კომპლექსი (ერთობლი-



ნახ. 8. ავსტრალიის ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონება*

* — შედგენილია მ. პ. პოტიომკინის, ლ. გ. ფროლოვას, ტ. გ. რუენსკის რუკების მიხედვით.

ობა) ამასთანავე განსაზღვრავს ლანდშაფტის სარესურსო პოტენ-
ციალს, ბუნებათსარგებლობის ხასიათს და, აქედან გამომდინარე,
ბუნებრივი ლანდშაფტების ანთროპოგენული სახეშეცვლის ხარისხს
ანუ თანამედროვე ლანდშაფტების სახეს.

ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონების რუკის
ლ ე გ ე ნ დ ა

ქვეყანა	ო ლ ქ ი	ქ ე ე ო ლ ქ ი
1	2	3
ა. დასავ- ლეთ ავს ტრალიის ზეგანი	I. სუბეკვატორული ჩრდილოეთი II. დას. პლატოები და სანაპირო დაბლობები III. ცენტრალური ზეგანი IV. ცენტრალური ავსტ- რალიის შთიანი ოლ- ქი V. სუბტროპიკული სამ- ხრეთი	1. ტასმანიის მიწა, 2. ჩრდილო ტე- რიტორიის პლატო, 3. არნემლენ- დის ნახევარკუნძული, 4. დას. პლატოები, 5. სანაპირო დაბ- ლობები, 6. დიდი ჰვიშიანი უდაბნო, 7. დიდი უდაბნო ვიქტორია, 8. გიბსონის უდაბნო, 9. მაკდონელის მასივი, 10. მასგრეი- ვის მასივი, 11. ამადენის ტიქტო- ნიკურ-ტბიური ქვაბული, 12. სამხრეთ-დასავლეთი სანაპირო მთე- ბი და დაბლობები, 13. სამხრეთ- დასავლეთი პლატო, 14. ნალარბო- რის კარსტული ვაკე.
ბ. ცენტ- რალური დაბლობი	VI. მესონური ჩრდილო- ეთი VII. სელუინის მალღობი VIII. დიდი არტეზიული აუზის ვაკეები IX. დარლინგისპირა ვა- კეები მურეისპირა ვაკეები XI. სამხრეთ ავსტრალი- ის მთები და სანაპი- რო ვაკეები	15. სიმფსონის უდაბნო, 16. კრიკების ქვეყანა, 17. ტბა ეირის ქვაბული, 18. გიბერის ვაკე. 19. ზემო დარლინგის ვაკე-დაბლობი. 20. შუა და ქვემო დარლინგის ვაკე- დაბლობები. 21. ზემო მურეის (რივერაინის), ვაკე, 22. შუა და ქვემო მურეის ვაკე- დაბლობები, 23. ფლინდერსის და მაუნტ-ლოფტის კარსტული მასივები, 24. ეირის და იორკის ნახევარკუნძულების ვაკე- ები, 25. ბორკეიანი სანაპირო ვაკე, 26. სანაპირო კრისტალური პლატო და ლოდა მასივები, 27. შიდა ქვაბუ- ლები, 28. წყალგამყოფი ქედი, 29. ახალინგლისის და ლივერპულის ქედები, 30. ცისფერი მთები, 31. ავსტრალიის ალპები, 32. ვიქტორიის ალაები, 33. ტასმანია.
გ. მთლი- ანი აღმო- სავლეთი (დიდი წყალგამ- ყოფი ქე- დი	XII. ტროპიკული ჩრდი- ლოეთი (კვინსლენ- დის მთები) XIII. სუბტროპიკული სა- მხრეთი (ახალი სამხ- რეთ უელსის მთები)	

საზღვრები: — 1 — ქვეყნის, 2 — ოლქის, 3 — ქვეოლქის

მას უკავია კონტინენტის დასავლეთი ნახევარი. მის ფარგლებშია დასავლეთ ავსტრალიის შტატი, სამხრეთ ავსტრალიის დასავლეთი და ჩრდილოეთი ტერიტორია. მცირე გამოწკლისის გარდა, მისი ტერიტორია შეესატყვისება ავსტრალიის ბაქნის კრისტალური საძირკვლის აზევებას, რომელიც წარმოდგენილია ცალკეული ფარგლებით (დასავლეთ ავსტრალიის, ჩრდილო ავსტრალიის და სამხრეთ ავსტრალიის) და მათი გამყოფი ტექტონიკური ღრმულებით, რომელთა ფარგლებში განვითარებულია აკუმულაციურ-დენუდაციური ვაკეები. ზეგნის ლანდშაფტები ხანგრძლივ გეოლოგიურ დროში (მეზოზოურიდან დაწყებული) ვითარდებოდა სუბაერალურ პირობებში. ბაიკალური ოროგენეზისით (პროტეროზოურის და პალეოზოურის მიჯნაზე) ბაქანზე დასრულდა დანაოქებითი მთათწარმოქმნელი პროცესები. შემდგომში ენდოგენურ პროცესებს აქვთ ტერიტორიის რყევითი მოძრაობის ხასიათი, რასთანაც დაკავშირებული იყო დენუდაციური და აკუმულაციური პროცესების ციკლების მრავალჯერადი ცვლა. ხანგრძლივ დროში დომინირებულს წარმოადგენდა დენუდაცია, რასთანაც დაკავშირებულია ვრცელი პენეპლენიზებული ზედაპირები. დასავლეთ ავსტრალიის ზეგნის ზედაპირის საშუალო სიმაღლე 400-500 მეტრის ფარგლებშია. ვაკე ზეგნური რელიეფის ერთფეროვნებაში მნიშვნელოვანი კორექტივები შეაქვს ბაქნის საძირკვლის აზევებულ უბნებთან დაკავშირებულ ლოდა მასივებს, რომლებიც მეტწილად განვითარებულია ზეგნის დასავლეთ და აღმოსავლეთ პერიფერიაზე. დასავლეთ პერიფერიაზე მთვან აღსანიშნავია: ჰამერსლის, დარლინგის და სტირლინგის ქედები. ნაოჭა-ლოდა მასივები, რომელთა საძირკველსაც ქმნის კამბრიულისწინა ნაოჭა სტრუქტურები, განლაგებულია ზეგნის აღმოსავლეთ პერიფერიაზე, როგორცაა მაკდონელის (1400 მ) და მასგრეივის (1504 მ) მთები.

თანამედროვე გეომორფოლოგიური პროცესებიდან დასავლეთ ავსტრალიის ზეგანზე მთავარ როლს ასრულებს ფიზიკური გამოფიტვა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ეოლური პროცესები, რამაც განსაზღვრა ვრცელი ქვიშიანი უდაბნოების წარმოქმნა.

ავსტრალიის ტროპიკულ უდაბნოთა ლანდშაფტებს მნიშვნელოვანი ანალოგი მოეპოვება აფრიკაში, მაგრამ, საერთო მსგავსების ფონზე ავსტრალიას გააჩნია არსებითი განმასხვავებელი ნიშნე-

ბი და თავისებურება, რომლითაც იგი გამოირჩევა ყველა კონტინენტს შორის. თავისებურება, პირველ რიგში, ეხება რელიქტურობის ნათლად გამოვლინებას მისი ლანდშაფტების (განსაკუთრებით არიდული) ყველა ელემენტში; ეს ეხება რელიეფსაც, შიდა წყლებსაც, ნიადაგებსაც და, განსაკუთრებით ორგანულ სამყაროს. ტროპიკულ (ნაწილობრივ სუბტროპიკულშიც) უდაბნოებში ფართოდ არის განვითარებული ლატერიტული ქერქი, რომელიც წარმოადგენს მეოთხეულის პლუვიალური ეპოქის რელიქტს და მან, პალეოტიპის რელიეფის მიმართ შეასრულა დამკველი ჯავშნის როლი. იმავე ეპოქასთან არის დაკავშირებული შრობადი კალაპოტების (კრიკების) ხშირი ქსელი და ნარჩენი ტბები. უდაბნოს ოაზისური ლანდშაფტი, რომელიც აფრიკის (კერძოდ საჰარის) ბუნების მნიშვნელოვანი ელემენტია, ავსტრალიისათვის არ არის დამახასიათებელი.

სხვა კონტინენტებისაგან განსხვავებით, ავსტრალია მნიშვნელოვან თავისებურებას ამჟღავნებს ერთი და იმავე გეოგრაფიულ სარტყლებში ბუნებრივი ზონების სივრცობრივი დიფერენციაციის (განსაკუთრებით სექტორული) თვალსაზრისით. ამ მხრივ ყველაზე არსებითია ავსტრალიის ტროპიკული გეოგრაფიული სარტყლის დასავლეთ ოკეანურ სექტორში სანაპირო უდაბნოთა ზონის ხარვეზი, რომელიც განსაზღვრულია მთელი რიგი ფაქტორებით: კონტინენტის კონფიგურაცია და მასთან დაკავშირებული ზაფხულის მუსონის (ჩრდილოეთიდან) და ზამთრის ციკლონური ქარების (სამხრეთიდან) გავლენის შედეგად. მნიშვნელოვანი ფაქტორია აგრეთვე დასავლეთ ავსტრალიის ცივი დინების სუსტი გავლენა.

დასავლეთ ავსტრალიის ზეგნის ვრცელი ტერიტორიის ფარგლებში, ლანდშაფტის უფრო მსხვილმასშტაბიანი კონტრასტები ყალიბდება როგორც ზონალური, ისე აზონალური ფაქტორების შერწყმული გავლენით. მზისგან მიღებული სითბოს ოპტიმალური რაოდენობის და ვაკე რელიეფის პირობებში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ტენის (როგორც ჰაერში, ისე ნიადაგში) რაოდენობა. ზეგნის ტერიტორია სამ გეოგრაფიულ სარტყელშია, რომელთაგან ტროპიკულში და სუბტროპიკულში ნათლად არის გამოხატული კონტინენტური (ძირითად ნაწილზე) და დასავლეთ ოკეანური სექტორები. რეგიონის ცენტრალური და აღმოსავლეთი ყველაზე არიდული ბუნების მქონე ტერიტორია უკავია ტროპიკულ უდაბნოებს. მის-


გან ჩრდილოეთისაკენ, დასავლეთისაკენ და სამხრეთისაკენ ტენის რაოდენობა მცირედ, მაგრამ მაინც თანდათანობით მატულობს და უდაბნოებს ცვლის ნახევარუდაბნოები და გაუდაბნოებული სავანე-ბი. უდაბნოს და ნახევარუდაბნოს ლანდშაფტების მონოტონურობაში არსებითი კორექტივები შეაქვს რელიეფის (განსაკუთრებით ფერდობთა ექსპოზიციის) და ზედაპირის ამგები ქანების ლითოლოგიის ფაქტორს. ამის ნათელი გამოვლინებაა მნიშვნელოვანი ლანდშაფტური გარდატეხა მთიანი მასივების საქარე კალთებზე ზეგნის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ პერიფერიაზე და თვით კონტინენტური სექტორის ცენტრშიც.

ზონალური და აზონალური ფაქტორების გავლენით განსაზღვრული ლანდშაფტური კონტრასტების რეგიონული გამოვლინების საფუძველზე დასავლეთ ავსტრალიის ზეგნის ფარგლებში შესაძლებელია გამოიყოს შემდეგი უფრო დაბალი რანგის რეგიონები: I. სუბეკვატორული ჩრდილოეთი, II. დასავლეთი პლატოები და სანაპირო დაბლობი, III. ცენტრალური ზეგანი, IV. ცენტრალური ავსტრალიის მთიანი ოლქი და V. სუბტროპიკული სამხრეთი. აღნიშნული რეგიონებიდან თითოეული მოიცავს ვრცელ ტერიტორიას და ლანდშაფტის საერთო ნიშნების ფონზე ამჟღავნებს მნიშვნელოვან ნაირგვარობას, რაც საფუძველს იძლევა უფრო დაბალი რანგის რეგიონების — ფიზიკურ-გეოგრაფიული ოლქების და ქვეოლქების გამოყოფისათვის. ცხადია, ნაირგვარობა აირეკლება ბუნებათსარგებლობის ხასიათშიც.

სუბეკვატორული ჩრდილოეთი დასავლეთ ავსტრალიის ზეგნის ფარგლებში მოიცავს ტასმანიის მიწას, ჩრდილო ტერიტორიის პლატოს და არნემლენდის ნახევარკუნძულს, რომელთაც სუბეკვატორული ლანდშაფტის საერთო ნიშნების ფონზე გააჩნიათ ინდივიდუალური ნიშნები, რაც საფუძველს იძლევა მათი ფიზიკურ-გეოგრაფიულ რეგიონებად (ქვეოლქებად) გამოყოფისათვის. სუბეკვატორული ჩრდილოეთის ბუნების ძირითადი და საერთო ნიშნები განსაზღვრულია ეკვატორული მუსონის გავლენით, ვაკე რელიეფით და სანაპირო ხაზის მნიშვნელოვანი (კონტინენტის მთლიანი სანაპირო ხაზის ფონზე) დანაწევრებით. ჰავა ცხელი და ცვალებადტენიანია, ტემპერატურების უმნიშვნელო რყევადობით. სამხრეთის მიმართულებით ნალექების წლიური რაოდენობა კლებულობს 2000-1500 მმ-დან 500 მმ-მდე. ნალექების 70%-ზე მეტი

ზაფხულის სეზონზე* მოდის. ზედაპირული ჩამონადენის განეითარებით და მდინარეთა ქსელის სიხშირით იგი მხოლოდ დიდი წყალგამყოფი ქედის აღმოსავლეთ კალთებს ჩამოუფარდება. ბუნებრივი ლანდშაფტებიდან ჩრდილოეთ ნაწილში დომინირებს მარადმწვანე და ნახევრად მარადმწვანე ცვალებადტენიანი სუბეკვატორული ტყეები (უმთავრესად ეკვალიპტისაგან), ხოლო სამხრეთში — ეკვალიპტის ნათელი ტყეები და ტენიანი სავანა. ამრიგად, ლანდშაფტი უმთავრესად იცვლება სამხრეთის მიმართულებით ზაფხულის მუსონის თანდათანობითი შესუსტების შესატყვისად, აგრეთვე მნიშვნელოვანი ფაქტორია ზედაპირის დანაწევრების ხასიათი.

ჩრდილოეთ ნაწილში ტიმორის ზღვასა და კარპენტარიის ყურეს შორის ტიპური მუსონურ-სუბეკვატორული ლანდშაფტებით ნათლად გამოიყოფა არნემლენდის ნახევარკუნძული, რომელიც წარმოადგენს მეზოზოური ქვიშაქვებით აგებულ ბორცვიან ვაკეს; მისი ძირითადი ნაწილი დაბლობია, ხოლო შუა ნაწილი უკავია დაბალ (400 მ-მდე სიმაღლის) პლატოს, რომელიც მდინარეთა ხეობებით დანაწევრებულია შთენილ მასივებად. სანაპირო ხაზი მნიშვნელოვნად შეჭრილ-შემოჭრილია.



ნახ. 9. ტემპერატურის, ნალექების და შეფარდებითი ტენიანობის წლიური მსვლელობა ავსტრალიის ჩრდილო სანაპიროზე — დარვინი (ტ. ვ. ვლასოვას მიხედვით)

* — სეზონები, როგორც საერთოდ სუბეკვატორულ სარტყელში, აქაც ნალექების მოსვლის მიხედვით გამოიყოფა.

ლანდშაფტური კონტრასტები ყველაზე ნათლად ჩანს მდინარეთა ხეობებსა და პლატომასივებს შორის. ხეობებში ნოტიო სუბ-ეკვატორული ტყეებია, ხოლო პლატოებზე და სამხრეთისაკენ ნალექები თანდათან კლებულობს და განვითარებულია ეკალიპტის ტყეები და ტენიანი სავანა. ტყეები ყველაზე უფრო ჰიდროფილურია ნახევარკუნძულის ჩრდილო პერიფერიაზე და მიმდებარე კუნძულებზე, სადაც ნალექების რაოდენობა 1500 მმ აღემატება. ტყე-შემქმნელი ჯიშებიდან მასში მნიშვნელოვან როლს ასრულებს პანდანუსები, „ჩაის ხე“ არომატული ყვავილებით. ხშირი ბამბუკის ქვეტყე ტყეს ხდის ძნელად გადასალახს.

რეგიონის ტერიტორია ბუნებრივი რესურსებით მდიდარია (სამრეწველო მნიშვნელობის ურანის და რადიუმის მადნები, მდიდარი საძოვრები და ხე-ტყე, აგრო-კლიმატური რესურსები), მაგრამ ევროპელებისათვის ძნელად ასატანი კლიმატური პირობების მიზეზით ძალიან მეჩხრად არის დასახლებული და მისი რესურსული პოტენციალი დღემდე სუსტად არის ათვისებული. ვან-დიმენის ყურის სანაპიროზე მდებარეობს მნიშვნელოვანი საპორტო ქალაქი დარვინი.

ტასმანიის მიწის რეგიონს უკავია კონტინენტის ჩრდილო-დასავლეთი, სუსტად გამოხატული ნახევარკუნძულის კონფიგურაციის. შვერილი: მის ფარგლებში გამოიყოფა შემდეგი მორფოსტრუქტურები და მათი შესატყვისი ოროგრაფიული ერთეულები: კიმბერლის ზეგანი და ორდის ვულკანური პლატო, რომელთა ზედაპირი მდინარეების — ფიცროის და ორდის ეროზიული ხეობებით დანაწევრებულია დაბალმთიან (900 მ-მდე სიმაღლის) მაგიდა ლოდა მასივებად (პლატოებად), სანაპირო და მდ. ფიცროის დაბლობი. სანაპირო დაბლობი ჩრდილო ნახევარში, კემბრიჯის და კინგის ყურეებს შორის გაცილებით უფრო ვიწროა სანაპირო ხაზის ძლიერი დანაწევრებით, ხოლო მისგან სამხრეთით, ე. წ. 80 მილიანი სანაპიროს ფარგლებში, მისი განი საგრძნობლად მატულობს და სანაპირო სწორხაზოვანია.

ჰავა სუბეკვატორულია, მაგრამ არნემლენდის ნახევარკუნძულთან შედარებით ნალექების ნაკლები რაოდენობით (500-1000 მმ). ლანდშაფტების ნაირგვარობაზე სინოტივის კანონზომიერ ცვალებადობასთან (სამხრეთის მიმართულებით) ერთად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ისეთი აზონალური ფაქტორები, როგორცაა ზედაპირის აძგები ქანების ლითოლოგია და რელიქტური გამოფიტ-

ვის ქერქი, რასთანაც პლატოების ტერიტორიაზე დაკავშირებულია ევკალიპტის ნათელი ტყეების და სავანების ლანდშაფტი. სანაპირო ვაკეებზე და დიდ მდინარეთა ხეობებში შედარებით ტენიანი ჰავის პირობებში განვითარებულია ცვალებადტენიანი სუბეკვატორული ტყეები. ზვირთცემისაგან დაცულ სანაპირო ზოლში, როგორც სხვაგან, ცხელ სარტყელში, აქაც ჩამოყალიბებულია მანგროს ლანდშაფტი.

როგორც საერთოდ ჩრდილოეთი ავსტრალია, ტასმანიის მიწის რეგიონიც, მიუხედავად ბუნებრივი რესურსების დიდი პოტენციალისა (მდიდარი საძოვრები, რკინის მადნის მნიშვნელოვანი მარაგი, აგრო-კლიმატური რესურსები და სხვ.), მეჩხრად არის დასახლებული. მიწათმოქმედება და საძოვრული მესაქონლეობა ექსტენსიური ხასიათისაა. მდიდარი აგრო-კლიმატური რესურსები სუსტადაა გამოყენებული.

ჩრდილო ტერიტორიის პლატოს ოლქი მდებარეობს არნემლენდის ნახევარკუნძულიდან სამხრეთით. ჩრდილო ავსტრალიის ფარგლებში იგი გამოირჩევა ყველაზე ერთფეროვანი რელიეფით; წარმოადგენს სუსტად დანაწევრებულ დაბალ (400-500 მ) პლატოს ცხელი და ცვალებადტენიანი (ხანგრძლივი მშრალი სეზონით) ჰავით, სუსტად განვითარებული ზედაპირული ჩამონადენით. ნალექების რაოდენობა რეგიონის ტერიტორიაზე 250-500 მმ ფარგლებშია. ასეთ პირობებში ვაკის ჩრდილოეთ ნაწილში განვითარებულია ტიპური სავანური ლანდშაფტი, ხოლო სამხრეთისაკენ მას თანდათანობით ცვლის გაუდაბნოებული სავანა. რეგიონის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი უკავია ბერკლის პლატოს, რომელიც რელიეფში მკვეთრად გამოხატული საფეხურიტ ეშვება კარპენტარიის დაბლობში.

ოლქის ტერიტორია მეჩხრადაა დასახლებული. ბუნებათსარგებლობის მთავარი სახეა საძოვრული მესაქონლეობა (სარქვევ-სახორცე მიმართულების) მიწათმოქმედების კერებით და ფერადი ლითონების სამთამადნო მრეწველობა.

1. დასავლეთ პლატოებს და სანაპირო დაბლობს უკავია ტროპიკული ავსტრალიის დასავლეთ ოკეანური სექტორი, რომლის რელიეფი კონტინენტური სექტორის უდაბნო პლატოებთან შედარებით უფრო მრავალფეროვანია. რეგიონის მეტი ნაწილი ზეგანს უკავია; რელიეფში შერწყმულია სუსტად დანაწევრებული კრისტალური ვაკეები, დაბალმთიანი პორსტული ქედები (ჰამერსლის,

ზარლის და სხვ.), მათი გამყოფი ღრმულები, რომლებიც ზოგჯერ უკავია შრობად ტბიურ ქვაბულებს.

როგორც აღნიშნული იყო, ავსტრალიის ტროპიკული სარტყელი (აგრეთვე სუბტროპიკულიც) ყველა დანარჩენი კონტინენტისაგან გამოირჩევა ნახევარუდაბნოთა ლანდშაფტის გაცილებით მეტი არეალით, განსაკუთრებით დასავლეთ ოკეანურ სექტორში, რაც გამოწვეულია ჩრდილოეთიდან ზაფხულის მუსონის, ხოლო სამხრეთიდან ციკლონური ხასიათის ქარების გავლენით და დასავლეთ ავსტრალიის ცივი ღინების შეუდარებლად უფრო სუსტი ზემოქმედებით, ვიდრე ამერიკის და აფრიკის შესატყვის სექტორებში. აღნიშნულთან დაკავშირებით დასავლეთ ოკეანურ სექტორში უდაბნოს ლანდშაფტი არ ვითარდება.

დასავლეთი პლატოები (დასავლეთ ავსტრალიის ზეგნის დასავლეთი პერიფერია) ცენტრალური უდაბნო-ვაკეების მიმართ სანგრძობლად ახვეებულია და მდინარეთა ღრმა, მშრალი კალაპოტებით დანაწევრებულია ცალკეულ მასივებად, რომელთაგან ყველაზე მაღალი ჰორსტული ქედები ჩრდილოეთ ნაწილშია (ჰამფრისის ქედის სიმაღლე 1200 მ აღემატება). მათ ზედაპირზე გაშიშვლებულია კამბრიულისწინა კრისტალური ქანები. სამხრეთ ნაწილში ლანდშაფტურად ნათლად გამოიყოფა თიხიანი ვაკე და მლაშე-ბული ღრმულებით, რომელთა ფარგლებშიც ხანმოკლე თავსება წვიმების დროს წარმოიქმნება მლაშე ტბების ხშირი ქსელი, საიდანაც მიიღო „მარილიან ტბათა ვაკის“ სახელი. პლატოები დასავლეთით რელიეფში ნათლად გამოხატული საფეხურით ეშვებიან მეზოზოური ასაკის დანალექი წყებებით აგებულ ბორცვიან სანაპირო ვაკე-დაბლობზე.

ცენტრალურ ზეგანთან შედარებით დასავლეთი პლატოები, განსაკუთრებით ლოდა მასივები, ხასიათდებიან ზედაპირის ღრმა ეროზიული დანაწევრებით და შრობადი კალაპოტების ხშირი ქსელით.

ნიადაგ-მცენარეული საფარის და, მთლიანად, ბუნებრივი კომპლექსების ხასიათი და კონტრასტები განსაზღვრულია ჰაერისა და ნიადაგის ტენიანობით, რაშიც დიდ როლს ასრულებს ადგილობრივი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები (ზედაპირის ოროგრაფიული დანაწევრების ხასიათი და ამგები ქანების ლითოლოგია). ამასთან დაკავშირებით ქედების საქარე კალთებზე განვითარებულია ეგკალიპტის ნათელი ტყეები, ხოლო ზეგნების და ვაკე-დაბლობე-

ბის ძირითადი ნაწილი უკავია სკრების ტიპის (უმთავრესად ეკვალიპტიან) ნახვარუდაბნოს ლანდშაფტს.

მიწათსარგებლობის მთავარი მიმართულებაა საძოვრული მეცხოველეობა, დამუშავებული მიწების კერებით. ყველაზე უფრო მეტად დასახლებულია სამთამადნო რაიონები. რეგიონის ტერიტორია მდიდარია მაღალხარისხოვანი რკინის მადნით, ოქროთი და კალით.

ცენტრალური ზეგნის ოლქი მოიცავს ვრცელ ტერიტორიას, რომელშიც საკუთრივ დასავლეთ ავსტრალიის ზეგნის ცენტრალური ნაწილის გარდა, შედის მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი პერიფერიაც (დიდი უდაბნო ვიქტორიის შემადგენელი). მისი ტერიტორია რკალისებურად აკრავს ცენტრალური ავსტრალიის მთიან ოლქს სამხრეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან. ამ ვრცელი რეგიონის ბუნების საერთო ნიშანს წარმოადგენს მკვეთრად კონტინენტური ტროპიკული ქვიშიანი უდაბნოს ლანდშაფტის დომინირება. ავსტრალიის ქვიშიანი უდაბნოები სხვა კონტინენტების ტროპიკულ უდაბნოებს შორის მნიშვნელოვანი თავისებურებით გამოირჩევა. განსაკუთრებით აღსანიშნავია რელიქტური ლატერიტული გამოფიტვის ქერქისაგან წარმოქმნილი წითელი ფერის ქვიშის სერების ფართო გავრცელება.

მიუხედავად ჰავის მკვეთრი არიდულობისა, ავსტრალიის უდაბნოები ისე უსიცოცხლოდ არ გამოიყურებიან, როგორც ამას ადგილი აქვს სხვა კონტინენტების ტროპიკულ უდაბნოებში. ეს უმთავრესად გამოწვეულია ქვიშების მეტი ტენტევადობისა და კონდენსაციის უნარით. კონტინენტზე შედარებით იშვიათ მოვლენას წარმოადგენს მცენარეულობას სრულებით მოკლებული უბნები.) სხვა რეგიონებისაგან (განსაკუთრებით საპარისაგან) განსხვავებით, ავსტრალიის უდაბნოებისათვის თაზისური ლანდშაფტი ნაკლებადაა დამახასიათებელი.

რეგიონის ტერიტორია ხასიათდება მნიშვნელოვანი განედური განფენილობით, რომელიც ტროპიკულ უდაბნოთა ლანდშაფტის სივრცობრივი დიფერენციაციის (სუსტად გამოხატული) მთავარი ფაქტორია. მის ფარგლებში სამი რეგიონი გამოიყოფა, სამივე ტროპიკული უდაბნოს ლანდშაფტით, მაგრამ მისი პროვინციული (ინდივიდუალური) ნიშნების გამოვლინებით: ჩრდილოეთში დიდი ქვიშიანი უდაბნო, სამხრეთში დიდი უდაბნო ვიქტორია და მათ შორის გიბსონის უდაბნო.

დიდი ქვიშიანი უდაბნო ცენტრალური (ტროპიკული) უდაბნო ზეგნის ჩრდილო ნაწილშია, რის გამოც ზაფხულში მის ტერიტორიაზე. (განსაკუთრებით ჩრდილო პერიფერიაზე) აღწევს (თუმცა შესუსტებულად) ეკვატორული მუსონის გავლენა. ამასთან დაკავშირებით ავსტრალიის უდაბნოთა ფონზე აქ აღინიშნება ყველაზე მეტი ნალექი (200-450 მმ), რასაც უკავშირდება არსებითი განმასხვავებელი ნიშნები ცოცხალ ბუნებაში და მთლიანად ლანდშაფტის ხასიათში, აგრეთვე — მიწათსარგებლობაში.

უდაბნოს უკავია ვრცელი ტერიტორია (დაახლოებით 360 ათასი კმ²), რომლის ზედაპირის საშუალო სიმაღლე 400-500 მ-ია. რელიეფის მეზო ფორმებიდან დომინირებულია ქვიშიანი სერები, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილია თიხიან-მლაკობი ვაკეებით. ჰავა ცხელი (კონტინენტის ფარგლებში ერთ-ერთი ყველაზე ცხელი ადგილია) და კონტინენტურია, ხშირი გვალვებით. ზაფხულის საშუალო ტემპერატურა 35° აღწევს (ზამთარში პლუს 15-20°). ზედაპირულ ჩამონადენს თითქმის მთლიანად მოკლებულია. შრობადი კალაპოტები შეინიშნება მხოლოდ ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთ პერიფერიაზე.

ბუნებრივი ლანდშაფტი ძირითადად წარმოდგენილია სპინიფექსიანი უდაბნოებით. მისთვის დამახასიათებელი დამკორდებელი ხეებია: ეკლიანი მარცვლოვნები ამაგრებენ ქვიშიან სერებს (დიუნებსა და ბარქანებს). ჩრდილო-დასავლეთ პერიფერიაზე და ცაბდაბლებებში, სადაც ტენი მეტია (განსაკუთრებით ნიადაგში), განვითარებულია ქსეროფიტული დაბალტანიანი ტყე-ბუჩქნარი. უმთავრესად აკაციის (უდაბნოს) და ეკალიპტისაგან.

რეგიონის ტერიტორიის ძირითადი ნაწილი გამოუყენებელი და დაუსახლებელია. ნაწილობრივ გამოყენებულია ექსტენსიური საძოვრული მეცხოველეობისათვის.

დიდ უდაბნო ვიქტორიას უკავია დასავლეთ ავსტრალიის ზეგნის საკმაოდ ვრცელი (დაახლოებით 300 ათასი კმ²) სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. იგი ზეგნის ტროპიკულ უდაბნოთა სამხრეთ პერიფერიაზეა და ხასიათდება სუბტროპიკული უდაბნოებისა და ნახევარუდაბნოებისაკენ გარდამავალი ბუნების ნიშნებით. ლანდშაფტი დიდ ქვიშიან უდაბნოსთან შედარებით უფრო არიდულია, ნალექების წლიური რაოდენობა 125-250 მმ ფარგლებშია. განსხვავებულობას წარმოშობს განედის ფაქტორი (ეკვატორული მუსონის გავლენისაგან ძლიერ დაშორება), ზომიერი ჰაერის მასების


სუსტი გავლენა და ზეგნის შემქმნელი პლატოების გაცილებით მცირე (150-300 მ) აბსოლუტური სიმაღლე. რელიეფის ძირითად ფორმებს (მეზოფორმებს) აქაც წარმოადგენს 10-დან 30-მდე მეტრის შეფარდებითი სიმაღლის დიუნური სერები, რომელთაც აქვთ გაბატონებული ქარების მიმართულება. ქვიშიანი სერები გამაგრებულია სპინიფექსის დამკორდებელი მარცვლოვნებით. დადაბლებებში, სადაც ნიადაგში შედარებით მეტი ტენია, განვითარებულია სკრების ტიპის ლანდშაფტი. უდაბნო თითქმის მთლიანად უწყლოა და დაუსახლებელი. ძირითადი ნაწილი გამოუყენებელია. ყველაზე მეტად გამოყენებულია (საძოვრებად) სამხრეთ-აღმოსავლეთი პერიფერია.

გობსონის ქვიან უდაბნოს უკავია დასავლეთ ავსტრალიის ზეგნის ცენტრალური ნაწილი, რის გამოც მისი ჰავა და მთლიანად ლანდშაფტი ყველაზე მეტი კონტინენტურობით გამოირჩევა. იგი მოქცეულია დიდ ქვიშიან უდაბნოს (ჩრდილოეთით), დიდ უდაბნო ვიქტორიას (სამხრეთით), ცენტრალური ავსტრალიის მთიან ოლქს (აღმოსავლეთით) და დასავლეთ პლატოებს შორის. ტერიტორიის ძირითადი ნაწილი უკავია 300-500 მ სიმაღლის პლატოს, რომლის ზედაპირიც დაფარულია ლორდინი (ინტენსიური ფიზიკური გამოფიტვის პროდუქტი). ვაკე რელიეფის ერთფეროვნებაში აღმოსავლეთ პერიფერიაზე მნიშვნელოვანი კორექტივები შეაქვს დაბალმთიან ქიუხებს. სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მნიშვნელოვანი ფართობი უკავია მლაშობებს „ეფემერული“ მლაშე ტბებით. ნალექების წლიური რაოდენობა 250 მმ-ზე ნაკლებია. უდაბნო ზედაპირულ ჩამონადენს თითქმის მთლიანად მოკლებულია. ქიუხების ფერდობები დასერილია შრობადი კალაპოტებით. ტერიტორიის ძირითადი ნაწილი უკავია ხეშეშ ეკლიან მარცვლოვან უდაბნოს, რაც ნაწილობრივ გამოყენებულია ექსტენსიური საძოვრული მეცხოველეობისათვის. აღმოსავლეთ ნაწილში ფართო გავრცელება აქვს მენხერ ბუჩქნარ აკაციას (მელგა სკრები). უდაბნოს ტერიტორია მუდმივ მოსახლეობას თითქმის მთლიანად მოკლებულია.

ცენტრალური ავსტრალიის მთიან ოლქს უკავია დასავლეთ ავსტრალიის ზეგნის აღმოსავლეთი პერიფერია. კონტინენტის ტროპიკულ ნახევარუდაბნოთა და უდაბნოთა ფონზე მისი ბუნების რეგიონულ კონტრასტებს უმთავრესად განსაზღვრავს შიდაკონტინენტური მდებარეობა და რელიეფის ხასიათი. ბაქნური ავსტრალიის ფარგლებში იგი გამოირჩევა ყველაზე ძლიერ დანაწევრებული

მთიანი რელიეფით, რამაც თავის მხრივ განსაზღვრა ლანდშაფტების შედარებით მეტი ნაირგვარობა როგორც პორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ ქრილში. მთიანი ოლქის ტერიტორია კუნძულებით გამოიყოფა უდაბნოთა ფონზე. აღმოსავლეთიდან მას აკრავს ცენტრალური დაბლობის და მთლიანად კონტინენტის ყველაზე არიდული და უნაყოფო ტერიტორია (ტბა ეირის ქვაბული და ცენტრალური არტეზიული აუზი), რომელსაც ხატოვნად „ავსტრალიის მკვდარ გულს“ ეძახიან. სამხრეთიდან და დასავლეთიდან ნახევარწრედ აკრავს ზეგნის უდაბნოთა სარტყელი, ხოლო ჩრდილოეთიდან — გაუდაბნოებული სავანა.

რელიეფში შერწყმულია ძველი კრისტალური ქანებით აგებული დაბალი და საშუალო სიმაღლის ლოდა მასივები და მათი გამოყოფი ღრმულები და ქვიშიანი უდაბნო-ვაკეები. რელიეფის მეზო და მიკრო ფორმები ეოლური და ეროზიული (მეტწილად რელიქტური) ტიპისაა. მკვეთრად არიდული ტროპიკული ჰაერის პირობებში თანამედროვე გეომორფოლოგიურ პროცესებს შორის მთაყარია ფიზიკური გამოფიტვა და ეოლური პროცესები, განსაკუთრებით



ნახ. 10. ტემპერატურის, ნალექების და შეფარდებითი ტენიანობის წლიური მსვლელობა მაკდონელის მთების ჩრდილო ფერდობზე. ალის-სპრინგსი, 579 მ. (ტ. ვ. ვლასოვას მიხედვით).

დეფლაცია. ოლქის ტერიტორიაზე გამოიყოფა სამი ძირითადი მორფოსტრუქტურული და ოროგრაფიული ერთეული, ხოლო მათ საფუძველზე ფიზიკურ-გეოგრაფიული რეგიონი: ჩრდილოეთით

მაკრონელის მასივი (მაქსიმალური სიმაღლე 1510 მ), სამხრეთში მასგრეივის მასივი (მაქსიმალური სიმაღლე 1440 მ) და მათი გამოყოფი ამაღების ტექტონიკურ-ტბიური ქვაბული. მთიანი მასივების ფერდობები დანაწევრებულია ღრმა მშრალი ხეცების ხშირი ქსელით. ინტენსიური ფიზიკური გამოფიტვისა და დეფლაციის შედეგია სკულპტურული რელიეფის ნაირგვარი (ტურისტისათვის ძლიერ შთაბეჭდავი) ფორმები — კოშკისმაგვარი მწვერვალები, პერიოდული ნაკადების მიერ ღრმად დანაწევრებული, ცალკეული ლოდების კოშკისმაგვარი განწვერიანება, უზარმაზარი სფეროსმაგვარი ბელტები (ლოდები), „ეშმაკის ქვებად“ წოდებული და სხვ. მთისძირების გაყოლებით და მოსწორებულ ზედაპირებზე წარმოქმნილია ნაშალი (გამოფიტული) მასალის (ლორღი, სილა) მძლავრი შლიეფები და დიუნური სერები.

მაკრონელისა და მასგრეივის მთიან მასივებს შორის განვითარებულია ვრცელი გასწვრივი ამაღების ღრმული ვაკე რელიეფით, რომლის ცენტრალური ნაწილიც უკავია ამავე სახელწოდების გაუდინარ მლაშე ტბას. ფაქტიურად მისი ქვაბული წარმოადგენს თეთრი ფერის მარილის ქერქიან უდაბნოს, სადაც წყლის სარკე წარმოიქმნება მხოლოდ ხანმოკლე ეპიზოდური წვიმების დროს.

ცენტრალური ავსტრალიის მთიანი ოლქის ტერიტორიის ძირითადი ნაწილი ზედაპირულ ჩამონადენს მოკლებულია. მთების აღმოსავლეთი ფერდობები დანაწევრებულია პერიოდული ნაკადების ღრმა ეროზიული ხეცებით, რომლებიც ასაზრდოებენ ეირის ტბას. ნიადაგ-მცენარეული საფარის და მთლიანად ლანდშაფტის ხასიათის მხრივ შიდატერიტორიული კონტრასტები ყველაზე ნათლად გამოხატულია ლოდა მასივებს და მთათაშუა და მთისწინა ვაკე-ღრმულებს შორის, ხოლო საკუთრივ მთების ფაგლებში განმსაზღვრელია ექსპოზიციის ფაქტორი. უდაბნოს ლანდშაფტის ერთფეროვნებაში კორექტივები შეაქვთ კრიკებს (შრობად კალაპოტებს). მთათაშუა და მთისწინა ვაკეები, სადაც ნალექების რაოდენობა 200 მმ-ზე ნაკლებია, უკავია სპინიფექსიან უდაბნოებს. ყველაზე უფრო მეტად არიდულია ამაღების ვაკე-ქვაბულის ტერიტორია, რომელიც წარმოადგენს წითელი ქვიშისაგან წარმოქმნილი დიუნების „ზღვას“. საკუთრივ მლაშე ტბის სანაპირო ზოლი მცენარეულობას თითქმის მთლიანად მოკლებულია სპინიფექსიანი უდაბნოს ფონზე კუნძულებივით გამოიყოფა მთიანი მასივები, რომელთა ფერდობებზე ნალექები (ოროგრაფიული) მეტი მოდის. შედარებით

გშრალი დასავლეთი ფერდობები, რომლებიც დაფარულია უხვი ნაშალი მასალით (ღორღით) მცენარეულობას მეტწილად მოკლებულია, სხვაგან ჩამოყალიბებულია სკრების ტიპის ლანდშაფტები. შედარებით მშრალ ქარზურგა ფერდობებზე მისი ყველაზე უფრო ქსეროფიტული სახეა მელგა-სკრები, რომელიც თითქმის მხოლოდ აკაციისგან არის შექმნილი, ხოლო საქარე ფერდობებზე, სადაც ნალექების რაოდენობა 500 მმ-მდე მატულობს და ღრმა შრობადი კალაპოტების გაყოლებით, სადაც, ამასთანავე, ნიადაგის ტენიანობაც მომატებულია, განვითარებულია ევკალიპტის (მალი) სკრები და ევკალიპტის ნათელი ტყეები. ფლორისტულად ყველაზე მდიდარი მეზოფილური ტყეებია აღმოსავლეთ ფერდობების ღრმა შრობადი კალაპოტების გასწვრივ, სადაც ზოგან შემორჩენილია მესამეულის (ნეოგენის) პლუვიალური ეპოქის რელიქტური ფლორა. მხედველობაშია პალმის ადგილობრივი სახეობა, რომელიც შერეულია ევკალიპტის მეზოფილურ ტყეში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია პალმა-კრეის ხეობა. ოლქის ტერიტორია ავსტრალიის ტროპიკულ უდაბნოთა სარტყელში გამოწკლისია იმ მხრივაც, რომ მთების ფერდობებზე გამოხატულია (თუმცა სუსტად) ლანდშაფტის სიმალლითი ზონალურობა — უდაბნო-ნახევარუდაბნო-ნათელი ტყე.


ცენტრალური ავსტრალიის მთიანი ოლქის ტერიტორია, მცირე გამოწკლისის გარდა, მუდმივ მოსახლეობას მოკლებულია. მნიშვნელოვანი ნაწილი გამოუყენებელ მიწებს უკავია. ზოგიერთი რაიონი გამოყენებულია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საძოვრად.

რეგიონის ტერიტორია დასავლეთ ავსტრალიის ზეგნის ფარგლებში გამოირჩევა მდიდარი რეკრეაციული რესურსებით (ენდემური და რელიქტური ტყეები, თვალწარმტაცი მთის ლანდშაფტები, განსაკუთრებით რელიეფის ფორმები და სხვ.), რომლის საფუძველზეც მის ტერიტორიაზე შეიქმნა რამოდენიმე ეროვნული პარკი, რომელთა ტურისტული დატვირთვა სულ უფრო მატულობს, რაც გარკვეულ პრობლემებს უქმნის გარემოს დაცვას.

სუბტროპიკული სამხრეთი ფაქტორებიდან, რომლებიც განსაზღვრავენ სუბტროპიკული სამხრეთის რეგიონულ გამოყოფას, მთავარია გეოგრაფიული განედი და მასთან დაკავშირებული ატმოსფეროს ცირკულაციის ხასიათი (ტროპიკული და ზომიერი ჰაერის მასების სეზონური ცვლა), ხოლო ოლქის ფარგლებში ლანდშაფტების შიდატერიტორიულ დიფერენციაციაში განმსაზღვრელია

რელიეფი, ზედაპირის ამგები ქანების ლითოლოგია და სანაპირო ხაზის კონფიგურაცია, ვინაიდან ამ ფაქტორებზეა დამოკიდებული პირველი, მაკრო ფაქტორის რეგიონულ-ლანდშაფტული გამოვლინება.

ლანდშაფტის ხასიათს და მის სივრცობრივ ცვალებადობას მზისგან მიღებული სითბოთი უზრუნველყოფის პირობებში განსაზღვრავს ტენის რაოდენობა, რომლის მთავარ წყაროსაც წარმოადგენს ზომიერი ჰაერის მასები. მათი ეფექტი აღმოსავლეთისაკენ და ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ თანდათან სუსტდება და შესაბამისად მატულობს კონტინენტურობა და ლანდშაფტის არიდულობა. მნიშვნელოვანი ფაქტორია ექსპოზიცია. სინოტივის მაჩვენებლის დიდ ფარგლებში რყევადობა განსაზღვრავს ბუნებრივი და ანთროპოგენური ლანდშაფტების მრავალფეროვან სპექტრს სუბტროპიკულ სამხრეთში, დაწყებული მეზოფილური ნახევარდმარადმწვანე ფოთ-



ნახ. 11. ტემპერატურის, ნალექების და შეფარდებითი ტენიანობის წლიური მსვლელობა სამხრეთ-დასავლეთ ავსტრალიაში — პერტი. (ტ. ვ. ვლასოვას მიხედვით).

ლოვანი ტყეებით და დამთავრებული ნახევარუდაბნოებით და უდაბნოებით.

აღნიშნულის საფუძველზე სუბტროპიკულ სამხრეთში შეიძლება გამოიყოს სამი ფიზიკურ-გეოგრაფიული ქვეოლქი: სამხრეთ-დასავლეთი სანაპირო მთები და დაბლობი ხმელთაშუა ზღვის ტიპის ლანდშაფტით; სამხრეთ-დასავლეთი პლატო სტეპური და ნა-

ხევარუდაბნოს ლანდშაფტით და ნალარბორის კარსტული ვაკე ნახევარუდაბნოს და უდაბნოს ლანდშაფტებით.

სამხრეთ-დასავლეთი სანაპირო მთების და სანაპირო დაბლობის ოლქს უკავია კონტინენტის სამხრეთ-დასავლეთი, სამკუთხედის ფორმის დაბლობება, რომელსაც სამი მხრიდან აკრავს ინდოეთის ოკეანე. მის ფარგლებში გამოიყოფა შემდეგი ძირითადი ოროგრაფიული ერთეულები (განსხვავებული ლანდშაფტებით): დარლინგის და სტირლინგის დაბალმთიანი (1000-1120 მ) კრისტალური მასივები და გორაკბორცვიანი სანაპირო ვაკე-დაბლობი. კრისტალური მასივები წარმოადგენს დასავლეთ ავსტრალიის ზეგნის რელიეფში მკვეთრად გამოხატულ კიდეურ აზევებას, რომელიც ზეგნისკენ დამრეცად ეშვება, ხოლო სანაპირო დაბლობისაკენ მეტწილად ფლატე კალთებს ივითარებს. სანაპირო ვაკე დაბლობი სუსტად არის დანაწევრებული, აგებულია მესამეული ასაკის დანალექებით. ვაკე რელიეფის ერთფეროვნებაში დისონანსი შეაქვთ გამოფიტვისა და დეფლაციის მიერ წარმოქმნილ გრანიტულ კლდოვან შვერილებს, რომლებიც წარმოშობენ კონცხებს და წვრილ კუნძულებს, აგრეთვე ცალკეულ გორაკებს და ფართოდ გავრცელებულ დიუნურ სერებს. ოლქის ტერიტორია გამოირჩევა ზშირი ეროზიული დანაწევრებით.

ჰავა ხმელთაშუა ზღვიურის ტიპისაა, წვიმიანი თბილი ზამთრით და ცხელი მშრალი ზაფხულით. დასავლეთ ავსტრალიის ფარგლებში ყველაზე ნალექიანია (500—1000, უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ საქარე კალთებზე 1500 მმ). წლიური ნალექების დაახლოებით 70% ზამთარში მოდის.

დარლინგის და სტირლინგის ქედები წარმოადგენენ ნათლად გამოხატულ კლიმატ და ლანდშაფტგამყოფს. სანაპირო ვაკეზე და მიმდებარე მთების საქარე კალთებზე ბუნებრივ პირობებში განვითარებულია მეზოფილური ტყეები, ძვირფასმერქნიანი ენდემური ევკალიპტებით, რომელთა სიმაღლე 50 მ აღემატება. სამხრეთ-აღმოსავლეთი ავსტრალია კონტინენტის ფარგლებში გამოირჩევა ყველაზე მაღალი ენდემიზმით. ქვეტყეში განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ რეგიონისათვის ენდემური ბალახა ხეები, რომელთა ხისმაგვარი ღეროს სიმაღლე 5-10 მ აღწევს. ტყეში ბევრია ენდემური ბუჩქნარი და ბალახმცენარეულობა. მიწისპირა იარუსში ჰარბობენ ფესურიანები და ბოლქვიანები, რომლებიც ჩვეულებრივ წვიმიან

ზამთარში ყვავილობენ. ასეთ ტყეში განვითარებულია სუსტად გა-
ეწრებული ტყის ყომრალი ნიადაგები.

ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და აღმოსავლეთ ფერდობებზე
ნალექების რაოდენობა კლებულობს 500 მმ-მდე და ტყეებიც ქსე-
როფიტულ იერს იძენს. დამახასიათებელია მაქვისის მსგავსი ხე-
შეშფოთლიანი ნათელი ტყეები და ბუჩქნარები, უმთავრესად ევ-
კალიპტისაგან, ყავისფერ ნიადაგებზე. შთენილი მთების თხემებზე
ლატერიტულ ქერქზე დამახასიათებელია ბუჩქნარი ევკალიპტის
ბარდები (მალი სკრების მსგავსი).

სამხრეთ-დასავლეთი ავსტრალიის ტყეების ბუნებრივი ლანდ-
შაფტი ძლიერ სახეშეცვლილია, ვინაიდან ნიადაგ-კლიმატური პი-
რობები და რელიეფი ხელსაყრელია ადამიანის სამეურნეო საქმიან-
ობისათვის. მდიდარია სხვადასხვა მადნეულით. ამან განაპირობა
ტერიტორიის მკიდროდ დასახლება და ათვისება. იგი ქვეყნის ერთ-
ერთი მთავარი სასოფლო-სამეურნეო (მარცვლეული კულტურები,
სუბტროპიკული მეხილეობა და მევენახეობა, მეცხოველეობა) და
სამრეწველო რაიონია.

სამხრეთ-დასავლეთი ავსტრალიის მეტი ნაწილი უკავია სუს-
ტად დანაწევრებულ ბრტყელი ზედაპირის მქონე სამხრეთ-დასავ-
ლეთ პლატოს, ზომიერად მშრალი და მშრალი სუბტროპიკული ჰა-
ვით, ნალექების მოსვლის ხმელთაშუა ზღვიური რეჟიმით, ხანგრძ-
ლივი ცხელი და მშრალი ზაფხულით. ნალექების წლიური რაოდე-
ნობა აღმოსავლეთისაკენ და ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ თანდა-
თან კლებულობს 500-600 მმ-დან 250-300 მმ-მდე. აღმოსავლეთ
ნაწილში მნიშვნელოვანი ფართობი უკავია მერიდიანული და სუბ-
მერიდიანული მიმართულების მლაშობ ლარტაფებს, შრობადი გა-
უდინარი მლაშე ტბებით. გვალვიან ზაფხულში ტბები შრება და
ფსკერზე რჩება მარილის ქერქი. წვიმიანი სეზონის ხანგრძლივო-
ბისა და ნალექების მოსვლის ინტენსივობის შესატყვისად ტბების
წყლის სარკის ფართობი დიდ ფარგლებში მერყეობს. სამხრეთით
ვიწრო, გორაკბორცვიან სანაპირო დაბლობისკენ პლატო ეშვება
რელიეფში ნათლად გამოხატული საფეხურით. ტერიტორიის დიდი
ნაწილი ზედაპირულ ჩამონადენს მოკლებულია.

საერთო არიდულობის ფონზე სამხრეთ-დასავლეთი პლატოს
ტერიტორიაზე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ტენის თანდათა-
ნობით კლებასთან დაკავშირებით, ნათლად არის გამოხატული
ლანდშაფტის ცვლა. ევკალიპტის ხეშეშფოთლიან ნათელ ტყეებსა და

ბუჩქნარებს აღმოსავლეთით თანდათან ცვლის სუბტროპიკული სტეპები, რომელიც შემდგომ იცვლება ნახევარუდაბნოს ლანდშაფტით (მალი-სკრები). ნახევარუდაბნოს ლანდშაფტი მნიშვნელოვანი თავისებურებით გამოირჩევა მლაშე ქვაბულებიან პლატოზე, რომლის ზედაპირიც ზამთრის წვიმების დროს იმოსება კალიფიტური მცენარეებით.

ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოუყენებელია ან მცირედ არის გამოყენებული საძოვრად.

მკიდროდ არის დასახლებული და ინტენსიურად ათვისებული (სოფლის მეურნეობის სუბტროპიკული დარგები. მარცვლილო კულტურები და მეცხოველეობა) დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, აგრეთვე აღმოსავლეთ ნაწილი, სადაც მდიდარი წიაღისეული რესურსების (ოქრო, ნიკელი, კობალტი, რკინა და სხვ.) საფუძველზე განვითარებულია სამთო მოპოვებითი მრეწველობა.

ნალარბორის კარსტული ვაკის ლანდშაფტის ინდივიდუალობა (პროვინციულობა) ნათლადაა გამოხატული არა მარტო სუბტროპიკული სამხრეთის, არამედ მთლიანად კონტინენტის ლანდშაფტების ფონზე. მისი ბუნების ინდივიდუალურ-რეგიონული ნიშნების ჩამოყალიბებაში განმსაზღვრელია ლანდშაფტური გარსის დიფერენციაციის აზონალური ფაქტორი, როგორცაა ზედაპირის ამგები ქანების ლითოლოგია. კირქვიანმა სუბსტრატმა განსაზღვრა ბუნების ცალკეული ელემენტების და მთლიანად ლანდშაფტის ფუნქციონირების კარსტული რეჟიმი. იგი მდებარეობს დიდი უდაბნო ვიქტორიიდან სამხრეთით, დიდი ავსტრალიის ყურის განიერ სანაპირო ზოლში.

ნალარბორის ვაკე წარმოადგენს საშუალოდ 200 მ-მდე სიმაღლის დაბლობს, რომლის ზედაპირი დაჩვრეტილია ხშირი კარსტული ძაბრებით. ოკეანის მხარეზე წარმოქმნის 100-150 მ სიმაღლის ფლატეს. ჰავა მშრალი სუბტროპიკულია, ნალექების რაოდენობა 250 მმ არ აღემატება. მისი 70-80% მოდის ზამთარში და შემოდგომაზე. მშრალი სეზონი (ზაფხული) ხანგრძლივია. ზედაპირულ ჩამონადენს (თვით პერიოდულ ნაკადებსაც) მთლიანად მოკლებულია, ვინაიდან მოსული ნალექები უმალ შთაინთქმება კირქვებში, რისგანაც წარმოქმნილია მიწისქვეშა (კარსტული) ჰიდროგრაფიული ქსელი; მისი წყლის განტვირთვა კარსტული წყაროების

სახით ხდება სანაპირო ფლატის ძირის გაყოლებით, აგრეთვე — ოკეანის ფსკერზეც.

დასავლეთ ავსტრალიის ზეგნის ფარგლებში ნალარბორის ვაკის ლანდშაფტი ყველაზე უსიცოცხლოდ გამოიყურება. უწყლო ქვიან ზედაპირზე იზრდება მხოლოდ პალოფიტები — ჩარანი და სხვ. მხოლოდ კარსტულ ძაბრებში, სადაც ნიადაგის ტენიანობა მეტია, ხარობს ბუჩქნარი აკაცია (მელგა-სკრები). ვაკის ძირითად ნაწილზე ნახევარუდაბნოს ლანდშაფტია. ჩრდილოეთისაკენ ნაღებები მცირდება და გადავდივართ უდაბნოში. ტერიტორიის უმეტესი ნაწილი დაუსახლებელია და უმნიშვნელოდაა გამოყენებული ცხვრის საძოვრად. წყალმომხარება თითქმის მთლიანად ემყარება არტეზიულ ჭებს, რომლის წყალი სხვა რეგიონებთან შედარებით ნაკლებადაა მინერალიზებული და ვარგისია დასალევად.

ვაკის ტერიტორიას კვეთს ტრანსავსტრალიური რკინიგზის მაგისტრალი, რომელიც თანამედროვე ლანდშაფტის მნიშვნელოვანი ტექნოგენური კომპონენტია.

ქ. ცენტრალური ავსტრალია

დაკავებული ტერიტორიის ფართობით იგი მეორეა დასავლეთ ავსტრალიის ზეგნის შემდეგ. ტექტონიკურად იგი შეესატყვისება ავსტრალიის ბაქნის ვრცელ მერიდიანულ სინეკლიზას, რომელიც წარმოიშვა ძველი და ახალგაზრდა ბაქნების მიჯნაზე.

რეგიონის ბუნების ძირითადი ნიშნების განმსაზღვრელი ფაქტორებიდან მთავარია მისი პალეოგეოგრაფიული განვითარების ისტორია პალეოზოურის შემდგომ დროში, შიდაკონტინენტური მდებარეობა და მერიდიანულად დიდი განფენილობა. ცენტრალური ავსტრალიის ვრცელი ტერიტორიისათვის დამახასიათებელი ბუნების საერთო ნიშნებიდან აღსანიშნავია სუსტად დანაწევრებული ბრტყელი ზედაპირის მქონე დაბლობი ვაკეების, მშრალი კონტინენტური ჰავის და მასთან დაკავშირებით არიდული ლანდშაფტის დომინირება. რელიქტური ელემენტების (მდინარეებისა და ტბების შრობადი კალაპოტები, მოსწორებული ზედაპირები და ცხოველთა ბინადრები) მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი, ხოლო მიწათსარგებლობაში საძოვრული მეცხოველეობის ყველა დარგისა და სამთო მოპოვებითი მრეწველობის ფართო გეოგრაფია.

ავსტრალიის ბაქნის აღმოსავლეთი დაძირული ნაწილი (სინექ-

ლიზა) ხანგრძლივ დროში ზღვას ეკავა, რის გამოც კრისტალურ საძირკველზე წარმოიქმნა მნიშვნელოვანი სიმძლავრის მეზო-კაინოზოური ასაკის დანალექი ქანების საფარი. ზღვისგან განთავისუფლების შემდეგ წარმოიქმნა სუსტად დანაწევრებული ბრტყელი ზედაპირის მქონე ვაკე-დაბლობი, ჰიფსომეტრიულად კონტინენტის ყველაზე დაბალი (საშუალოდ 100—200 მ) ნაწილი. ტბა ვირის ქვაბული ოკეანის დონიდან 12 მ-ით დაბლაა. ცენტრალური დაბლობის თანამედროვე რელიეფში ჰარბობს აკუმულაციური, ხოლო პერიფერიაზე აკუმულაციურ-დენუდაციური ვაკე-დაბლობები. ბრტყელი აკუმულაციური ვაკეების რელიეფის ერთფეროვნებაში მნიშვნელოვანი კორექტივები შეაქვს დაბალ (800-900 მ) ლოდაპორტულ ქედებს (ფლინდერსის და მაუნტ-ლოფტის) სამხრეთ ნაწილში, დამრეცი ფერდობების მქონე ამალეებებს, რომლებიც დაკავშირებულია ზედაპირთან ახლოს მდებარე კრისტალური საძირკვლის აწევებულ უბნებთან (სელუინის, გრეის, ბარიის და სხვ. მაღლობები), აგრეთვე პალეორელიეფის ისეთ ელემენტებს, როგორცაა შთენილი მაგიდა მაღლობები, რომლებიც წარმოქმნილია მეოთხეულის პლუვიალურ ეპოქაში მდინარეთა ეროზიული მოქმედებით. ცენტრალური დაბლობის რელიეფისა და პლროგრაფიის მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ელემენტია მდინარეთა, აგრეთვე ტბების შრობადი კალაპოტების ხშირი ქსელი, რომელთა წარმოქმნა ასევე დაკავშირებულია მეოთხეულის პლუვიალურ ეპოქასთან. თანამედროვე კლიმატურ პირობებში აღნიშნული კალაპოტები წელიწადის მეტ დროს მშრალია. რაც შეეხება რელიეფის თანამედროვე ეროზიულ ფორმებს, იგი დამახასიათებელია მხოლოდ დაბლობის პერიფერიაზე მთიანი მასივების გაყოფებით და მაღლობებისათვის. თანამედროვე გეომორფოლოგიური პროცესებიდან ყველაზე აქტიური და მასშტაბურია ფიზიკური გამოფიტვა და ეოლური პროცესები, განსაკუთრებით აკუმულაცია, რასაც დაკავშირებულია დიუნური სერების ფართო გავრცელება.

ჰავა დაბლობის მეტ ნაწილზე მშრალი კონტინენტურია. განედურ მდებარეობასთან ერთად მნიშვნელოვანი კლიმატმექმნელი ფაქტორია რელიეფის ხასიათი. ცენტრალური დაბლობი ვაკეთა უწყვეტი მერიდიანული სარტყელია დიდ წყალგამყოფ ქედსა და ცენტრალური ავსტრალიის ლოდა მთიან მასივებს შორის (გიგანტური დერეფნისმაგვარი), რომლის გასწვრივაც ჰაერის მასები თავისუფლად იჭრებიან ჩრდილოეთიდანაც (კარპენტარიის ყურის მხრიდან)

და სამხრეთიდანაც (დიდი ავსტრალიის ყურის მხრიდან). წყნარი ოკეანიდან მონაბერი ტენიანი ჰაერის მასების (მუსონურ-პასატური ცირკულაციის) მიმართ იგი ჩრდილშია დიდი წყალგამყოფი ქედის ბარიერული ფაქტორის გავლენით. ატმოსფერული ნალექები ძლიერ უთანაბროდაა განაწილებული როგორც ტერიტორიულად (100-1000 მმ), ისე სეზონურად. ვაკის დიდ ნაწილზე მაქსიმუმი ზაფხულზე მოდის, ხოლო სამხრეთ ნაწილში — ზამთარში. ჰავის კონტინენტურობის სიმკვეთრეზე ნათლად მეტყველებს ნალექების მოსვლის არარეგულარული ხასიათი. უდაბნოებსა და ნახევარ-უდაბნოებში ცალკეულ თვეებში ნალექების რაოდენობამ საშუალო თვიურს შეიძლება გადააჭარბოს 10-15-ჯერ. მეურნეობას თანაბარ ზიანს აყენებს გვალვა და ეპიზოდური კატასტროფული თავსხმა წვიმები. ზაფხული ყველგან ცხელი (პლუს 18-30°) და ხანგრძლივია. უცივესი თვის (ივლისი) საშუალო ტემპერატურა განედურად იცვლება პლუს 10-24° ფარგლებში. ჰაერის ტემპერატურის დღელამური და სეზონური რიტმიც მკვეთრად კონტინენტურია, რაზედაც ნათლად მეტყველებს ტემპერატურის დიდი ამპლიტუდები (ცხელ სარტყელში განსაკუთრებით დღელამური). ქვიშიან უდაბნოებში ხშირი მოვლენაა მტკრის ქარიშხალი („ვილი-ვილი“).

ზედაპირული ჩამონადენი რეგიონის ტერიტორიაზე ძლიერ უთანაბროდაა განაწილებული. მისი განვითარებისათვის ყვილაზე უფრო ხელსაყრელი პირობებია სუბეკვატორულ სარტყელში და დიდი წყალგამყოფი ქედის ფერდობებზე. შიდა ნაწილი გაუდინარია და მუდმივ ჩამონადენიან მდინარეებს მოკლებულია. კონტინენტის ჰიდროგრაფიული ქსელის და მთლიანად ლანდშაფტის დამახასიათებელი ელემენტია მდინარეთა შრობადი კალაპოტების (კრიკების) ხშირი ქსელი. ესენი პლეისტოცენის პლუვიალური ეპოქის უხვწყლიანი მდინარეების რელიქტებია. ისინი ჩაედინებოდნენ პალეო ეირის უზარმაზარ ტბაში. თანამედროვე პირობებში ეირი, ასევე სხვა ტბები (ტორენზი, გერდნერი, ფრომი და სხვ.) წლის მეტ დროს მშრალია და ფსკერი „დაჭავწნულია“ მარილის ქერქით.

ეკოლოგიური პირობები დაბლობის ფარგლებში მრავალფეროვანია, რის გამოც ჩამოყალიბებულია ნიადაგ-მცენარეული საფარის, ცხოველთა სამყაროს და მთლიანობაში ლანდშაფტების ნაირგვარი ტიპები, დაწყებული სუბეკვატორული ცვალებადტენიანი ტყეებით და დამთავრებული ქვიშიანი უდაბნოების ერთგვარად უსიცოცხლო ლანდშაფტით. ცენტრალური დაბლობი მოიცავს

ვრცელ ტერიტორიას, რომლის ფარგლებშიც ბუნების საერთო ნიშნების ფონზე ნათლად არის გამოხატული ლანდშაფტის შიდა-რეგიონული კონტრასტები გეოგრაფიული მდებარეობისა (ამ ცნების ფართო გაგებით), რელიეფის ხასიათის და მათგან გამომდინარე ჰიდროთერმული პირობების გავლენით. გამოიყოფა შემდეგი ფიზიკურ-გეოგრაფიული ქვეოლქები: მუსონური ჩრდილოეთი, სელუინის მალლობი, დიდი არტეზიული აუზის ვაკეები, დარლინგის-პირა ვაკეები, მურეისპირა ვაკეები, სამხრეთ ავსტრალიის მთიანი ოლქი და სანაპირო ვაკეები. საზღვრები მათ შორის ზონალურ-კლიმატურიცაა და აზონალურიც (გეომორფოლოგიურ-სექტორული).

მუსონური ჩრდილოეთი მოიცავს კარპენტარიის ყურისპირა ვაკე-დაბლობს, რომელსაც ნალის ფორმა აქვს. აღმოსავლეთიდან პრინცესა შარლოტას ყურემდე ესაზღვრება დიდი წყალგამყოფი ქედი. ყურედან ჩრდილოეთით წყალგამყოფი დაბალი (300-400 მ), ვიწრო პლატოს სახითაა წარმოდგენილი, რომელიც არ ქმნის ნათლად გამოხატულ კლიმატ და ლანდშაფტგამყოფს; ამიტომ კეიპიორკის ნახევარკუნძულის მკვეთრად შევიწროებული ჩრდილოეთი ნაწილი განეკუთვნება მუსონურ ჩრდილოეთს. სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან იგი, შესაბამისად ისაზღვრება სელუინის მალლობით და ბარკლის პლატოთი. მისი ბუნების ძირითადი ნიშნები განსაზღვრულია სუბეკვატორულ განედებში, ეკვატორული მუსონის ზეგავლენის არეალში მდებარეობით. ტერიტორიის ძირითადი ნაწილი უკავია კარპენტარიის ყურის სანაპირო. დაბლობს, რომელიც აგებულია მეზო-კაინოზოური ასაკის დანალექი ქანებით. სუსტად დაბორცვილი ბრტყელი დაბლობია, რომლის ზედაპირი დანაწევრებულია მდინარეთა ეროზიული ხეობებით. ჰავა სუბეკვატორულია — ცხელი და ცვალებადტენიანი, ხმელეთში ღრმად შეჭრილი ყურე და ვაკე რელიეფი ხელს უწყობს ზაფხულის მუსონის გავლენის გავრცელებას სამხრეთისაკენ. უცივესი თვის (აულისი) საშუალო ტემპერატურა პლუს 18-25° ფარგლებშია, უთბილესი თვის (იანვარი) — პლუს 25-28°. ნალექების წლიური რაოდენობა ტერიტორიულად 500-2000 მმ ფარგლებში იცვლება. მისი 80% ზაფხულში მოდის. ნალექიანი სეზონის ხანგრძლივობა და ნალექების რაოდენობა სამხრეთისაკენ კლებულობს. ყველაზე მეტი ნალექი (1500-2000 მმ) მოდის კეიპიორკის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც მშრალი სეზონი არაა გამოხატული.

ნახევარკუნძულის მეტ ნაწილში და ყურის სანაპირო ზოლში ხანგრძლივ წვიმიან სეზონში მოდის 1000-1500 მმ, ხოლო ვაკის სამხრეთ ნაწილში — 500-1000 მმ. პერიოდულად კონტინენტის ჩრდილოეთ სანაპიროებს გადაუვლის დამანგრეველი ძალის ტროპიკული გრივალი.

შიდა წყლები თითქმის მთლიანად განეკუთვნება კარპენტარიის ყურეს. ზედაპირული ჩამონადენი მუსონური რეჟიმით სარგებდება. მუდმივჩამონადენიან მდინარეთა ქსელის სიხშირით იგი მხოლოდ დიდი წყალგამყოფი ქედის საქარე კალთებს ჩამოუვარდება.

მნიშვნელოვანი მდინარეებიდან აღსანიშნავია: ფლინდერზი, მიტჩელი, გილბერტი და სხვ. ტერიტორია მთლიანად გამდინარეა.

რეგიონის ტერიტორიაზე ნიადაგმცენარეული საფარი და მთლიანად ლანდშაფტი იცვლება ნალექიანი სეზონის ხანგრძლივობისა და ნალექების რაოდენობის შესატყვისად. კარპენტარიის სანაპირო ზოლში, რომელიც მუდმივად განიცდის ზღვის მოქცევას, განვითარებულია ფლორისტულად მდიდარი და ხშირი მანგროს მცენარეულობა. კეიპ-იორკის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთში და ყურის სანაპიროს მიმდებარე ტერიტორიაზე დამახასიათებელია ფლორისტულად მდიდარი ტენიანი მარადმწვანე ტროპიკული ტყეები წითელმიწა და ყვითელმიწა ფერალიტურ ნიადაგებზე. ეკონომიკურად მნიშვნელოვან მსგავსებას იჩენს სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ეკვატორული ტყეებისადმი. კონტინენტის ხემცენარეთა დომინანტ ეკვალიბტან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პალმებს, ფიკუსებს, დაფნისებრთ, ქვედა იარუსებში ბამბუკებს, ხეგვიმრებს და სხვ. ხშირია ლიანები და ეპიფიტები. მდინარეთა ხეობების კუთვნილებით აღნიშნული ტყეები იჭრება უფრო ღრმად, კონტინენტში.

მარადმწვანე ტენიანი ტყეები სამხრეთისაკენ იცვლება სუბ-ეკვატორული ცვალებადტენიანი ტყეებით, რომელშიც ფოთოლ-ცვენებიცაა.

რეგიონის მეტი ნაწილი უკავია სავანებსა და ნათელ ტყეებს. ჩრდილოეთ ნაწილში იგი წარმოდგენილია ტენიანი სავანით, ხოლო სამხრეთ და დასავლეთ პერიფერიაზე — ტიპური სავანით.

მიწათსარგებლობაში მაპროფილებელია საძოვრული სახორცე-სარძევე მეცხოველეობა მიწათმოქმედების კერებით. ტერიტორია ძალიან მეჩხრადაა დასახლებული. მუდმივი მოსახლეობა ძირითადად კონცენტრირებულია სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ

პერიფერიაზე, სადაც მდიდარი წიაღისეულის (სპილენძი, ვერცხლი, პოლიმეტალები და სხვ.) ბაზაზე განვითარებულია სამთო მოპოვებითი და გადამამუშავებელი მრეწველობა. იორკის კონცხის აკვატორიაში ხდება ზურმუხტის მოპოვება.

მცირე ფართობის მქონე სელუინის მაღლობი ცალკე რეგიონად გამოყოფას იმსახურებს თავისი განსაკუთრებული სამიწნაო ლანდშაფტური მდებარეობის და ლანდშაფტგამყოფის ფუნქციის წყალობით. იგი მორფოლოგიურად სუსტად გამოხატული წყალგამყოფია (კარპენტარიის ყურის და ეირის ტბის აუზების). ამავე დროს იგი სუბეკვატორულ სავანურ ლანდშაფტებს გამოყოფს ცენტრალური (ტროპიკული) ავსტრალიის ნახევარუდაბნოსა და უდაბნოს ლანდშაფტებისაგან. მეორე მხრივ, იგი დამაკავშირებელი ხიზია დასავლეთ ავსტრალიის ზეგნის და დიდი წყალგამყოფი ქედის დასავლეთი მთისწინა პლატოების სავანური ლანდშაფტების. ნალექების რაოდენობა 500 მმ არ აღემატება. მისი ძირითადი წყაროა ზაფხულის მუსონი. მშრალი სეზონი (ზამთრის) ხანგრძლივია. ნიადაგის ტენიანობაზე, მცირე ნალექიანობის გარდა, უარყოფითად მოქმედებს ქვიან-ლორდიანი სუბსტრატი, რომელიც უმაღლეს ატარებს მოსულ ნალექს. ლანდშაფტის ნაირგვარობა იქმნება მაღლობის ჩრდილო და სამხრეთი ფერდობების მიხედვით, თუმცა არა მკვეთრად გამოხატული. ჩრდილო ფერდობებზე ჩრდილოეთიდან მონაბერი მუსონის გავლენით მეტი ნალექები მოდის და განვითარებულია ევკალიპტის ნათელი ტყეები და ტენიანი სავანა, ხოლო სამხრეთ ფერდობებზე და მიმდებარე ვაკეზე — ტიპური სავანა.

ტერიტორია სუსტადაა ათვისებული და ძირითადად გამოყენებულია საძოვრებად.

დიდი არტეზიული აუზის ვაკეები ლანდშაფტის ინდივიდუალური ნიშნებით ნათლად გამოიყოფა არა მარტო ავსტრალიის, არამედ მთლიანად პლანეტის ლანდშაფტური გარსის ფონზე. მას უკავია ცენტრალური დაბლობის მნიშვნელოვანი (ტროპიკული) ნაწილი, რომლის ბუნების ძირითადი ნიშნები განსაზღვრულია მისი შიდაკონტინენტური მთიანეთშორისი მდებარეობით ტროპიკულ განედებში და ბუნების პალეოგეოგრაფიული განვითარების ხასიათით პალეოზოურის შემდგომ დროში. იგი მდებარეობს ავსტრალიის ბაჟნის კრისტალური საძირკვლის მაქსიმალური დაძირვის (გალუნვის) პიფსომეტრულად ყველაზე დაბალ ზონაში (ეირის ტბის ქვაბულის მიდამოები ოკეანის დონიდან 12 მ-ით დაბლა). კონტრ-

ნ. ს. ს. ფარგლებში ყველაზე უფრო არიდულია ეირის ტბის ქვა-
 ზული, რომელსაც თავისი უსიცოცხლო ბუნების შესაფერისად ჯწო-
 დებენ ავსტრალიის „მკედარ გულს“, ნალექების რაოდენობა
 100 მმ-ზე ნაკლებია. ცენტრალური დაბლობის ფარგლებშია მსოფ-
 ლიოში უდიდესი დიდი არტეზიული აუზი, რომლის ფართობი 2 მი-
 ლიონ კმ²-ზე ცოტათი ნაკლებია. რეგიონის ლანდშაფტის ინდივი-
 დუალური სახის შექმნაში მნიშვნელოვანი წილი აქვს შრობადი
 კალაპოტების (კრიკების) ხშირ ქსელს (განსაკუთრებით დაბლობის
 აღმოსავლეთ ნახევარში), რითაც იგი კლასიკურია მთლიანად ლანდ-
 შაფტურ გარსში.

რეგიონის ტერიტორია ვრცელია და მიუხედავად ლანდშაფ-
 ტის სავსეთ არიდულობისა, შეინიშნება განსხვავებულობა დასავ-
 ლეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ ვაკეებს შორის. დაბლობის ჩრდი-
 ლო-დასავლეთი ნაწილი (ეირის ტბიდან ჩრდილოეთით) უკავია
 ავსტრალიაში და მთლიანად ლანდშაფტურ გარსში ერთ-ერთ ყვე-
 ლაზე მშრალ — სიმფსონის* ქვიშიან უდაბნოს, რომელსაც კონტი-
 ნენტის უდაბნოთა სარტყელში ცენტრალური მდებარეობა უკავია.
 მისი მეტი ნაწილი უკავია საკუთრივ სიმფსონის ქვიშიან უდაბნოს,
 რომლის მორფოგრაფიის და მთლიანად ლანდშაფტის ფონს
 ქმნის ასეულ კილომეტრებზე უწყვეტად გადაჭიმული წითელი
 ქვიშის დიუნური სერები, რომელთა შეფარდებითი სიმაღლე
 50-60 მ აღწევს. ჩრდილო-დასავლეთ პერიფერიაზე უდაბნო ქვი-
 ნია. ჰავა მშრალი ტროპიკულია. შიდა ნაწილში ნალექების რაოდე-
 ნობა 150 მმ-ზე ნაკლებია, ჩრდილო-დასავლეთ პერიფერიაზე მისი
 რაოდენობა 250 მმ-მდე მატულობს. ოლქის ტერიტორია ზედაპი-
 რულ ჩამონადენს მოკლებულია. შრობადი კალაპოტების (კრიკები)-
 ქსელი ცენტრალური დაბლობის აღმოსავლეთ ნახევართან შედარე-
 ბით ძლიერ მეჩხერია, სამაგიეროდ, ძალიან მდიდარია მიწისქვეშა
 წყლებით, რომელიც წარმოქმნილია ზეგნიდან, კერძოდ, ცენტრა-
 ლური მთიანი მასივებიდან მიწისქვეშა ჩამონადენის მიერ.

ტერიტორიის უმეტესი ნაწილი უკავია ტიპურ სპინიფექსიან
 უდაბნოს. ნიადაგ-მცენარეული საფარის განვითარებისათვის ყვე-
 ლაზე უფრო ხელსაყრელი პირობებია სერთაშორის დადაბლებებში
 და კრიკების გაყოლებით, სადაც მიწისქვეშა წყლების გავლენით.

* — იგი არუნთას სახელითაც არის ცნობილი (მის ტერიტორიაზე მობი-
 ნადრე აბორიგენი ტომის სახელია).

გაზრდილია ნიადაგის ტენიანობა. მასთან დაკავშირებულია ბუჩქნარი და დაბალტანიანი ევკალიპტიანი ეკოსისტემები. დაბუჩქულ ევკალიპტებთან ერთად გვხვდება კაზუარინი, რომელსაც ადგილობრივ „უდაბნოს მუხას“ უწოდებენ. ჩრდილო-დასავლეთ პერიფერიაზე სპინიფექსიან უდაბნოს ცვლის მელგა სკრები.

სიმფსონის უდაბნოს ტერიტორია მუდმივ მოსახლეობას თითქმის მოკლებულია და სუსტადაა ათვისებული. გამოყენებულია საძოვრად. მნიშვნელოვანი ნაწილი გამოუყენებელია.

დიდი არტეზიული აუზის აღმოსავლეთი ნახევარი ტიპური ბაქსური (ფილაქნური) ვაკეა დანალექ ქანთა ჰორიზონტალურა ან თითქმის ჰორიზონტალური შრეების მიერ წარმოქმნილი ბრტყელი ზედაპირით, რომელიც დანაწევრებულია კრიკების ხშირი ქსელით, საიდანაც მიიღო სახელწოდება — „კრიკების ქვეყანა“. კარბენტურის ვაკისაგან იგი გამოყოფილია სელუინის წყალ- და ლანდშაფტ-გამყოფი მალლობით, ხოლო სამხრეთიდან ისაზღვრება ტბა ეირის და მდინარე დარლინგის აუზების წყალგამყოფი მალლობებით (ბროუჟენ-ჰილი, ბერირო, გრეი). სიმფსონის ქვიშიანი უდაბნოს მხარეს საზღვარი გასდევს ეირ-კრიკის მერიდიანულ ხეობას. ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს დიდი წყალგამყოფი ქედის მთისწინა პლატოებისაკენ დაბლობის სიმაღლე თანდათან მატულობს. ნალექების რაოდენობა აღმოსავლეთისაკენ თანდათან მატულობს 150-200 მმ-დან 250-300 მმ-მდე, მისი ძირითადი ნაწილი ზაფხულში მოდის. რეგიონის ლანდშაფტს ძირითად იერსახეს აძლევს კონტინენტის უგრძესი კრიკების (კუპერზ-კრიკი, ეირ-კრიკი, დაიამანტინა და სხვ.) სისტემათა მრავალრიცხოვანი დატოტეილი კალაპოტების ლაბირინთი. ხანმოკლე თავსხმა წვიმების დროს კალაპოტები წყლით ივსება და ტერიტორია ზოგჯერ ისეთი მასშტაბით იტბორება, რომ ვრცელი დაბლობები კუნძულოვანი რეგიონის სახესღებულობს. რეგიონის აღმოსავლეთ ნაწილში ტროპიკული ნახევარუდაბნოს (მელგა-სკრები) ლანდშაფტია დომინირებული. დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ვაკეებზე, სადაც ნალექების რაოდენობა 200 მმ-ზე ნაკლებია, განვითარებულია სპინიფექსიანი უდაბნოს ლანდშაფტი, მხოლოდ კრიკების გაყოლებით, სადაც ნიადაგის ტენიანობა მომატებულია, გავრცელებულია მელგა-სკრები. რეგიონის ტერიტორია მეჩხრადაა დასახლებული და მიწათსარგებლობის მთავარი სახეა საძოვრული მეცხოველეობა.

დიდი არტეზიული აუზის ვაკეების სამხრეთ-დასავლეთი ნაწი-

ლი უკავია ტბა ეირის ქვაბულს, რომელიც ბუნების ძირითადი ნიშნების ხასიათით ნათლად გამოყოფილ რეგიონულ კომპლექსს ქმნის. ტბა ეირის ქვაბული, რომელიც ავსტრალიის გაუდინარი აუზის ცენტრია, ჰიდრომეტრიულად ყველაზე დაბალია. კონტინენტის ყველა სხარდან ზისკენ მატულობს ჰავის კონტინენტურობა და მაღლიანად ლანდშაფტის არიდულობა, რომელიც მაქსიმუმს მის ტერიტორიაზე აღწევს. ნალექების წლიური რაოდენობა 150 მმ არ აღემატება, ზოგან იგი 100 მმ ნაკლებია და თანაც აქვს ძლიერ არარეგულარული ხასიათი. სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა მისი ბუნება ახლო გეოლოგიურ წარსულში. ტბა ეირი წარმოდგენს შიდა ზღვის რელიქტს, რომელსაც პლეისტოცენის პლუვიალურ ეპოქაში ვრცელი ტერიტორია ეკავა. იმ დროს მასში ჩაედინებოდნენ დიდი წყალუხვი მდინარეები, ტერიტორია დაფარული იყო მეზოფილური ტყეებით და ტენიანი საეანებით, სადაც ბინადრობდნენ დღეისათვის გადაშენებული გიგანტური ჩანთოსანი ცხოველები. ამჟამად უხვწყლიანი მდინარეებისაგან შემოგვრჩა შრობადი კალაპოტები, ხოლო ტბა წელიწადის მეტ დროს პრაქტიკულად მშრალია და მის ფსკერს გადაეკვრის მარილის ქერქი, რომლის „ზღვაშიც“ ცალკეული მლაშობი გუბურებია ნალექების მოსვლის ხასიათის შესატყვისად ტბის წყლის სარკის ფართობი დიდ ფარგლებში იცვლება. ხანმოკლე უხვნალექიან პერიოდში, როცა კრიკებს მასში ჩააქვთ კოლოსალური ჩამონადენი, მისი ფართობი აღწევს 15000 კმ². კრიკები ქვაბულის ფარგლებში ღრმადაა ჩაჭრილი, რაც მეტყველებს მის ახლო გეოლოგიურ წარსულში დაძირვაზე. შიდა წყლების ძირითადი ნაწილი მიწისქვეშა (არტეზიულ და გრუნტის) წყლებზე მოდის. ეირის ქვაბულის ტერიტორიაზე აღდილი აქვს მათ განტვირთვას წყაროების სახით. თანამედროვე ლანდშაფტი მისი „წინამორბედისაგან“ შორსაა. იგი წარმოდგენილია ექსტრაარიდული უდაბნოებით და ნახევარუდაბნოებით, რომელთაც ქმნის ქსეროფიტული მარცვლოვნები, ხეში ეკლიანი ქონდარა აკაციები და ევკალიპტები (თითქმის გადაულახავ ბარდებს რომ ქმნიან) და გვალვას და გრუნტის სიმლაშეს შეგუებული ჰალოფიტები. ბუნებას, შედარებით, სიცოცხლის ელფერი გადაჰკრავს შრობადი კალაპოტების გასწვრივ, რაც გამოწვეულია გრუნტის წყლების გავლენით.

ეირისპირა ვაკეთა ფარგლებში მნიშვნელოვანი თავისებულებით ჯაპორჩივა გიბერის ვაკე, რომელიც ტბიდან დასავლეთით

მდებარეობს. იგი უკავია რელიეფში სუსტად გამოხატულ მაღლობებს (ძველი პენეპლენის ნაშთებს), რომელთა წყალგამყოფების ძირითადი ქანების გაშიშვლება მცენარეულობას მოკლებულია. მაღლობებს შორის და დაბლებები იმდენად არის ჩახერგილი ფიზიკური გამოფიტვის უხვი მასალით (ქვებით), რომ ძნელად გადასალახია. ფერდობებზე იზრდება მეჩხერი ხეშეში ქსეროფიტულა ეკლიანი ბუჩქები და მარცვლოვნები (მელგა-სკრები). ეირისპირა ნაპეები სუსტად არის ათვისებული, გამოიყენება მხოლოდ საძოვრად.

2. ცენტრალური დაბლობის თითქმის ნახევარი, სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი უკავია მურეი-დარლინგის აუზის ვაკეებს. დიდი არტეზიული აუზის ვაკეებისაგან იგი გამოყოფილია ბრაუვენ-პილბარის და გრეი-უორეგო-ტამბოს წყალგამყოფი მაღლობებით, აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან აკრავს დიდი წყალგამყოფი ქედის მთისწინა პლატოები, ხოლო სამხრეთ-დასავლეთ მხარეზე შემოფარგლულია სამხრეთ ავსტრალიის დაბალიადა მასივებით. ცენტრალური დაბლობის მონოტონური ლანდშაფტების ფონზე მისი ტერიტორია გამოირჩევა მნიშვნელოვანი ნაირგვარობით, რაც განსაზღვრულია მისი მდებარეობით, ერთი მხრივ ტროპიკული და სუბტროპიკული სარტყლების მიჯნაზე და სუბტროპიკულ სარტყელში და მეორეს მხრივ, ავსტრალიის კონტინენტური სექტორის აღმოსავლეთ პერიფერიაზე, რომელიც განიცდის წყნარ-ოკეანური მუსონების და ზომიერი ჰაერის მასების გავლენას. ბაქნური ავსტრალიის ფარგლებში იგი ერთადერთი ვრცელი რეგიონია, რომლის ტერიტორია მთლიანად გამდინარეა და ხასიათდება მუდმივჩამონადენიან მდინარეთა საკმაოდ ხშირი (აღმოსავლეთი ნაწილი) ქსელით. მეურნეობრივადაც იგი ვაკეთა ფარგლებში ყველაზე უფრო ათვისებული და მჭიდროდ დასახლებული რეგიონია.

მურეი-დარლინგის აუზი მოიცავს ვრცელ ტერიტორიას, რომლის ფარგლებშიც ლანდშაფტები იცვლება — განედის მიხედვითაც და კიდევ უფრო მეტად დასავლეთისაკენ. პირველ რიგში გამოიყოფა ორი ძირითადი რეგიონი — ჩრდილოეთში დარლინგისპირა ვაკეები და სამხრეთში მურეისპირა ვაკეები.

დარლინგისპირა ვაკეების ლანდშაფტის ძირითად ნიშნებს მთლიანი აუზის ფონზე განსაზღვრავს მისი მდებარეობა ტროპიკული და სუბტროპიკული სარტყლების მიჯნაზე და ტერიტორიის

მნიშვნელოვანი სუბმერიდიანული გადაჭიმულობა. ლანდშაფტურად არსებითად განსხვავებულია ზემო დარლინგის ვაკე-დაბლობი (აღმოსავლეთი ვაკე) და შუა და ქვემო დარლინგის ვაკე-დაბლობი (დასავლეთი ვაკე). მათ მიჯნაზე დარლინგისპირა ვაკე-დაბლობთა ზოლი ბარირისა და კობარის მალლობებით საგრძნობლად შევიწროებულია.

ზემო დარლინგის ვაკე-დაბლობის ბუნების ძირითად ნიშნებს განსაზღვრავს ტროპიკული და სუბტროპიკული სარტყლების მიჯნაზე და წყნაროკეანური მუსონის გავლენის (თუმცა სუსტად გამოხატული) სფეროში მდებარეობა. ხასიათდება კონტინენტური ტროპიკული ჰავით. ზემო დარლინგის ვაკე მეტ ნალექს ღებულობს (1500 მმ-მდე) და მისი ზედაპირი დანაწევრებულია დარლინგის მრავალრიცხოვანი შენაკადების ეროზიული ხეობებით. მდინარეები სათავეებს იღებენ დიდი წყალგამყოფი ქედიდან და ჩამონადენს მთელი წელი ინარჩუნებენ. სამხრეთ-დასავლეთისაკენ ლანდშაფტის არიდულობა უფრო და უფრო მატულობს. აღმოსავლეთ პერიფერიაზე და მდინარეთა ქალებში განვითარებულია ეკვალიპტის ნათელი ტყეები და მარცვლოვანი სავანა, რომელსაც წყალგამყოფებზე და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ცვლის ნახევარუდაბნოს ლანდშაფტი (მელგა-სკრები).

შუა და ქვემო დარლინგის ვაკეების ტერიტორია ვრცელდება დაახლოებით 30°-იანი პარალელიდან სამხრეთით. ხასიათდება მშრალი სუბტროპიკული ჰავით. ნალექების რაოდენობა ტერიტორიის ძირითად ნაწილზე 250-500 მმ ფარგლებშია, უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთში (დარლინგის მარჯვენა მხარეზე), 200 მმ-ზე ნაკლებია. სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ნალექების მაქსიმუმი ზაფხულიდან თანდათან გადაიწევს ზამთრისაკენ. ზედაპირული ჩამონადენი ძალიან სუსტად არის განვითარებული. შუა და ქვემო დინებაზე დარლინგს არცერთი შენაკადი არ გააჩნია მუდმივი ჩამონადენით. თვით დარლინგიც ხანგრძლივ მშრალ სეზონში მუდმივ ჩამონადენს ვერ ინარჩუნებს. მცირე ხანგრძლივობის თავსხმა წვიმების პერიოდში, მისი კალაპოტი ივსება წყლით და იტბორება ვრცელი ტერიტორია. ქვემო დარლინგის მარჯვენა, ყველაზე არიდულ ვაკეზე, ლანდშაფტის მნიშვნელოვანი ელემენტია უდაბნოს „ეფემერული“ მლაშე ტბები, რომელთა წყლის სარკის ფართობი ნალექების მოსვლის მკვეთრად კონტინენტურ რეჟიმთან დაკავშირებით, დიდ ფარგლებში იცვლება. რეგიონის ტერიტორიაზე დო-

მინირებულია სუბტროპიკული ნახევარუდაბნოს ლანდშაფტი (ძირითად ნაწილზე მელგა-სკრები, უკიდურეს ქვემო დინებაზე, მაღლი ანუ ევკალიპტიანი სკრები). მალობებზე, სადაც ნალექი მეტა მოდის, განვითარებულია ტიპური სავანა.

დარღინჯისპირა ვაკე-დაბლობები სუსტად არის ათვისებული; გამოჩნდება ადმოსავლეთი პერიფერია, რომელიც შედის ქვეყნის მარცვლეთი კულტურების მეურნეობის და მეცხოველეობის მთავარი ზონის ფარგლებში და კუნძულოვანი გავრცელების სამთამადნო მრეწველობის რაიონები. ვაკეების მეტი ნაწილი დასაპეციალებულია საძოვრული მეცხვარეობით.

მურეისპირა ვაკეები მოიცავს ცენტრალური დაბლობის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს, რომლის ბუნების ძირითად ნიშნებს განსაზღვრავს სუბტროპიკულ განედებში, დასავლეთის ზომიერი ჰაერის მასებისა და წყნაროკეანური მუსონური ქარების გავრცელების მიჯნაზე მდებარეობა. მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ და ხელსაყრელმა ნიადაგ-კლიმატურმა პირობებმა (განსაკუთრებით მურეის მარცხენა აუზის ტერიტორიაზე) განაპირობა ბუნებრივი ლანდშაფტის ძლიერი სახეშეცვლა. იგი ავსტრალიის ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო რეგიონია. მურეისპირა ვაკეები სამი მხრიდან (აღმოსავლეთი, სამხრეთი, დასავლეთი) შემოფარგლულია მთებით, რაც აძლიერებს ჰავის კონტინენტურობას.

ზომიერად მშრალი სუბტროპიკული ლანდშაფტების ფონზე შიდატერიტორიული ნაირგვარობა ბუნებრივ გარემოში და, მასთან, მიწათსარგებლობის ხასიათში უმთავრესად დამოკიდებულია ტენით უზრუნველყოფაზე. ნალექების რაოდენობა აღმოსავლეთი მთისპირეთიდან დასავლეთისაკენ და ჩრდილო-დასავლეთისაკენ მცირდება 500-600 მმ-დან 250-300 მმ-მდე. ამის საფუძველზე მურეისპირა ვაკეების ფარგლებში შესაძლებელია გამოიყოს ფიზიკურ-გეოგრაფიულად განსხვავებული ცალკეული ვაკეები: შუა და ქვემო მურეის ვაკე და ზემო მურეის (რივერაინის) ვაკე.

შუა და ქვემო მურეის ვაკის ლანდშაფტი ყველაზე უფრო კონტინენტურია, განსაკუთრებით მარჯვენა აუზის ვაკე, სადაც ნალექების რაოდენობა 250 მმ არ აღემატება. მისი ტერიტორია ახლო გეოლოგიურ წარსულში (მეოთხეულამდე) ეკავა ყურეს. მურეის ინტენსიური სილრმითი ეროზია იმაზე მეტყველებს, რომ აზვეების პროცესი ამჟამადაც გრძელდება. მდინარე მურეი უერთდება

აღექსანდრინის ლაგუნურ ტბას, რომელსაც ოკეანისაგან გამოყოფს ქვიშის ცელა, რომლისგან სამხრეთით ნათლად გამოიყოფა ბრტყელი სანაპირო ქვიშიანი დაბლობი — დიუნური ლანდშაფტით. ყველაზე მეტი სიხშირით გამოირჩევა ქვემო მურეის მარჯვენა მხარე, სადაც დომინირებულა ბუჩქნარი (მელგა-სკრები) ნახევარუდაბნოს ლანდშაფტი პალეოტიური ელემენტებით, დამლაშებულ ნიადაგებზე. მდინარის მარცხენაპირეთში მას ცვლის სუბტროპიკული სტეპები. სტეპისა და ნახევარუდაბნოს მონოტონურობაში მნიშვნელოვანი კორექტივები შეაქვს ევკალიპტიან ჰალის ტყეებს.

ზემო მურეის („რივერაინის“) ვაკე გამოირჩევა შედარებით მეზოფილური ლანდშაფტებით. მისი ძირითადი ნაწილი უკავია მურეისა და მისი შენაკადის მარაბიჯის წყალშეთის (წარსულში ამ მდინარეთა დელტას), რომელსაც ავსტრალიის მესოპოტამიასაც უწოდებენ. მისი ბრტყელი ზედაპირი დანაწევრებულია ერთმანეთთან დაკავშირებული ფშანების* ხშირი ქსელით. პავა კონტინენტური სუბტროპიკულია, მეტეოროლოგიური მოვლენების და მთლიანად ლანდშაფტის გარეგნული სახის მკვეთრად გამონატოლი სეზონური ცვალეზობით. ზაფხულის ხანგრძლივი გვალვების შედეგად ლანდშაფტი იძენს უსიცოცხლო იერს, გადაიწვება ბალახ-მცენარეულობა, მრავალრიცხოვანი ფშანების და ნარიონალბის ადგილას წარმოიქმნება მომლაშო გუბურები. ხანმოკლე წვიმიან სეზონში ასპექტი სწრაფად იცვლება, მდინარეები და მათი განშტოებანი ავსებენ კალაპოტს და ტბორავენ ვრცელ ტერიტორიებს, რომელიც მწვანე სამოსელში ეხვევა. აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ პერიფერიაზე ბუნებრივი ლანდშაფტი წარმოდგენილია ევკალიპტის ნათელი ტყეებით, წითელმურა ნიადაგებზე, ხოლო დასავლეთის გაშლილი ვაკეები უკავია სუბტროპიკულ სტეპებს.

მურეისპირა ვაკეების ბუნებრივი ლანდშაფტი ძლიერ სახე-შეცვლილია, განსაკუთრებით მდინარე შირამბიჯიდან სამხრეთით. იგი ქვეყნის მთავარი სასოფლო-სამეურნეო რაიონია, მკვიდროდ დასახლებული. მდინარე მურეის ჩამონადენი მთლიანად დარეგულირებულია მრავალრიცხოვანი წყალსაცავებით, რომლებიც ასაზრდოებენ ფართო მასშტაბის საირიგაციო სისტემებს.

ცენტრალური დაბლობის ფარგლებში ბუნების ყველა ნიშნით ნათლად გამოიყოფა გენეტურად ერთი მთლიანი სამხრეთ ავსტრა-

* — წყლის ბუნებრივი მოკლე სადინარი (მდინარის ტოტი).

ლიის მთიანი ოლქი ეირის და იორკის ნახევარკუნძულების მიმდებარე ვაკეებით. მისი ლანდშაფტის ძირითად ნიშნებს განსაზღვრავს მთაგორიანი რელიეფი და ციკლონური ხასიათის ზომიერი ჰაერის მასების გავლენა. მთიანი ოლქი წარმოადგენს მერიდიანული მიმართულების ზოლს, რომელიც ბაივალური ნაოქა სტრუქტურებით არის აგებული. მის ფარგლებში გამოიყოფა ორი პორსტული მასივი — ჩრდილოეთ ნაწილში ფლინდერზის (მაქსიმალური სიმაღლე 1189 მ) და სამხრეთ ნაწილში — მაუნტ-ლოფტის (მაქსიმალური სიმაღლე 934 მ. მისი ამგებელი სტრუქტურები გრძელდება კუნძულ კენგურუზე). მათი ფერდობები ეროზიის მიერ ძლიერ არის დანაწევრებული. მთიანი ოლქის და სამხრეთიდან მიმდებარე ნახევარკუნძულების ვაკეთა ტერიტორიაზე ჰავა ხშილთაშუა ზღვის ტიპისაა და ლანდშაფტი სამხრეთ-დასავლეთი ავსტრალიის ანალოგიურია. მსგავსებაა სამეურნეო ათვისებისა და ბუნებრივი ლანდშაფტის სახეშეცვლის ხასიათის მიხედვითაც. რეგიონის ტერიტორია ავსტრალიის ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო რაიონია.

2. მთიანი აღმოსავლეთი (დიდი წყალგამყოფი ქედი)

იგი ავსტრალიის ვრცელ არიდულ ვაკეთა ლანდშაფტების ფონზე ყველაზე ნათლად გამოყოფილ რეგიონს (ფიზიკურ-გეოგრაფიულ ქვეყანას) ქმნის. მთავარი ლანდშაფტშიმქმნელი ფაქტორებიდან, რომლებიც მისი ბუნების ძირითად ნიშნებს (მის ინდივიდუალობას) განსაზღვრავენ, აღსანიშნავია მისი ტროპიკულ და ტროპიკულისპირა განედებში და აღმოსავლეთ ოკეანურ სექტორში, მუსონურ-პასატური ცირკულაციის უშუალო ზეგავლენის სფეროში მდებარეობა და ტერიტორიის ზომიერი მთიანობა.

მთიანი აღმოსავლეთი გეოგრაფიულ ლიტერატურაში ცნობილია სხვადასხვა სახელწოდებით: აღმოსავლეთ ავსტრალიის მთები, ავსტრალიის კორდილიერები, დიდი წყალგამყოფი ქედი. უახლოეს ლიტერატურაში და სასწავლო პროგრამაში იგი ფიგურირებს დიდი წყალგამყოფი ქედის სახელწოდებით, რომელიც სხვადასხვა განედურ მონაკვეთზე მისი შემადგენელი ცალკეული ქედებისა და მთიანი მასივების, აგრეთვე შტატების შესატყვის სახელს ატარებს — კვინსლენდის, ახალი ინგლისის და ლივერპულის ქედები, ცისფერი მთები, ავსტრალიის ალპები და ვიქტორიის მთები.

აღმოსავლეთ ავსტრალიის მთიანი ქვეყნის ფარგლებში დიდი წყალგამყოფი ქედის გარდა განიხილება ბორცვიანი სანაპირო ვაკე-დაბლობი.

ქვეყნის ტერიტორია გამოირჩევა ყველაზე ოპტიმალური ჰიდროთერმული პირობებით ბიომასის შექმნის თვალსაზრისით, რის გამოც კონტინენტის ტყიანი ეკოსისტემები (ლანდშაფტები) ძირითადად გავრცელებულია მის ფარგლებში. ვაკე ავსტრალიისათვის დამახასიათებელი ლანდშაფტების ნათლად გამოხატული განედურ-ზონალური ცვლა მთიან აღმოსავლეთში სუსტადაა გამოხატული და გართულებულია სიმაღლეებრივი ზონალურობით, რომელიც სხვაგან ტიპურად არსად არ არის გამოხატული. ბუნებრივი კომპლექსების (ლანდშაფტების) სივრცობრივი დიფერენციაციის მთავარი ფაქტორია რელიეფის ხასიათი, განსაკუთებით კი — ექსპოზიციის და აბსოლუტური სიმაღლის როლი, აგრეთვე მნიშვნელოვანია ზედაპირის ამგები ქანების ლითოლოგიის გავლენა.

ზოდი წყალგამყოფი ქედი კონტინენტს გაუყვება თითქმის მთელ აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ პერიფერიაზე, დაახლოებით ს. გ. 15°-დან უკიდურეს სამხრეთამდე, 4000 კმ-ზე, საშუალო მთიანია (საშუალო სიმაღლე 1000-1500 მ), აგებულია პალეოზოური (მეტწილად ჰერცინული) ნაოჭა სტრუქტურებით და სხვადასხვა ასაკის ვულკანური ქანებით, მეტწილად — ბაზალტებით. იგი წარმოადგენს ვრცელი ჰერცინული ხმელეთის (მისი ძირითადი ნაწილი ამჟამად დაძირულია წყნარ ოკეანეში) დასავლეთ პერიფერიას, რომელიც შეუკავშირდა ძველ ბაქანს. ხანგრძლივად დენუდაციის შედეგად პენპლენად ქვეულმა ხმელეთმა კაინოზოურის ლოდა მოძრაობის შედეგად განიცადა რელიეფის გაახალგაზრდაება-გართულება და შეიძინა ლოდა-ნაოჭა სტრუქტურა. ამან, თავის მხრივ, გამოიწვია ეროზიული პროცესების გააქტიურება და ახალგაზრდა ეროზიული და ეროზიულ-ტექტონიკური (ხოლო მაღალმთიან ზონაში მყინვარული) რელიეფის წარმოქმნა. დიდი წყალგამყოფი ქედი არ წარმოქმნის ერთი მთლიანი თხემის მქონე მთაგრებილს. იგი შედგება დაბალი და საშუალო სიმაღლის ასიმეტრიული ნაოჭა-ლოდა მასივებისაგან, რომლებიც ერთიმეორისაგან გამოყოფილნი არიან ეროზიულ-ტექტონიკური ხეობებით და ქვაბულებით. დამახასიათებელია წყალგამყოფის გადაადგილება დასავლეთის შედარებით დაბალი მასივებისაკენ, რის გამოც იქმნება ხელსაყრელი პირობები მდინარეთა სათავეების მოტაცებისა-

თვის. დიდი წყალგამყოფი ქედის აღმოსავლეთი ქარაილიანი კალთა დანაწევრებულია უხეწყლიან, მაგრამ მოკლე მდინარეთა ღრმა კანიონისმაგვარი ხეობებით. აღმოსავლეთი საქარე კალთები და სანაპირო ვაკე მთელ კონტინენტზე გამოირჩევა ატმოსფერული ნალექების ყველაზე თანაბარი შიდაწლიური განაწილებით, მხოლოდ სუბეკვატორულ და ტროპიკულ განედებში მაქსიმუმი ზაფხულშია, ხოლო სამხრეთისაკენ იგი თანდათან გადაინაცვლებს შემოდგომისაკენ. ამავე მიმართულებით თანდათანობით მცირდება მისი რაოდენობა 3000-2000 მმ-დან 1000 მმ-მდე, ხოლო დასავლეთ კალთებზე 500 მმ-მდე.

ბუნებრივი ლანდშაფტი აღმოსავლეთ ავსტრალიის მთებში ყველგან მთის ტყეებით იყო წარმოდგენილი, მაგრამ არსებითად განსხვავებული ხასიათის აღმოსავლეთ და დასავლეთ კალთებზე და შიდა ქვაბულებში. აღმოსავლეთ საქარე კალთებზე განვითარებული იყო ტენიანი მარადმწვანე და მარადმწვანე-ფოთოლციენია ტყეების ლანდშაფტი წითელმიწა ფერალიტური და წითელმიწა-ყვითელმიწა ნიადაგებით, ხოლო დასავლეთ კალთებზე და შიდა ქვაბულებში ქსეროფიტული ნათელი ტყეები, სავანები და სტეპები წითელ-მურა და შავმიწა ნიადაგებზე.

ბუნების საერთო ნიშნების ფონზე აღმოსავლეთ ავსტრალიის მთები ამჟღავნებს ლანდშაფტის ნათლად გამოხატულ შიდატროპიკორიულ ნაირგვარობას. პირველ რიგში გამოიყოფა ორი ძირითადი ნაწილი: ტროპიკული ჩრდილოეთი და სუბტროპიკული სამხრეთი. მათ შორის საზღვარი ზონალურ-კლიმატურიცაა და გეომორფოლოგიურიც.

ტროპიკული ჩრდილოეთი თითქმის მთლიანად კვინსლენდის შტატის ფარგლებშია, რის გამოც გეოგრაფიულ ლიტერატურაში ცნობილია კვინსლენდის მთების სახელწოდებით. იგი ვრცელდება დაახლოებით ს. გ. 28°-მდე. ამ მონაკვეთზე მთები გაცილებით უფრო განიერია (650 კმ-მდე) და დაბალი (საშუალოდ 600-1000 მ). მის რელიეფში შერწყმულია დაბალი კრისტალური პლატოები, ლოდა მასივები და მათი გამყოფი ხეობები და ქვაბულები. მის ფარგლებში ნათლად გამოიყოფა მორფოსტრუქტურების ოთხი მერიდიანული ზონა, რომლებიც ლანდშაფტურადაც განსხვავებულნი არიან: 1) ბორცვიანი ვიწრო სანაპირო ვაკე, 2) სანაპირო კრისტალური პლატოები და ლოდა მასივები, 3) შიდა ქვაბულები და 4) წყალგამყოფი ქედი. კვინსლენდის მთები მაქსიმალურ სიმაღლეს

აღწევს აღმოსავლეთ ზონაში, უმაღლესია (1600 მ) ვულკანური პლატო ათერტონი. მთების აღმოსავლეთი ქარაფოვანი კალთები თითქმის უშუალოდ ოკეანეში ეშვებიან და სანაპირო ვაკე ძალიან ვიწროა და მთლიან ზოლს ვერ ქმნის. მთების აღმოსავლეთი კალთები და სანაპირო ძლიერ არის დანაწევრებული ტექტონიკური ეროზიული ხეობებით. საქარე კალთებზე და სანაპირო ვაკეზე ნოტიო ტროპიკული ჰავის პირობებში განვითარებულია მარადმწვანე ნოტიო ტროპიკული ტყეები, რომელიც ფლორისტული შემადგენლობით ჰგავს მალაის არქიპელაგის ტყეებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მასში პალმების მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი. სიმაღლით, 1000-1200 მ-დან მას ცვლის მთის ტყეები, რომელშიც სითბოს მოყვარული ელემენტების ადგილს იკაებებს წიწვიანები (მათ შორის არაუკარია).

დასავლეთი მასივების ზონა, მიუხედავად მცირე სიმაღლისა (500-700 მ), ქმნის ოროგრაფიულად სუსტად გამოხატულ წყალგამყოფს მარჯნის ზღვის, კარპენტარიის ყურის, დიდი ავსტრალიის ყურის (მურეი-დარლინგის) და შიდა ჩამონადენის (ტბა ეირის) აუზებს შორის. წყალგამყოფ ქედზე (უკეთესად, მაგიდა მთებზე) ნალექების რაოდენობა 1000 მმ-ზე ნაკლებია და განვითარებულია ევკალიპტის ნათელი ტყეები, ხოლო ბაზალტური პლატოების შევშიწა ნიადაგებზე — ხავანები. კლიმატურად და ბიოგენური კომპონენტების ხასიათით მისგან არსებითად არ განსხვავდება შიდა ქვაბულების ზონა, რომელიც დანაწევრებულია აღმოსავლეთ ავსტრალიის უდიდეს მდინარეთა (ბერდეკინი, ფიცროი, ბერნეტი და სხვ.) ხეობებით და ბუნებრივ პირობებში უკავია ევკალიპტის ნათელ ტყეებსა და ბუჩქნარებს.

კვინსლენდის მთების ბუნებრივი ლანდშაფტი ძლიერ სახეშეცვლილია, სანაპირო ვაკე და შიდა ქვაბულები, სადაც ტყეები თითქმის მთლიანად მოსპობილია, მისი ადგილი უკავია ტროპიკულ კულტურებს (შაქრის ლერწამი, ანანასი, ბანანი, ბამბა, თამბაქო, ქოქოსის პალმა და სხვ.) და საძოვრებს. ანთროპოგენური ზემოქმედების სფეროში მნიშვნელოვანი წილი აქვს სამთომოპოვებით მრეწველობას. რეგიონის ტერიტორია მდიდარია ფერადი ლითონებით და ქვანახშირით.

სუბტროპიკული სამხრეთი, მცირე გამოჩაყლისის გარდა, ახალი სამხრეთი უელსის შტატის ფარგლებშია, რის გამოც დიდი წყალგამყოფი ქედის ეს მონაკვეთი ატარებს ახალი სამხრეთი უელ-

სის მთების სახელს. მთების სიგანე მის ფარგლებში საგრძნობლად კლებულობს, სიმაღლე კი მატულობს; მატულობს სანაპირო ვაკის სიგანე. ტენიან და მუსონურ ტროპიკულ ჰავას ცვლის მუსონურ-სუბტროპიკული ჰავა, სახეს იცვლის მთლიანად ლანდშაფტი. ქედებს მაგიდა მთების ფორმა აქვთ. დაძირული პერციული ნაოჭა სტრუქტურები გადახურავს მეზოზოური ასაკის პორიზონტალურ შრეებს და დიდი სისქის ბაზალტების საფარს. ზედაპირის ამგებელი ქანების ლითოლოგიური ნაირგვარობა (ძველი კრისტალური ქანები, ქვიშაქვები, კირქვები, ბაზალტები და სხვ.) და აქტიური ნეოტექტონიკური ლოდა მოძრაობა განსაზღვრავს რელიეფის შედარებით სირთულეს და ფორმათა ნაირგვარობას (ქარაფოვანი ფერდობები და შვერილები, კანიონისმაგვარი ხეობები, კარსტული ფორმები, ავსტრალიის ალპებში ძველი მყინვარული ფორმები და სხვ.). ქედები ასიმეტრიულობას ინარჩუნებენ და სანაპირო ვაკისაკენ ეშვებიან ძლიერ დანაწევრებული ქარაფოვანი კალთებით. სანაპირო ვაკის სიგანე 50 კმ ყველგან აღემატება, დიდ მდინარეთა შესართავებთან იგი მკვეთრად მატულობს (მდ. ხენტერის გასწვრივ განი 240 კმ-ია). კვინსლენდის მთებისაგან განსხვავებით, წყალგამყოფი სანაპიროდან მცირე მანძილითაა დაცილებული, რის გამოც წყნარი ოკეანის აუზის მდინარეები გაცილებით მოკლეა. წყალგამყოფი დასავლეთით რელიეფში ნათლად გამოხატული საფეხურით ეშვება ბორცვიანი მაღლობების ზონაში (იარუსში). რომელიც დაუნზებად იწოდება. მისი ზედაპირი დასერილია დარლინგის სათავეთა ხეობებით. აღმოსავლეთ საქარე კალთებზე ჰავა მუსონურ-სუბტროპიკულია და განვითარებულია ტენიანი სუბტროპიკული ტყეები ევკალიპტის გაბატონებით. ტყეების ფლორისტული შედგენილობა, სუბეკვატორულ და ტროპიკულ განედებთან შედარებით, გამარტივებულია უმეტესად პალმების ხარჯზე. დასავლეთ, შედარებით მშრალ ფერდობზე განვითარებულია ევკალიპტის ქსეროფიტული ნათელი ტყეები და ბუჩქნარები, აგრეთვე სავანები კუნძულოვანი არეალით.

სამხრეთის მიმართულებით ნალექების რაოდენობა თანდათან კლებულობს, მაქსიმუმი გადაინაცვლებს შემოდგომისკენ, ჰაერის ტემპერატურა კლებულობს, მთების სიმაღლე მატულობს. ამასთან დაკავშირებით იცვლება ჰიდროთერმული პირობები და ლანდშაფტის ბიოგენური კომპონენტების ხასიათი განედურზონალურად, სიმაღლის და ექსპოზიციის მიხედვით. ბუნების ცალკეული ელ-

მენტების ცვალებადობა რეგიონულ ხასიათს იძენს ახალი სამხრეთ უელსის მთების შემადგენელი ცალკეული ოროგრაფიული ერთეულების (მორფოსტრუქტურების) საზღვრებში, როგორცაა: ახალინგლისის და ლივერპულის ქედები, ცისფერი მთები, ავსტრალიის ალპები და ვიქტორიის ალპები.

ახალინგლისისა და ლივერპულის ქედების რეგიონი გამოიყოფა ბრისბენის მთებსა (ჩრდილოეთით) და ხენტერის ეროზიულ-ტექტონიკურ ხეობას შორის, რაც წარმოადგენს დიდი წყალგამყოფი ქედის მერიდიანულ მონაკვეთს. მისი ბუნების ძირითად ნიშნებს უმთავრესად განსაზღვრავს გარდამავალი მდებარეობა ტროპიკულ და სუბტროპიკულ განედებს შორის. რეგიონის ძირითადი ოროგრაფიული ერთეულებია ახალინგლისის მერიდიანული და ლივერპულის განედური ქედები და 30-50 კმ სიგანის ბორცვიანი სანაპირო დაბლობი, რომელიც იწოდება „ჩრდილოეთ სანაპიროდ“. მაგიდა თხემების მქონე ქედები სანაპირო ვაკისაკენ ეშვებიან ქართოვანი კალთებით.

ჰავა მუსონურ-ტროპიკულიდან მუსონურ-სუბტროპიკულში გარდამავალია. ნალექების რაოდენობა და ჰაერის ტემპერატურა სამხრეთისაკენ თანდათან კლებულობს, მაგრამ ნალექების შიდაწლიური განაწილების შედარებით სითანაბრე ძალაში რჩება, თანაც მაქსიმუმი თანდათან შემოდგომისაკენ გადაიწევს. ბუნების გარდამავალი ნიშნები ყველაზე ნათლად ჩანს მცენარეული საფარის ხასიათში. ტენიანი ტროპიკული ჰილეა გვხვდება ცალკეული კუნძულების (ოაზისების) სახით. უფრო და უფრო დომინირებს ეკვალიტის ტყეები გაეწრებული წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგებით. მთების დასავლეთი კალთები და დაუხეზები დანაწევრებულია დარლინგის სათავეთა ხეობებით. ჰავა შედარებით კონტინენტურია, ნალექების რაოდენობა 500 მმ არ აღემატება, რასაც შეესატყვისება ეკვალიტის ნათელი ტყეები და სავანური ლანდშაფტი.

ბუნებრივი ლანდშაფტი რეგიონის ტერიტორიაზე ძლიერ სახეშეცვლილია, ტყეები მეტწილად გაჩეხილია. ძვირფასი მერქნისა წყალობით განსაკუთრებით მასიურ ჭრას განიცდის წითელი კედარი, ვარდის ხე, ყვითელი ხე. ტერიტორია მჭიდროდაა დასახლებული და ათვისებული. მაღალგანვითარებულია როგორც აგრაარული სექტორი, ისე მძიმე ინდუსტრია. ნიადაგ-კლიმატური პირობების გარდამავალი ხასიათი ნათლად ატყვია მიწათმოქმედების კულტუ-

რათა სტრუქტურას. იგი მოიცავს როგორც ტროპიკულ (ანანასი, ბანანი, შაქრის ლერწამი და სხვ.), ისე სუბტროპიკულ კულტურებს (ციტრუსები, თამბაქო, ხეხილი, ხორბალი და სხვ.). ინტენსიური მიმართულება აქვს სახორცე-სარძევე მესაქონლეობას და მეცხვარეობას.

ცისფერი მთები წარმოადგენს საშუალოდ 1000 მ სიმაღლის პლატოს, რომელიც სანაპირო ვაკისკენ ეშვება ძლიერ დანაწევრებული ქარაფით, ხოლო დასავლეთით — რელიეფში ნათლად გამოჩატული საფეხურებით. ჰერცინული ნაოჭა სტრუქტურები გადახურულია პორიზონტალურად განლაგებული ქვიშაქვებით, კირქვებით და ბაზალტებით. ჩრდილოეთიდან მას საზღვრავს ხენტერის ხეობა, ხოლო სამხრეთ მხარეზე ავსტრალიის ალპებისაგან გამოყოფილია მდინარე მარამბიჯის ზემო ხეობით.

სანაპირო ვაკე ხენტერის ხეობიდან სამხრეთით პაუს კონცხამდე ცნობილია „სამხრეთ სანაპიროს“ სახელწოდებით. იგი მაქსიმალურ სიგანეს (240 კმ) აღწევს ხენტერის ხეობის გასწვრივ, უფრო სამხრეთით მისი სიგანე 50-75 კმ ფარგლებში იცვლება. იგი დანაწევრებულია საპორტო ქალაქების გასაშენებლად მოხერხებული უბეებით.

ჰავა აღმოსავლეთ კალთებზე და სანაპირო ვაკეზე მუსონურ-სუბტროპიკულია. ნალექების რაოდენობა 1000-1500 მმ ფარგლებშია, რომლის მაქსიმუმი ზაფხულის დამლეცს და შემოდგომაზე მოდის. დასავლეთ-ფერდობებზე და პლატოებზე ნალექების რაოდენობა კლებულობს 500-700 მმ-მდე. შესაბამისად საქარე კალთებზე და სანაპირო ვაკეზე ბუნებრივი ლანდშაფტი წარმოდგენილია მაღალტანიანი ევკალიპტის ტყეებით, რომელშიც გარეულია მაღალტანიანი არაუკარია, ხოლო დასავლეთ კალთებზე და მაღლობებზე (დაუნზები) გავრცელებულია ევკალიპტის ნათელი ტყეები, სავანები და პრერიები. ევკალიპტის ქსეროფიტული ნათელი ტყეების ფონზე მკვეთრ კონტრასტს ქმნიან ნესტიანი კანიონისმაგვარი ხეობები, რომელთა კალთები და ფსკერი დაღარულია ხისმაგვარი გვიმრების ხშირი ბარდებით.

ბუნებრივი ლანდშაფტი ძლიერ სახეშეცვლილია, მისი ტერიტორია შედის ქვეყნის მეურნეობრივად ყველაზე მაღალგანვითარებული და მჭიდროდ დასახლებული სამხრეთ-აღმოსავლეთი ავსტრალიის ფარგლებში.

ავსტრალიის ალპებს ბუნებრივი და თანამედროვე ლანდშაფ-

ტის ცველა ნიშნით დიდი წყალგამყოფი ქედის და მთლიანად კონტინენტის ფარგლებში განსაკუთრებული ადგილი უკავია. იგი დიდი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ-დასავლეთი ნახევარკალის მაგვარი დაბოლოებაა, ყველაზე მაღალმთიანი რელიეფით (კონტინენტის უმაღლესი მწვერვალი კოსციუშკო, 2230 მ), გადაჭიმულია 450 კმ-ზე, 150 კმ-მდე სიგანით.

მორფოგრაფიულად წარმოადგენს პლატოს, რომელიც ღრმა ეროზიულ-ტექტონიკური ხეობებით და ტექტონიკური ნაპრალებით დანაწევრებულია ცალკეულ მასივებად. მაღალმთიან (ნაწილობრივ საშუალომთიან) ზონაში რელიეფის მნიშვნელოვანი ელემენტია ძველმყინვარული ფორმები (კარები, ცირკები და სხვ.). მნიშვნელოვანი კლიმატ- და, მთლიანობაში, ლანდშაფტშემქმნელი ფაქტორია წყნაროკეანურ-მუსონური და ინდოეთის ოკიანიდან ჩინაბერი ზომიერი ჰაერის მასების კონტაქტის არეში მდებარეობა. ნალექების რაოდენობა 1000-1500 მმ ფარგლებშია. მაქსიმუმი, აღმოსავლეთ მხარეზე, შემოდგომაზეა, სამხრეთ-დასავლეთ მხარეზე — ზამთარ-გაზაფხულის მიჯნაზე. ავსტრალიის ალპები მთელ კონტინენტზე კლიმატურად ყველაზე მკაცრია. ყინვიანი ზამთარი მაღალმთიან ზონაში 4-6 თვეს გრძელდება, ღრმა ხეობებში ზოგან თოვლის მრავალწლიანი ლაქებია.

ავსტრალიის ალპებში ყველაზე ნათლად და სრული სპექტრით არის გამოხატული ნიადაგ-მცენარეული საფარის და მთლიანად ბუნებრივი კომპლექსების სიმალღებრივი ზონალურობა. ყველაზე ნესტიანი ღრმა ხეობები უკავია ხეგვიმრების ხშირ ბარდებს, რომელსაც სიმაღლით ცვლის მაღალტანიანი ტყეები. მთის ტყის ყველა სიმაღლით ზონაში დომინირებულია ევკალიპტები, მაგრამ სიმაღლით იგი უფრო და უფრო დაბალტანიანი და მეჩხერი ხდება და მასში შერეულია დაბალტანიანი წიფელი. ხემცენარეთა სიმაღლითი გავრცელების საზღვარს (1700-1950 მ) სცილდება მხოლოდ ცალკეული მწვერვალები, სადაც მომდევნო სიმაღლით ზონებს ქმნიან სუბალპური ტანბრეცილა ტყე-ბუჩქნარი (ევკალიპტისაგან) და ალპური მდელოები. ავსტრალიის ქვა-ღორღიანი ალპების საშუალო და მაღალმთიანი ზონა მეჩხრად არის დასახლებული. ბუნებათსარგებლობის ძირითადი სახეებია: მეცხოველეობა (მეტწილად მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება) და სატყეო მეურნეობა. რეგიონის მდიდარი წყლის რესურსების ბაზაზე შექმნილია მძლავრი საირიგაციო სისტემები და პიდროენერგეტიკული


კომპლექსები. მნიშვნელოვანია აგრეთვე ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები. მის ტერიტორიაზე მთელი რიგი ეროვნული პარკებია.

ვიქტორიის შტატის ტერიტორიაზე ავსტრალიის ალპები მკვეთრად იცვლის მიმართულებას განედურზე, რომელიც ცნობილია ვიქტორიის ალპების სახელწოდებით. იგი დაბალმთიანი პლატოა, რომლის ფერდობები დანაწევრებულია მდინარეთა ეროზიული ხეობებით. იგი ავსტრალიის ალპებთან ერთად სამხრეთიდან შემოიჭრება გლავს მარის (მურეი-დარლინგის აუზის) პალეოზოურ სინეკლიზას. ვიქტორიის ალპების დასავლეთ დაბოლოებაზე ვიმერის და გოპკინსის ფართო მერიდიანული ხეობებით გამოიყოფა გრემპიენის პორტული მახვილი, რომელიც მთა უილიამზე აღწევს 1166 მ სიმაღლეს. ავსტრალიისა და ვიქტორიის ალპების სამხრეთისპირეთის გაყოლებით ტასმანიის ზღვის სანაპიროებიდან დიდი ავსტრალიის ყურის სანაპირომდე გადაჭიმულია განედური მიმართულების ვიქტორიის დიდი ხეობა, რომელიც წარმოადგენს 40-100 კმ სიგანის დაბლობს ვრცელი ბაზალტური საფრთხით. იგი პორტ ფილიპის ყურის მერიდიანული დაძირვით ორ ნაწილადაა გაყოფილი. ასევე ორადაა გაყოფილი დაბლობის სამხრეთ ნაწილში მდებარე მალლობი. ჰავა ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე მუსონურ-სუბტროპიკულია, ზომიერად ცხელი ზაფხულით (20-25°) და გრილი ზამთრით (პლუს 9-10°). ნალექების რაოდენობა აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქარე კალთებზე 1000-1500 მმ-ია ზაფხულის მაქსიმუმით, ქარზურგა კალთებზე და ვიქტორიის დიდ ხეობაში ნალექების რაოდენობა 500 მმ-მდე მცირდება, თანაც დასავლეთ პერიფერიაზე მაქსიმუმი ზამთარშია. შიდა ნაწილში ნალექების თანაბარი სეზონური განაწილებაა (იხ. მეღბურნის სადგურის მონაცემები). ბუნებრივი მცენარეულობა საქარე კალთებზე წარმოდგენილია მაღალტანიანი ევკალიპტის ტყეებით, ქარზურგა კალთებზე — ევკალიპტის ნათელი ტყეებით, ხოლო ვიქტორიის დიდ ხეობაში — სავანებითა და სტეპებით. ბუნებრივი ლანდშაფტი ძლიერ სახეშეცვლილია, თანამედროვე ლანდშაფტში დომინირებს აგრო-სამრეწველო ელემენტი. მისი ტერიტორია განეკუთვნება ავსტრალიის მეურნეობრივად ყველაზე უფრო განვითარებულ (ყველა დარგის მიხედვით) რეგიონს.

კუნძული ტასმანია მიმდებარე მთელი რიგი პატარა კუნძულებით (კინგი, ფლინდერსი და სხვ.) ქმნის ავსტრალიის კავშირის

ერთ-ერთ შტატს. ფართობით იგი დაახლოებით საქართველოს ტოლია (68 ათასი კმ²). კონტინენტისაგან გამოყოფილია სასხლეტურა წარმოშობის ბასის სრუტით, რომლის სიგრძე 317 კმ, სიგანე 224 კმ, ხოლო სიღრმე — 92 მ. ტასმანიის ბუნების ძირითად ნიშნებს (მთის პიდროფილური და მეზოფილური ტყეების გაბატონება) განსაზღვრავს მეტწილად ზომიერ განედებში მდებარეობა და კუნძულოვანი განვითარება.

კუნძულის ძირითადი ნაწილი მთებს უკავია, რომელიც მორფოსტრუქტურულად დიდი წყალგამყოფი ქედის გაგრძელებას



ნახ. 12. ტემპერატურის, ნალექების და შეფარდებითი ტენიანობის წლიური მსვლელობა სამხრეთ-აღმოსავლეთ ავსტრალიაში — მელბურნი (ტ. ვ. ვლასოვას მიხედვით).

წარმოადგენს. ტასმანიის მთიანეთი ტექტონიკური ნაპრალებით და ტექტონიკურ-ეროზიული ხეობებით და ქვაბულებით დანაწივრებულია ციკაბოკალთებიან პლატოებად და მთიან მასივებად. მთიანეთი მაქსიმალურ სიმაღლეს აღწევს ცენტრალურ პლატოზე (მთა ოსა, 1617 მ, ტასმანიის უმაღლესი მწვერვალი), აღმოსავლეთი მთიანეთისაგან (მთა ლეგ-პიკი, 1572 მ) გამოყოფილია მიდლენდის დაბლობით (მდინარე ტეიმარ-მაკუორის ხეობის გასწვრივ). სამხრეთიდან ცენტრალურ პლატოში ღრმად იჭრება მდინარე დარტენტისპირა დაბლობი. პლატოები ციკაბო ფერდობებით ეშვებიან

სანაპირო ბორცვიან ვაკეზე, რომელიც მაქსიმალურ სიგანეს აღწევს ჩრდილო და სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეზე.

სამხრეთ-დასავლეთი, სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი კლდოვანი, დანაწევრებული სანაპიროს გასწვრივ განვითარებულია მრავალრიცხოვანი ყურეები (მაკუორის, სტორმის, ოისტერის და სხვ.).

ჰავა ჩრდილო პერიფერიაზე ცვალებადტენიანი სუბტროპიკულია, ძირითად ნაწილზე — ზომიერი ზღვიური და მუსონური. ზაფხული თბილია (17-20°), ზამთარი რბილი (პლუს 8-12°). მაღალ პლატოებზე ზამთრის თვეების ტემპერატურა ნულს ქვემოთ ეშვება. მთავარი კლიმატმექმნელი ფაქტორია ციკლონური ხასიათის დასავლეთის ზომიერი ჰაერის მასები, რომლის გავლენით დასავლეთ საქარე კალთებზე და სანაპირო ვაკეზე ჩამოყალიბებულია ზღვიური ჰავა. ნალექების რაოდენობა ზოგან 3000 მმ აღემატება, აღმოსავლეთისაკენ და ჩრდილოეთისაკენ 500-600 მმ-მდე მცირდება. მთიან ზონაში ზამთარში წარმოიქმნება თოვლის საბურველი.

ავსტრალიის მთიანეთის და სანაპირო ვაკის ზედაპირი დანაწევრებულია უხვწყლიან მდინარეთა ხშირი ეროზიული ხეობებით. ცენტრალური პლატოს შიდა წყლების და მთლიანად ლანდშაფტის მნიშვნელოვანი ელემენტია მყინვარული წარმოშობის თვალწარმტაცი ბუნების მქონე ტბების ხშირი ქსელი.

ჰიდროთერმული პირობები მთელ კუნძულზე ხელსაყრელია ტყის ეკოსისტემების განვითარებისათვის, რისთვისაც მას „მწვანე კუნძულსაც“ უწოდებენ, მაგრამ ჰიდროთერმული კოეფიციენტის შიდატერიტორიულად დიდ ფარგლებში ცვალებადობა განსაზღვრავს ტყის ნაირგვარი ეკოსისტემების განვითარებას. დასავლეთ საქარე კალთებზე და სანაპირო ვაკეზე განვითარებულია ტენიანი შერეული ტყეები (გიგანტური ევკალიპტები, მარადმწვანე წიფლები, სამხრეთული წიწვიანები), რომელიც ხასიათდება თითქმის გადაუღალავი ქვეტყით. მისი მთავარი ელემენტია სხვადასხვა სახეობის გვიმრები. შიდა ვაკეებზე და ჩრდილო სანაპიროზე ნალექებო ნაკლები მოდის და ჰიდროფილურ შერეულ ტყეებს ცვლის მეზოფილური ევკალიპტის ტყეები. აღმოსავლეთ (მუსონურ) ოკეანურ სექტორში, სადაც ნალექები ყველაზე ნაკლები (500-600 მმ) მოდის და გამოიკვეთება უნალექო სეზონი (3-4 თვის ხანგრძლივობით), გავრცელებულია სავანებისაკენ გარდამავალი ევკალიპტის ტყეები.

ტყის ზონა სიმალით ვრცელდება 1100-1200 მ-მდე და არეალის ზედა ზოლში წარმოდგენილია ბუჩქნარი ეკალიპტებით. და ენდემური მარადმწვანე წიფლებით. ყველაზე მაღალ პლატოებზე ტყეებს სიმალით ცვლის მარცვლოვან-ნაირბალახოვანი ალპური მდელოები, სფაგნუსიანი ჭაობების კუნძულოვანი გავრცელებით.

ტასმანიის ტყეებში შემოგვრჩა ცხოველები, რომლებიც კონტინენტზე დიდი ხნის წინ გადაშენდნენ. მხედველობაშია ჩანთოსანი მტაცებლები: ჩანთოსანი მგელი და ჩანთოსანი ეშმაკი. პირველი ამჟამად გადაშენებულად ითვლება, ხოლო ჩანთოსანი ეშმაკის მცირე რიცხვი შემორჩა ყველაზე მიყრუებულ ადგილებში. კუნძულის სამხრეთ და დასავლეთ სანაპიროზე ბინადრობენ პინგვინები ანტარქტიკული ფაუნიდან.

ლანდშაფტის რეგიონული კონტრასტები ყველაზე ნათლად ჩანს ცენტრალურ და აღმოსავლურ პლატოებს და ჩრდილო სანაპირო ვაკესა და მიდლენდსის დაბლობს შორის.

ტასმანიის ბუნებრივი ლანდშაფტი ძლიერ სახეშეცვლილია, განსაკუთრებით ჩრდილო სანაპირო ვაკეზე, აღმოსავლეთ ნაწილში და შიდა მდინარისპირა დაბლობებზე, რომელიც მჭიდროდაა დასახლებული და ყოფილი ტყეები უკავია დამუშავებულ მიწებს (ბაღებს, ვენახებს, ხორბალს). მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამთამადნო რაიონებს.

ლანდშაფტს ბუნებრივი სახე შედარებით შენარჩუნებული აქვს დასავლეთ ციკაბო და ტყიან კალთებზე. მაღალი პლატოები ძირითადად გამოყენებულია საძოვრებად.

ოკეანეთი

ოკეანეთში განიხილება კუნძულთა ვრცელი დაჯგუფება წყნარი ოკეანის ცენტრალურ და სამხრეთ-დასავლეთ აკვატორიაში, რომელიც მასში შემავალი კუნძულების რაოდენობით და მათ მიერ დაკავებული აკვატორიის საერთო ფართობით უდიდესია გეოგრაფიულ გარსში. რაც შეეხება კუნძულთა ხმელეთის საერთო ფართობს (1,26 მილიონი კმ²), ამ მხრივ იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ცალ-ცალკე ადებულ კუნძულ გრენლანდიას (2,176 მილიონი კმ²) და მალაის არქიპელაგის კუნძულებს (დაახლოებით 2 მილიონი კმ²). ოკეანეთს, ბუნებრივი პირობების (რაშიც გეოგრაფიული მდებარეობა და დაკავებული აკვატორიის ფართობიც

იგულისხმება) და თანამედროვე ლანდშაფტების (ბუნებათსარგებლობის ხასიათის) თავისებურებათა საფუძველზე ზოგიერთი ავტორი დამოუკიდებელ ქვეყნის ნაწილად გამოყოფს. ჩვეულებრივ (მოქმედი სასწავლო პროგრამითაც), მას განიხილავენ ავსტრალიასთან ერთად ერთ ქვეყნის ნაწილად. ეს გამართლებულია, ალბათ, თუნდაც მათი საერთო კუნძულოვანი განვითარების ხასიათით და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ორგანული ბუნების მალალი ენდემიზმით და სახეობრივი სიღარიბით, აგრეთვე მათი გარკვეულწილად „ერთ სიბრტყეში“ მდებარეობით.

ოკეანეთის ბუნების ძირითად ნიშნებს განსაზღვრავს ხანგრძლივი კუნძულოვანი განვითარება და მეტწილად ცხელ სარტყელში მდებარეობა. იგი მოიცავს წარმოშობის მიხედვით ყველა ტიპის კუნძულებს — კონტინენტურს, ვულკანურს და მარჯნულს. დიდი უმრავლესობა მარჯნური და ვულკანური წარმოშობის წერილი კუნძულებია, რომლებიც დაჯგუფებულია ცალკეულ არქიპელაგებად. საერთოდ ფართობის ძირითადი ნაწილი კონტინენტური წარმოშობის მკირერიცხოვან კუნძულებზე მოდის. მარტო ახალი გვინეის და ახალი ზელანდიის წილად მოდის მთელი ფართობის დაახლოებით 80%.

ოკეანეთის კუნძულების გეოლოგიური განვითარების ისტორია და გეოლოგიური აგებულება მჭიდრო კავშირშია წყნარი ოკეანის ფსკერის გეოლოგიურ აგებულებასთან. ოკეანეთის სამხრეთდასავლეთი (შიდა) სარტყელი (მელანეზია, ახალი ზელანდია, ნაწილობრივ მიკრონეზია) ხასიათდება თანამედროვე გეოსინკლინური რეჟიმით, რაზედაც მეტყველებს ფსკერის ძლიერი დანაწევრება უდიდეს ღრმულებად და წყალქვეშა ქედებად, ინტენსიური სეისმური და ვულკანური პროცესებით. ამ სარტყლის (კონტინენტური წარმოშობის ყველა დიდი კუნძული მის ფარგლებშია) ამგებელი სტრუქტურების ჩამოყალიბებაში მთავარი როლი შეასრულა მეზოზოურმა და ალპურმა ოროგენეზისმა. წყნარი ოკეანის ცენტრალური ნაწილის ფსკერი წარმოადგენს ვაკეს, რომელსაც გადასერავს ტექტონიკური რღვევები, რომელთა გასწვრივ ადგილი აქვს აქტიურ ვულკანიზმს. ვულკანური კონუსების წყალზედა შევრილები წარმოქმნიან ვულკანურ კუნძულებს. მელანეზიისა და ახალი ზელანდიის კუნძულები ხასიათდებიან მთიანი რელიეფით, — კონტინენტური კუნძულების. პერიფერიაზე განვითარებულა სანაპირო ბორცვიანი ვაკე-დაბლობები. ყველაზე მრავალრიცხოვანია მარჯ-

ნული კუნძულები, რომლებიც ჩვეულებრივ წარმოადგენენ ერთი-დან შვიდ მეტრამდე სიმაღლის მარჯნულ ატოლებს. მარჯნული კუნძულები „აღმოცენებულია“ („დაშენებულია“) ტროპიკულ წყლებში მდებარე წყალქვეშა ვულკანური კონუსების, ქედების და, საერთოდ, წყალქვეშა ამალღებების თხემურ ნაწილში, ოკეანის დონის ევსტატიკური რყევადობის* შედეგად.

ოკეანეთის სასარგებლო წიაღისეულიდან სამრეწველო მნიშვნელობა აქვს ფერად ლითონებს, ოქროს, ნეთობს, ქრომიტებს.

ბავა ოკეანეთის კუნძულებზე ოკეანურია, მაგრამ საკმაოდ ნაირგვარი, რაც გამოწვეულია მათი განედური გავრცელების დიდი დიაპაზონით (ჩ. გ. 28°21'-დან ს. გ. 52°30'-მდე) და დიდ კუნძულებზე ძლიერ დანაწევრებული მთიანი რელიეფით. ძირითადი ნაწილი ცხელ სარტყელშია და ჰავაც ნოტიო ტროპიკულია, მხოლოდ დიდ კუნძულებზე, მთიანი რელიეფის პირობებში, თავს იჩენს მთების ბარიერული ფაქტორის (იქსპოზიციის) როლი. უთბილესი თვის საშუალო ტემპერატურა იცვლება 25°-დან (ჩ. გ. აგვისტო), 16°-მდე (ს. გ. თებერვალი), უცივესი თვის — პლუს 16°-დან (ჩ. გ. თებერვალი) პლუს 5°-მდე (ს. გ. აგვისტო). ცხელ სარტყელში საშუალო თვიური ტემპერატურა აიწევს 28°-მდე. დამახასიათებელია ტემპერატურის მცირე რყევადობა. ნალექების რაოდენობა ყველგან აღემატება 1000 მმ, ზოგან საქარე კალთებზე იგი აღწევს 7000-9000 მმ. აღმოსავლეთისაკენ და მაღალი განედებისაკენ ნალექი თანდათან კლებულობს. ეკვატორულ და ტროპიკულ განედებში ხშირი მოვლენაა ტაიფუნი.

დიდი კუნძულების ზედაპირი დანაწევრებულია უხეწყლიან მდინარეთა ხშირი ქსელით.

ნიადაგწარმოქმნელი ფაქტორების მრავალფეროვნება განსაზღვრავს ნიადაგის ნაირგვარი ტიპების (ყვითელმიწა და წითელმიწა ფერალიტური, წითელმიწა და ყვითელმიწა, წითელ-მურა, ტყის ყომრალი, მთა-მდელოს და სხვ.) ჩამოყალიბებას.

აგსტრალიის კონტინენტის ანალოგიურად (და კიდევ უფრო მეტად) ოკეანეთის კუნძულები გამოირჩევიან ორგანული სამყაროს მაღალი ენდემიზმით და სახეობრივი სიღარიბით. მცენარეთა სახეობების 80-90% ენდემურია. ცხელი სარტყლის დასავლეთ ოკეა-

* — გამოწვეულია ოკეანის წყლის ან ქვაბულის მოცულობის ცვალებადობით.

ნურ სექტორში (მელანეზია და მიკრონეზია) განვითარებულია ფლორისტულად შედარებით მდიდარი მარადმწვანე ნოტიო ტროპიკული ტყეები — ტროპიკული ჰილეა (პალმები, პანდანუსები, ბანანები, ბამბუკები, ხემაგვარი გვიმრები და სხვ.). აღმოსავლეთ, შედარებით მცირენალექიან სექტორში, ტყეები მხოლოდ საქარე კალთებზეა, ხოლო ქარხურგა კალთები უმეტესად უკავია ტინიან სავანას. მარჯნულ კუნძულებზე ფართოდ არის გავრცელებული ქოქოსის პალმა. ახალ ზელანდიაზე ენდემურ სახეობებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ფიჭვი კაური, კომბოსტოს ხე და სხვ.

ტყეები მეტწილად გაჩეხილია და მისი ადგილი უკავია ტროპიკულ კულტურებს — ქოქოსის პალმას, საგოს პალმას, პურის ხეს, მანგოს, ნესვის ხეს, ბანანებს, შაქრის ლერწმს, ანანასს (ანანასის მსოფლიო მოსავლის 90% იძლევა) და სხვ.

ოკეანეთის ფაუნა ძალიან ღარიბია, მაგრამ ხასიათდება მალაელი ენდემიზმით. შედარებით მდიდარია დიდი კუნძულები — პირველ რიგში, ახალი გვინეა, სადაც ბინადრობს კენგურუს რამოდენიმე სახეობა, ჩანთოსანი მაჩვი, იქედნე; ფრინველებიდან — კაზუარები, თუთიყუშები, კაკადუ, სამოთხის ფრინველი, ნაყოფჯამია მტრედი და სხვ. ოკეანეთის კუნძულები მოკლებულია ძუძუმწოვრებს (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ლამურებს, ერთეულ ჩანთოსნებს) და მტაცებლებს. ადგილობრივ ფაუნას დიდი ზიანი მიაყენა გარედან შეყვანილმა ცხოველებმა.

ლანდშაფტის რეგიონული ნაირგვარობა საფუძველს იძლევა ოკეანეთის კუნძულები დაჯგუფდეს ოთხ ძირითად რეგიონად (ფიზიკურ-გეოგრაფიულ ქვეყანად): მელანეზია, მიკრონეზია, ახალი ზელანდია და პოლინეზია.

მელანეზია (ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „შავკუნძულებს“) მოიცავს მეტწილად კონტინენტური და ვულკანური წარმოშობის კუნძულებს წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, როგორცაა ახალი გვინეა, ბისმარკის არქიპელაგი, სოლომონის კუნძულები, ახალი ჰებრიდი, ახალი კალედონია, ფიჯი და რიგი წვრილი კუნძულებისა. ფართობია 980 ათასი კმ². ცხოვრობენ ძირითადად პაპუასები და მელანეზიელები. მდებარეობს ალპურ გეოსინკლი-

ნურ ზონაში, რელიეფი შეტწილად მთიანია. თანამედროვე რელიეფი და კონფიგურაცია კუნძულებმა შეიძინეს მესამეულის დამლევის და მეოთხეულის ტექტონიკურ მოძრაობათა შედეგად. მესამეულში მატერიკული კუნძულები დაკავშირებულნი იყვნენ ერთმანეთთან და ავსტრალიასთან, მალაის არქიპელაგთან და ახალ ზელანდიასთან, რამაც განაპირობა ფლორისა და ფაუნის ბევრი საერთო სახეობა. ლანდშაფტურად განსხვავებულია ჩრდილოეთი მელანეზია (ახალი გვინეა, ბისმარკის არქიპელაგი, სოლომონის და სხვა წვრილი კუნძულები) და სამხრეთი მელანეზია (მისგან სამხრეთით მდებარე სხვა კუნძულები). ჩრდილოეთ მელანეზიაში ეკვატორული ჰავა (თანაბრად ცხელი და ტენიანი) და ტენიანი მარადმწვანე ტყეებია გაბატონებული, სამხრეთ მელანეზიაში ცხელი და ცვალებადტენიანი სუბეკვატორული ჰავაა, საქარე კალთებზე პილეს ტიპის ლანდშაფტით, ქარზურგაზე — სავანური.

კუნძული ახალი გვინეა მელანეზიის და მთლიანად ოკეანეთის უდიდესი კუნძულია, ფართობით (829300 კმ²) პლანეტაზე მეორეა. ავსტრალიასთან სახმელეთო კავშირი გაწყდა მხოლოდ მეოთხეულში 150 კმ სივანის და 30 მ სიღრმის ტორესის სრუტის წარმოქმნით. მისი რელიეფი მრავალფეროვანია. ჩრდილოეთი და ცენტრალური ნაწილი გეოსინკლინურ-მთიანია. შუა ნაწილზე ჩრდილოდასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მთელ კუნძულზე გადაჭიმულია ცენტრალური მთების სარტყელი. მისი თხემიდან აღმართებიან 3000-4000 მ სიმაღლის მწვერვალები, უმაღლესია (მთელ ოკეანეთში) ჭაიას პიკი (5029 მ) შაოკეს მთებში. ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს გასდევს შედარებით დაბალი სანაპირო მთების ზონა, რომელიც ცენტრალური მთებისაგან გამოყოფილია ტექტონიკური ღრმულების ზოლით. კუნძულის სამხრეთ-დასავლეთი, მკვეთრად შევიწროებული ნაწილი, უკავია ბაქნურ (ავსტრალიის ბაქნის გაგრძელება) ბრტყელ, ძლიერ დაჭაობებულ დაბლობს, 100 მ ნაკლები სიმაღლით.

ახალი გვინეის ძირითადი ნაწილი ეკვატორულ სარტყელშია და ხასიათდება თანაბრად ცხელი და ტენიანი ჰავით. სანაპირო ვაკეებზე და დაბალმთიან ზონაში საშუალო თვიური ტემპერატურები 25-28° ფარგლებშია. ნალექების განაწილებაზე დიდ გავლენას ახდენს ექსპოზიცია. ჩრდილო-აღმოსავლეთ (საქარე) კალთებზე საშუალოდ 4000 მმ მეტი ნალექი მოდის, ზოგან იგი 6000 მმ აღემატება. უხვი ნალექები და თოვლის ხაზის დაბალი მდებარეობა

(საშუალოდ 4400 მ) ცენტრალურ მთაგრებილზე ხელსაყრელ პირობებს ქმნის თანამედროვე გამყინვარებისათვის.

სამხრეთ ვაკეზე ცხელი და ცვალებადტენიანი ჰავაა. ნალექების რაოდენობა 1000 მმ არ აღემატება, ზამთარი მშრალი სეზონია.

რელიეფი და ჰავა ხელსაყრელია უხვწყლიან მდინარეთა ხშირი ქსელის განვითარებისათვის. ყველაზე გრძელია (620 კმ) ფლაი, რომელიც კვეთს სამხრეთ ვაკეს და სანაოსნოა.

ახალი გვინეის ფლორა გამოირჩევა სიმდიდრით და მაღალი ენდემიზმით. სიმდიდრე განსაზღვრა ახლო გეოლოგიურ წარსულში მისმა საკვანძო ფლორისტულმა მდებარეობამ აზიური, მალაიზიური, პოლინეზიური, ავსტრალიური და ანტარქტიკული ფლორების მიჯნაზე, ხოლო მაღალი ენდემიზმი დაკავშირებულია ქვედა მეოთხეულის შემდგომ პერიოდში მის კუნძულოვან განვითარებასთან. კუნძულის მცენარეთა 6872 სახეობიდან 85% ენდემურია. ნიადაგ-მცენარეული საფარის ტიპები და მთლიანად ლანდშაფტები იცვლება ფერდობების ექსპოზიციის და ადგილის სიმაღლის მიხედვით. მთების კალთებზე 1000 მ-მდე ხარობს ტენიანი ეკვატორული ტყეები წითელმიწა, ყვითელმიწა ფერალიტურ ნიადაგებზე; სიმაღლით მას ცვლის მთის ჰილეა, რომელიც ვრცელდება 3500-3800 მ-მდე. მას მოსდევს სუბალპური მდელო-ბუჩქნარი, ალპურ მდელოთა ზონები და ბოლოს — ნივალური ზონა. ბრტყელი სანაპიროების გასწვრივ გვხვდება ხშირი მანგროვიანი ბარდები, სამხრეთ ვაკეზე მდინარეთა გასწვრივ განვითარებულია ქალის ტყეები, მეტწილად საგოს პალმისაგან. წყალგამყოფები (ვაკეზე) სავანებს უკავია. მნიშვნელოვანი არეალი გააჩნია ჭაობებს. ფაუნისტურადაც ახალი გვინეა ოკეანეთის ფარგლებში ყველაზე მდიდარია და ჰგავს ავსტრალიას. საშუალო და მაღალმთიან ზონებში ლანდშაფტს ბუნებრივი სახე შენარჩუნებული აქვს. სანაპირო ვაკეებზე (მათ შორის მიკლუხო-მაკლასის სანაპიროზე) და სამხრეთ ვაკეზე ბუნებრივი ლანდშაფტი ძლიერ არის შევიწროებული ტროპიკული კულტურების პლანტაციების მიერ (ქოქოსის პალმა, კაკაო, ყავა, კაუჩუკოსნები, ბანანი, შაქრის ლერწამი, საგოს პალმა, აგრეთვე სიმინდი და სხვ.). მნიშვნელოვან ნაწილზე სავანა მეორადია.

ახალი გვინეის ბუნება მეტნაკლები ტიპურობით გამოხატავს მთლიანად პოლინეზიის, განსაკუთრებით კი ჩრდილო სარტყლის, ბუნებას.

მკვიდრი მოსახლეობა პაპუასები და მელანეზიელებია, მოსული მოსახლეობა — აზიელები და მცირერიცხოვანი ევროპელები. დასავლეთი ნაწილი — ირიანის პროვინცია ინდონეზიას განეკუთვნება, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილზე პაპუა-ახალი გვინეის სახელმწიფოა.

ახალი ზელანდია. მისი ბუნების ძირითად ნიშნებს განსაზღვრავს სუბტროპიკული და ზომიერი სარტყლების მიჯნაზე მდებარეობა და ხანგრძლივ დროში კუნძულოვანი განვითარება. მნიშვნელოვანი ფაქტორია რელიეფის განვითარების ნეოტექტონიკური ეტაპი. იგი შედგება ორი დიდი კუნძულისაგან (ჩრდილოეთი და სამხრეთი), რომლებიც გაყოფილია კუკის სრუტით და მიმდებარე წვირილი კუნძულებისაგან, რომელთაგან ყველაზე დიდია სტიუარტი. მისი მთლიანი ფართობი შეადგენს 268,7 ათას კმ².

ახალი ზელანდია კაპიტალისტური სახელმწიფოა, რომელიც შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მოსულია გარედან (ინგლისელები, შოტლანდიელები, ირლანდიელები), მკვიდრი (აბორიგენი) მოსახლეობა მარცხდება, რომლებიც შეადგენენ მხოლოდ 8%. სახელმწიფო ენა ინგლისურია.

ახალი ზელანდია მდებარეობს კუნძულთა რკალის სამხრეთ დაბოლოებაზე. იგი იწყება ახალი გვინეით და ახალი ზელანდიის სამხრეთით, ანტარქტიდისაკენ, გრძელდება წყალქვეშა ამალლების სახით.

რელიეფი მთავორიანია, გაცილებით უფრო მაღალმთიანია სამხრეთი კუნძული (ფართობი 150 ათასი კმ²). მის დასავლეთ პერიფერიაზე აღმართულია სამხრეთი ანუ ახალ ზელანდიის ალპები, სადაც მდებარეობს უმაღლესი მწვერვალი კუკი (3764 მ), ტიპური ალპური რელიეფით, რომელიც ნათლად ატარებს ძველი გამყინვარების კვალს, მრავალრიცხოვანი ტბებით. კუნძულის დანარჩენი ნაწილი წარმოადგენს ბორცვიან კრისტალურ ოტაგოს პლატოს (პენეპლენს), გამონაკლისია აღმოსავლეთი, კენტერბერიის სანაპირო ვაკე, რომელიც აგებულია ახალგაზრდა ალუვიური ნაფენებით. დასავლეთი სანაპირო სუსტადაა დანაწევრებული. შედარებით ძლიერაა დანაწევრებული სამხრეთ-დასავლეთი (ფიორდებით) და ჩრდილო სანაპირო. ჩრდილოეთიდან ღრმად იჭრება ტასმანიის ყურე.

ჩრდილოეთი კუნძული (115 ათასი კმ²) აგებულია მეზოკაინოზოური ასაკის დანალექებით, აგრეთვე ვულკანური ქანებით (ცენ-

ტრალური და ჩრდილოეთი ნაწილი). ჩრდილო-დასავლეთის მკვეთრად შევიწროებული და ძლიერ წაგრძელებული დაბოლოება წარმოქმნის ოკლენდის ნახევარკუნძულს, რომელიც წარმოადგენს მასა და კუნძულ ახალ კალედონიას შორის მდებარე წყალქვეშა ქედის წყალზე და გაგრძელებას. კუნძულის ძირითადი ფორმები პლატოებია, რომლებიც საფეხურით ეშვებიან განიერ ბორცვიან სანაპირო ვაკე-დაბლობზე. კუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ პერიფერიასზე გადაჭიმულია რუახინეს საშუალო სიმაღლის ქედი (მაქსიმალური სიმაღლე 1750 მ). ცენტრალური ნაწილი უკავია ვულკანურ პლატოს (საშუალო სიმაღლე 600 მ), რომლის მერიდიანული მიმართულების რღვევის გასწვრივ აღმართულია მთელი რიგი ჩამქრალი და მოქმედი ვულკანები, რომელთაგან უმაღლესია (მთელ ჩრდილო კუნძულზე) მოქმედი ვულკანი რუაპეხუ (2796 მ). კუნძულის ძლიერ ტექტონიკურ მობილურობაზე მეტყველებს თანამედროვე ვულკანიზმი და აქტიური სეისმური პროცესები. ახალი ზელანდია გეიზერებისა და თერმული წყაროების ქვეყანაა, ამ მხრივ მას შეიძლება შეედაროს მხოლოდ ისლანდია.

ახალი ზელანდიის ჰავა მრავალფეროვანია, რაც გამოწვეულია მისი სუბტროპიკულ და ზომიერ სარტყლებში მდებარეობით და ძლიერ დანაწევრებული მთიანი რელიეფით. რეგიონის ძირითადი ნაწილი (სამხრეთი კუნძული და ჩრდილო კუნძულის სამხრეთი ნაწილი) ზომიერ სარტყელშია; ჩრდილოეთი კუნძულის ძირითადი ნაწილი — სუბტროპიკულში.

ჰაერის მასებიდან ახალი ზელანდიის ჰავის ჩამოყალიბებაში მთავარ როლს ასრულებს ციკლონური ხასიათის დასავლეთის ქარები, რომლის გავლენით ძირითად ნაწილზე მშრალი სეზონი არ გამოიყოფა, მაგრამ ნალექების მაქსიმუმი ყველგან ზამთარშია. გამონაკლისია ჩრდილოეთი ნაწილი, განსაკუთრებით ოკლენდის ნახევარკუნძული, სადაც პასატის გავლენით ზაფხული მშრალია; მაგრამ პერიოდულად კუნძულს გადაუვლის ტაიფუნი, რომელსაც ახლავს ძლიერი თაესხმა წვიმა და ქარი. ნალექების შიდა ტერიტორიულ განაწილებაში მთავარ როლს ასრულებს რელიეფი, განსაკუთრებით ექსპოზიცია. დასავლეთ სანაპიროზე და საქარე კალთებზე ზოგან ნალექების რაოდენობა 5000 მმ აღწევს (საშუალოდ 2000 მმ), ქარზურგა კალთებზე და სანაპირო ვაკეზე იგი კლებულობს 700-500 მმ-მდე. უკიდურეს სამხრეთში მაღალმთიან ზონაში ზამთარში ნალექი თოვლის სახით მოდის. ზამთარი რბილია (უცი-

ვესი თვის, ივლისის საშუალო ტემპერატურა განედის მიხედვით პლუს 12—5° ფარგლებში იცვლება), ზაფხული ჩრდილოეთში თბილია, სამხრეთში — გრილი (პლუს 19-14°). სიმაღლით უცივესი თვის საშუალო ტემპერატურა ეცემა მინუს 2-5°-მდე.

რელიეფი და ჰავა ხელსაყრელია უხვწყლიანი და ხშირი ჰიდროგრაფიული ქსელის განვითარებისათვის. მდინარეები მოკლეა (არაუმეტეს 350 კმ), მაგრამ უხვწყლიანია, დონეების მცირე რყევადობით. გამონაკლისია კენტერბერის ვაკის მდინარეები, რომელთაც წვიმებისა და თოვლის ინტენსიური დნობის (ფიონებით გამოწვეული) შედეგად ახასიათებთ მეურნეობისა და გარემოსათვის საზიანო წყალდიდობა. ყველაზე დიდი მდინარეებიდან აღსანიშნავია, ჩრდილო კუნძულზე, უაიკატო (350 კმ), ვანგანუი (224 კმ) და სხვ., სამხრეთ კუნძულზე — კლუტა (336 კმ), — უაიტაკი (216 კმ) და სხვ. ახალი ზელანდიის ტერიტორიაზე ხშირი ტბებია ვულკანური, ტექტონიკური და მყინვარული წარმოშობის. მათგან ყველაზე დიდია ტაუპო (ფართობი 612 კმ², სიღრმე 102 მ), ჩრდილო კუნძულის ცენტრალურ ვულკანურ პლატოზე. ტბების სიხშირით განსაკუთრებით გამოირჩევა სამხრეთი ალპები (სამხრეთ კუნძულზე), სადაც ტბიური ქვაბულები წარმოქმნილია ტექტონიკურ-მყინვარული ხეობების გაგანიერებულ მონაკვეთებზე, რის გამოც გამოირჩევიან მნიშვნელოვანი სიღრმით. შიდა წყლებისა და მთლიანად ახალზელანდიური ლანდშაფტის უნიკალური ელემენტი ახალი გეიზერები და თერმული წყლები, აგრეთვე თანამედროვე გამყინვარება (დაახლოებით 1000 კმ²) სამხრეთ ალპებში.

ბუნებრივ პირობებში თითქმის მთელი ზელანდია ტყეებს ეკავა. მცენარეულობას ახასიათებს მაღალი ენდემიზმი (80%-მდე), რასთანაც შეხამებულია ავსტრალიური და ანტარქტიკული ფლორების ელემენტები. ჩრდილო კუნძულზე განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალზელანდიური ენდემური ფიჭვი — კაურისგან შექმნილ ტყე კუნძულის ჩრდილო ნაწილში. იგი 3 მ-მდე დიამეტრის და 60 მ-მდე სიმაღლის ხეა, რომლის მაგარი მერქანი განსაკუთრებით ძვირად ფასობს გემთშენებლობაში. ახალი ზელანდიის ძირითად ნაწილზე დამახასიათებელია ძველი რელიქტური მარადმწვანე ტყეები, რომელიც ფლორისტული შემადგენლობით ყველაზე უფრო გავს სამხრეთ ამერიკის ანტარქტიკულ ფლორას. ტყეშემქმნელა ჯიშებიდან მასში აღსანიშნავია სამხრეთული წიწვიანები — პოდოკარპუსები, არაუკარიები, ლიბოცედრუსები, ფიჭვის ენდემური სა-

ხეობები (წითელი, თეთრი, ყვითელი), მარადმწვანე სამხრეთული წიფელი, თვით პალმის რიგი სახეობებიც. ტყეებს ტროპიკულ იერს ანიჭებს და ძნელად გადასალახს ხდის ხეგვიმრებისაგან შექმნილი ხშირი ქვეტყე, ლიანების, ეპიფიტების, მლიერებისა და ხავსების ხშირი სამოსით.

ტყეები გაღარიბება-გამეჩხერებას განიცდიან ქარზურგა კალთებისაკენ და სიმაღლით. აღმოსავლეთ კალთებზე და მიმდებარე სანაპირო ვაკეებზე (განსაკუთრებით კენტერბერის) ტყეებს ცვლის ბუჩქნარები და მდელი მარცლოვანი და ნაირბალახოვანი მცენარეულობით, რომელიც ადგილობრივ იწოდება სტეპებად. დიდი ფართობები უკავია ჭაობებს, რომლის მცენარეულობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძვირფასბოქოვანი ენდემური მცენარე ახალზელანდიური სელი. ნოტიო მარადმწვანე ტყეები სამხრეთ კუნძულზე და ჩრდილო კუნძულის სამხრეთში სიმაღლით ვრცელდება 1000-1400 მ-მდე. უფრო მაღლა და ჩრდილოეთით ტყეები სახეობრივად უფრო გაღარიბებული და გამეჩხერებულია, მარადმწვანე ხეებს ცვლის ფოთოლცვენია ხეები და ბუჩქნარები, რომელთაც სიმაღლით ცვლის სუბალპური ტყე-ბუჩქნარ-მდელოს და ალპურ მდელოთა ზონები.

კიდევ უფრო მეტი თავისებურებით გამოირჩევა ახალი ზელანდიის ფაუნა, რომელიც ძუძუმწოვრებს (მათ შორის მტაცებლებს) მთლიანად მოკლებულია. იგივე ითქმის გველებზე, კუზე, ნიანგზე. ფრინველთა ყველა სახეობა (250) ენდემურია. მათ შორის ბევრი უფროთა, რომელთაგან აღსანიშნავია კივი.

ვერობელებმა კუნძულებზე შეიყვანეს 54-მდე სხვადასხვა სახეობის ცხოველი, რომელთა უმეტესობა სწრაფად გამრავლდა, გაველურდა და ნამდვილ რისხვად მოველინა ადგილობრივ ცხოველებს, აგრეთვე ტყეებსა და სასოფლო-სამეურნეო საეარგულებს. მათ რიცხვს, გარდა ყველაზე მავნე ბოცვერის, აგრეთვე ზოგიერთი ავსტრალიური ჩანთოსნების, შეიძლება მიეკუთვნოს საერთოდ ფაუნის, მთლიანად ლანდშაფტის ისეთი უნიკალური და თავისთავად კეთილშობილი ბინადრები, როგორცაა: არჩვი, მთის თხა, კეთილშობილი ირემი და სხვ., რომლებიც კუნძულებზე შეიყვანეს როგორც სამონადირეო ცხოველები.

ადგილობრივ ფრინველებს დიდ ზიანს აყენებენ ინტროდუცირებული პატარა მტაცებლები, განსაკუთრებით — გაველურებული კატა. ინტროდუცირებულ ცხოველებს შორის გამოირჩევა ცხვარი,

რომელიც გახდა თანამედროვე ლანდშაფტის სიმბოლური ელემენტი.

ახალი ზელანდიის ბუნებრივი ლანდშაფტები ძლიერ სახე-შეცვლილია, ტყეების მეტი ნაწილი გაჩეხილია, მდელი-საძოვრები, რომელსაც უკავია ტერიტორიის დაახლოებით ნახევარი (სა.სოფლო-სამეურნეო სავარგულების 90%-ზე მეტი), მეტწილად მეორადია. კულტურული მცენარეები და შინაური (აგრეთვე ბევრი გაველურებული) ცხოველები მთლიანად ინტროდუცირებულია. თანამედროვე ლანდშაფტების ფონის შემქმნელია საძოვრული მეცხოველეობა.

მიკრონეზია* მოიცავს დაახლოებით 1500-მდე წვრილ ოკეანურ კუნძულს (მთლიანად ფართობი 2622 კმ²). კუნძულები არქიპელაგებისა (მარიანის, კალჰანის, ოგასავარის, კაროლინის, მარშალის, გილბერტის) და ცალკეული კუნძულების (ოშენი, ნაურუ და სხვ.) სახით მიმოფანტულია წყნარი ოკეანის დასავლეთ სექტორის ვრცელ აკვატორიაში. უმეტესობა მარჯნულია, დანარჩენი — ვულკანური. კუნძულებიდან ყველაზე დიდია გუაში (583 კმ²) მარიანის კუნძულებში. კუნძულები მცირე გამონაკლისის გარდა, მთლიანად ცხელ სარტყელშია, ეკვატორიდან ჩრდილოეთით.

მკვიდრი მოსახლეობა მიკრონეზიელებია: მათ გარდა ცხოვრობენ ამერიკელები, ინგლისელები, ფილიპინელები, ჩინელები და სხვ. კუნძულთა მნიშვნელოვანი ნაწილი კაპიტალისტური სახელმწიფოების (აშშ, ინგლისის და სხვ.) სამფლობელოებია, ზოგიერთა (მაგ. კ. ნაურუ) დამოუკიდებელი სახელმწიფოა. მიკრონეზია მდებარეობს თანამედროვე გეოსინკლინის ფარგლებში, ძლიერ მობილურ ოკეანურ ქერქზე, რომელიც ძლიერ არის დანაწევრებული. ოკეანური ღრმულებით (მარიანის ღრმული უდიდესია მსოფლიო ოკეანეში — 11022 მ) და წყალქვეშა ქედებით.

კუნძულების რელიეფი მთიანია (არა ტიპური). მათი სიმაღლეთი-ორი მეტრიდან (მარჯნის ატოლები) რამოდენიმე ასეულ მეტრამდეა. სანაპიროები შემოფარგლულია მარჯნული რიფებით, რომლებიც ძლიერ აბრკოლებენ ნაოსნობას.

ცხელი სარტყლის გაშლილ ოკეანეში მდებარეობა და წვრილ-კუნძულოვნება განსაზღვრავს ტროპიკული ოკეანური ჰავის ჩამოყალიბებას, ტემპერატურების განსაკუთრებით თანაბარი რიტმი

* — უცხო სიტყვაა და ნიშნავს წვრილ კუნძულებს.

(20-28°) და უხვი და სეზონურად თანაბარი ნალექებით. საშუალო წლიური ჯამები 1500-3000 მმ ფარგლებშია, საქარე კალთებზე (ჩრდილო-აღმოსავლეთი პასატის მიმართ) ზოგან 6000 მმ აღწევს. ხშირია ტროპიკული ციკლონები (კაროლინის კუნძულები მისი ჩასახვის რაიონია), რომელსაც ახლავს განსაკუთრებით თავსხმა წვიმები და გრიგალისებური ქარი.

მცენარეულობა სახეობრივად ღარიბია. წარსულში ვულკანური კუნძულები თითქმის მთლიანად დაფარული იყო მარადმწვანე ნოტიო ტროპიკული ტყეებით (პალმები, პანდანუსები, პურის ხე, პოლინეზიური „რკინის“ ხე და სხვ.).

ამჟამად ტყეები, სადაც კი რელიეფი ხელსაყრელია მიწათსარგებლობისათვის, თითქმის ყველგან გაჩეხილია და მისი ადგილი უკავია ტროპიკულ კულტურებს (ქოქოსის პალმა, ბანანი, შაქრის ლერწამი, ციტრუსები და სხვ.). თანამედროვე მარცვლოვანი სავანური ლანდშაფტი ქარზურგა კალთებზე მეორადი მოვლენა უნდა იყოს. მარჯნულ კუნძულებზე ქოქოსის პალმა და ზოგიერთი ბუჩქნარია. შიდა ლაგუნების სანაპირო ზოლში განვითარებულია მანგროს ბარდები.

პოლინეზიას* უკავია წყნარი ოკეანის ყველაზე ვრცელი ცენტრალური აკვატორიის მრავალრიცხოვანი ვულკანური და მარჯნული კუნძულები ჩრდილო და სამხრეთ განედების დაახლოებით 30° პარალელებს და 180° და დ. გ. 109°20' მერიდიანებს შორის. იგი აერთიანებს მრავალ არქიპელაგს (ჰავაის, კუკის, ლაინის ანუ ცენტრალური პოლინეზიის, მარკიზის, საზოგადოების, ფენიქსის და ტოკელაუს, სამოას, ფიჯის, ტონგის, ტუამოტუს და სხვ.) და მრავალრიცხოვან ცალკეულ კუნძულებს. პოლინეზიის ხმელეთის მთლიანი ფართობი დაახლოებით 26000 კმ².

კუნძულთა უმეტესობა კაპიტალისტური სახელმწიფოების (აშშ, დიდი ბრიტანეთის, აგრეთვე საფრანგეთის, ახალი ზელანდიის) სამფლობელოებია. ზოგიერთი მათგანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა (ტონგის, ტუვალუს, დასავლეთი სამოა და სხვ.). ჰავაის კუნძულები აშშ 50-ე შტატია.

პოლინეზიის ნოტიო ტროპიკული ოკეანური ბუნების საერთო ნიშნების ფონზე რეგიონული განსხვავებაა ჩრდილოეთ პოლინეზიას და ცენტრალურ და სამხრეთ პოლინეზიას შორის.

* — ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს მრავალ კუნძულს.

ჩრდილოეთი პოლინეზია მოიცავს ჰავაის კუნძულებს, რომელიც პოლინეზიაში შემავალ არქიპელაგებს შორის ყველაზე დიდია. მასზე მოდის მთლიანი ფართობის ნახევარზე მეტი (16,7 ათასი კმ²). მის ლანდშაფტებში შერწყმულია პოლინეზიის ბუნების ძირითადი ნიშნები. ტიპური ოკეანური ვულკანური კუნძულებია, რომელთა არქიპელაგი ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გადაჭიმულია 2500 კმ-ზე და წარმოადგენენ მსოფლიოში უდიდესი ჰავაის წყალქვეშა ვულკანური ქედის (რომლის სიგრძე 6500 კმ აღემატება) უმაღლეს მწვერვალებს. მათი აბსოლუტური (ჯამური) სიმაღლე 6000-9000 მ ფარგლებშია (ფსკერიდან ოკეანის ზედაპირამდე საშუალოდ 5000 მ, ხოლო მის ზემოთ, ხილული სიმაღლე 1000—4200 მ ფარგლებში იცვლება). არქიპელაგი აერთიანებს 24 კუნძულს. ამათგან ყველაზე დიდ ექვს კუნძულზე (ჰავაი, მაუი, ოაჰუ, კაუაი, მოლოკაი და ლანაი) მოდის მთლიანი ფართობის 97% მეტი. ყველაზე დიდია ჰავაი, რომელსაც უკავია არქიპელაგის მთლიანი ხმელეთის ნახევარზე მეტი (10399 კმ²). იგი წარმოქმნილია ხუთი ვულკანის შერწყმით, რომელთაგან მაუნა-ლოა (4170 მ) და კილაუეა (1247 მ) დღემდე ავლენენ აქტიურ მოქმედებას, ხოლო არქიპელაგის დანარჩენი ვულკანები და მათ შორის უმაღლესი კონუსი — მაუნა-კეა (4205 მ) ჩამქრალია. მოქმედ ვულკანებს გააჩნიათ განიერი ბრტყელფსკერიანი კრატერები შადრევნული ლავისაგან წარმოქმნილი ტბებით, საიდანაც თხევადი ბაზალტური ლავა იღვრება კალთებზე, თავის გზაზე სპობს ცოცხალ ბუნებას და გაცივების შემდეგ წარმოქმნის ლავურ განფენებს. იქ, სადაც ვულკანური ლავის განახლება შეწყვეტილია, ცხელი და ტენიანი ჰავის პირობებში ადგილი აქვს ინტენსიურ გამოფიტვას (განსაკუთრებით ქიმიურს) და ბაზალტური ქანების გამოფიტვის ქერქზე წარმოიქმნება ნაყოფიერი მიწები და ვითარდება მცენარეულობა.

ჰავაის კუნძულებს ჩრდილო ტროპიკი თითქმის შუაზე კვეთს, რის გამოც ჰავა ზოგადად ნოტიო ტროპიკულია, ტემპერატურების უმნიშვნელო რყევადობით. მაგრამ ნალექების განაწილებაზე მთიან (ვულკანურ) კუნძულებზე დიდ გავლენას ახდენს ფერდობების ექსპოზიცია. ნალექების ძირითადი წყაროა ჩრდილო-აღმოსავლეთი პასატი, რომელიც საქარე კალთებზე განსაზღვრავს უხვ ნალექებს (500-დან 12000 მმ-მდე). ქარზურგა კალთებზე ნალექები ბევრად უფრო ნაკლები მოდის, დაბალმთიან ზონაში და დაბალ (მარჯნულ) კუნძულებზე, წლიური ნალექები 1000 მმ-ზე ნაკლებია. ტენის

ნაკლებობას კიდევ უფრო აძლიერებს ფიონური ქარები. სიმაღლით ნალექების რაოდენობა სწრაფად მატულობს. ჰავის კუნძულების ფლორა გამოირჩევა მაღალი ენდემიზმით (90% მეტი) და სახეობათა სიღარიბით. მნიშვნელოვანი თავისებურების გამო იგი პალეოტროპიკული ფლორისტული ოლქის ფარგლებში გამოიყოფა განსაკუთრებულ — ჰავის ქვეოლქად.

ბუნებრივი მცენარეულობა ვულკანური კუნძულების საქარე კალთებზე წარმოდგენილია ნოტიო ტროპიკული ტყეების ნაირგვარი სპექტრით სიმაღლის მიხედვით: ქვედა სარტყელში (600-700 მ-მდე) ცვალებადტენიანი შერეული ტყეების ზონაა, მარადმწვანე და ფოთოლცვენია ხეების მონაწილეობით. შუა სარტყელში (1200-1500 მ-მდე) განვითარებულია ფლორისტულად ყველაზე მდიდარი მარადმწვანე ნოტიო ტროპიკული ტყეები, რომელსაც სიმაღლით ცვლის ტროპიკული მთის პილეა. საშუალოდ 3000 მ-დან მაღალმთის მდელო-ბუჩქნარი მცენარეულობაა (გვიმრები, ქსეროფიტული ბუჩქები, რთულყვავილიანები და ქსეროფიტული მარცვლოვნები). ქარბურგა კალთების ქვედა სარტყელი უკავია სავანებს, რომელიც მეტწილად მეორადი უნდა იყოს, ხოლო მარჯნულ კუნძულებზე დომინირებულია ქოქოსის პალმა, ქსეროფიტული ბუჩქები და ხეში მარცვლოვნები. ხშირია კლდოვანი კუნძულები, რომლებიც მცენარეულობას მთლიანად მოკლებულია. ტყეებზე მეტწილად გაჩეხილია (განსაკუთრებით ქვედა და შუა სარტყელში) ტროპიკული კულტურების პლანტაციების გასაფართოებლად და ძვირფასი მერქნისათვის.

ცხოველთა სამყარო საერთოდ ღარიბია, მაგრამ ოკეანეთის ფარგლებში გამოირჩევა ორნიტოფაუნის სიმდიდრით.

ჰავის კუნძულების თანამედროვე ორგანული სამყაროს (და მთლიანად ლანდშაფტს) ძლიერი დაღი (მეტწილად უარყოფითი) დაასვა სხვადასხვა ქვეყნის ნაწილებიდან ინტროდუცირებულმა მცენარეებმა და ცხოველებმა, რომელთაც მკვეთრად შეავიწროვეს ფლორისა და ფაუნის ადგილობრივი ელემენტები. მცენარეებიდან განსაკუთრებით საზიანოა სარეველების გავრცელება, ხოლო ცხოველებიდან განსაკუთრებით სწრაფად მომრავლდნენ: ბოცვერი, კატა, ვირთხა და სხვ.

ცენტრალურ და სამხრეთ პოლინეზიაში შემავალი კუნძულები თითქმის მთლიანად სამხრეთ ნახევარსფეროს ეკვატორულ და სუბ-ეკვატორულ სარტყლებშია გავრცელებული (მიკრონეზიისა და ფი-

ჯის კუნძულებიდან აღმოსავლეთით). ჩრდილო ეკვატორულში ხვდება მხოლოდ ლაინის ჩრდილო კუნძულები, ხოლო სამხრეთ ტროპიკის სამხრეთით ხვდება მხოლოდ ცალკეული კუნძულები (რაპა, დოუსი, ხენდერსონი და სხვ.). მისი ბუნების ძირითად ნიშნებს (ცხელი და ტენიანი ოკეანური ჰავა და ფლორისტულად და ფაუნისტურად ძლიერ ღარიბი ტროპიკული ტყეები) განსაზღვრავს მისი წვრილკუნძულოვნება და გავრცელება ცხელ სარტყელში, ხმელეთის მასივებიდან (კონტინენტებიდან და დიდი კუნძულებიდან) ყველაზე ძლიერი დაშორებით, ყველაზე ვრცელ აკვატორიაში (30 მილიონ კმ² მეტი). ხმელეთის ძირითადი ნაწილი ვულკანურ კუნძულებზე მოდის, მაგრამ სიმრავლით გაცილებით მეტია მარჯნული (მათ შორის ატოლები) კუნძულები. უმთავრესი არქიპელაგებიდან აღსანიშნავია — ლაინის, მარკიზის, კუკის, საზოგადოების, ტუამოტუს, ტონგოს და სხვ. ვულკანური კუნძულები აგებულია ბაზალტური ლავით, რომლისგანაც ცალკეულ კუნძულებზე წარმოქმნილია 1000-2000 მ სიმაღლის ფართო და დამრეცკალთებიან ვულკანური კონუსები.

ჰავა ტროპიკულ ოკეანურია, მთელი წელი უხვი ნალექებით (ძირითადი წყარო სამხრეთ-აღმოსავლეთი პასატი და ოკეანური ჰაერის მასებია) და ტემპერატურების უმნიშვნელო რყევადობით. პიდროთერმული პირობების მხრივ ყველაზე დიდ კუნძულებზე მნიშვნელოვანი კონტრასტები იქმნება საქარე და ქარზურგა კალთებზე. საქარე კალთებზე ნალექების რაოდენობა აღწევს 5000 მმ, ხოლო ქარზურგაზე — არაუმეტეს 1500 მმ. ვულკანურ კუნძულებზე ბუნებრივი მცენარეულობა წარმოდგენილია ფლორისტულად ძლიერ ღარიბი ტროპიკული ტყეების და ბუჩქნარების სხვადასხვა ტიპებით. საქარე კალთებზე შედარებით მდიდარი, პიდროფილური, ხოლო ქარზურგა კალთებზე — მეზოფილური, შედარებით ქსეროფიტული იერით, სავანების (მეტწილად მეორადი) ლაქებით.

მარჯნული კუნძულების ბუნება გაცილებით უფრო ფერმკრთალია, ზედაპირულ ჩამონადენს მოკლებული, ძლიერ გადარიბებული მცენარეულობით და ფაუნით. მცენარეულობა ძირითადად ქოქოსის პალმითაა წარმოდგენილი.

ბუნებრივი ლანდშაფტი არსებითად სახეშეცვლილია. ტყეების ბუნებრივი არეალი მეტწილად უკავია ტროპიკული კულტურების პლანტაციებს.

ლიტერატურა

ძირითადი:

- Власова Т. В. — Физическая география материков (с прилегающими частями океанов), ч. 2. М., 1986.
Мухин Г. И. — Австралия и Океания. М., 1967.
Мухин Г. И., Потёмкин М. П. — Австралия, М., 1956.
Потёмкин М. П. — Австралия, М., 1950.
Физическая география материков и океанов. Под общей редакцией А. М. Рябчикова. М., 1988.

დამატებითი ლიტერატურა საკურსო შრომებისათვის:

- Австралия и Океания. Антарктида. Серия «Страны и народы». М., 1981.
Алисов Б. П. — Климатические области зарубежных стран. М., 1950.
Андреева В. М. — Австралийский союз. (Экономико-географическая характеристика). М., 1970.
Вальтер Г. — Растительность Земного шара. М., 1968.
Географический атлас для учителей средней школы. М., 1980.
Географический энциклопедический словарь. М., 1988.
Глазовская М. А. — Почвенно-географический очерк Австралии. М., 1952.
Говоров К. А. — Океания. Физико-географическая характеристика. М., 1971.
Кист А. — Австралия и острова Тихого океана. Серия «Континенты, на которых мы живём». М., 1980.
Леонтьев О. К. — Физическая география мирового океана. М., 1982.
Миклухо-Маклаи Н. Н. — Собрание сочинений. М., Л., 1950—1953.
Миланова Е. М., Рябчиков А. М. — Географические аспекты охраны природы. М., 1979.
Природные ресурсы и культурные ландшафты материков. Под редакцией А. М. Рябчикова. М., 1971.
Хрестоматия по физической географии. Пособие для учителей. М., 1959.
ბ. ა. იაუნაუტნინი, — ავსტრალიის და ოკეანეთის ფიზიკური გეოგრაფია. თარგმანი ი. შაქარაშვილის. თბ., 1941 წ.
ქართული ენციკლოპედია. ტ. I, 1975 წ.
Заповедными тропами зарубежных стран, под редакцией А. Г. Банникова. М., 1976.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შემაჯავალი	3
ავსტრალიის ლანდშაფტების დიფერენციაციის ბუნებრივი ფაქტორები	7
ბუნების ჩამოყალიბების ისტორიის ძირითადი ეტაპები, ტექტონიკური აგებულება, სასარგებლო წიაღისეული და რელიეფი	7
კ ა ვ ა	17
შიდა წყლები	26
ნიადაგ-მცენარეული საფარი და ცხოველთა სამყარო	33
გეოგრაფიული სარტყლები და ბუნებრივი ზონები	41
ბუნებლ შეცვლა ადამიანის სამეურნეო საქმიანობით, მიწათსარგებლობის ძირითადი ფორმები და თანამედროვე ლანდშაფტები	57
ავსტრალიის ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონება და რეგიონული მიმოხილვა	62
დასავლეთ ავსტრალიის ზეგანი	65
ცენტრალური დაბლობი	82
მთიანი აღმოსავლეთი (დიდი წყალგამყოფი ქედი)	95
ოკეანეთი	106
ლიტერატურა	121

გამომცემლობის რედაქტორი ბ. გვილია
ტექნიკური რედაქტორი თ. ფირცხელანა
კორექტორი ნ. ელიზბარაშვილი

გადაეცა წარმოებას 4. 04.95. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.05.95.

საბეჭდი ქალაქი 60X841/16. პირობითი საბეჭდი თაბახი 7,75.

სააღრ.-საგამომც. თაბახი 5,99.

ტირაჟი 1000. შეკვეთის № 188.

ფასი სახელშეკრულება